# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 15 მარტი 2000 №47 (1069) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

### მეტი სივრცე ბატისტუტასთვის

დღეს „ფიორენტინასთან“ მოგების შემთხვევაში ლიგის შარშანდელი გამარჯვებული „მანჩესტერ იუნაიტედი“ ტურით ადრე მოიპოვებს მეოთხედფინალის საგზურს

3

### საქართველოს ნაკრები ბათუმში ითამაშებს

ასლან აბაშიძემ და მერაბ ჟორდანიამ ხელი ხელს დაჰკრეს

3

### მზეო, ამოდი!

თუ ამინდმა დაინდო, საქართველოს თასის მეოთხედფინალისტები დღეს უკლებლივ ყველა მატჩს გამართავენ

11

### დაპატიჟებული ხართ!



ქართველ მორაგბეებს ჰოლანდიელებთან გამარჯვება და ქომაგთა მხარდაჭერა სჭირდებათ. დაპატიჟებული ხართ: კვირას ეროვნულზე შესვლა უფასოა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ევროპენალტი გაუფასურდა

## მეოთხედფინალისტები გასამდნენ: ბარსელონა, ბაიერნი, ჩელსი...



REUTERS ფოტოქრონიკა

ბაიერნი — რუსენბორგი 2:1. ბავარიელი მეჰმეტ შოლის (№7) ამ საჯარიმო დარტყმას „რუსენბორგის“ კარში პირველი გოლი მოჰყვა

### მეორე ეტაპი. V ტური

| C ჯგუფი | |
|---|---|
| ბაიერნი | 2 |
| რუსენბორგი | 1 |
| რეალი | 2 |
| დინამო | 2 |

| D ჯგუფი | |
|---|---|
| ლაციო | 5 |
| მარსელი | 1 |
| ფეიენოორდი | 1 |
| ჩელსი | 3 |

გუშინ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტთა ოდენობა გასამდა: ესპანურ „ბარსელონას“ გერმანული „ბაიერნი“ და ინგლისური „ჩელსი“ შეემატნენ.

გამოსარჩევი ისიც იყო, რომ ოთხ მატჩში დანიშნული ექვსი თერთმეტმეტრიანიდან დამრტყმელებმა მხოლოდ ორი გაიტანეს.

იხილეთ მეორე გვერდი

# კალენდარი უნგრეთმა მოიგო

## უნგრელი მწვრთნელების ტაქტიკამ გაამართლა. ჯერჯერობით მხოლოდ მაგიდასთან

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

გუშინდელ „სარბიელში“ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ჩვენი, მერვე შესარჩევი ჯგუფის მატჩების კალენდარს გაეცნობოდით. იქვე ციურიხში დამტკიცებული განრიგის თაობაზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის კომენტარიც გაახლეთ.

ახლა კი ძოძუაშვილის ლიტველი და რუმინელი კოლეგების აზრსაც გაგაცნობთ. სტასის სტანკუსსა და ემერიხ იენეის წუხელ შევეხმიანეთ. აი, რას ფიქრობენ ისინი მერვე ჯგუფის კალენდარზე.

*სტასის სტანკუსი:* ერთობ უკმაყოფილო ვარ. ლიტვის ნაკრებისთვის ძალიან ცუდი კალენდარია. აბა, წარმოიდგინეთ, ჯერ რუმინელებს უნდა ვესტუმროთ, მერე ვუმასპინძლოთ საქართველოს, რომელიც პირველ მატჩს ჩვენთან ჩაატარებს და, ბუნებრივია, შესარჩევი ციკლის მოგებით დაწყებას ეცდება. ვიცი ქართველების ემოციური ხასიათი, თქვენგან ყველაფერია მოსალოდნელი. პირველ მეტოქედ კი სწორედ ჩვენ შეგრჩით. ღმერთმა ჰქნას, მოგიგოთ, მერე უნგრელებს ვმასპინძლობთ ოთხ დღეში. კარგი, ფიზიკურ კონდიციებს ალვიდგენთ, მაგრამ ფსიქოლოგიურ მომენტს რა ვუყოთ? გაგვიჭირდება, ვიცი, თუმცა სხვა რა გზა გვაქვს. უნგრელებმა მიაღწიეს თავისას. ბუქარესტში მოლაპარაკება მათ ჩაშალეს და აგერ, თავისი მაინც გაიტანეს. მაგათთვის შეუდგენიათ ეს კალენდარი.

ძოძუაშვილის არ იყოს, განრიგის ფიფასეული ვარიანტი არც სტანკუსს ეპიტნავა. რუმინელ *ემერიხ იენეის* კი...

— ყველაფერი კარგადაა. თავიდან ლიტვას ვმასპინძლობთ და პირველივე მატჩის მოგება ბევრს ნიშნავს. იტალიასთან თამაშებიც სწორედ იმ დროს გვიწევს, როდესაც გვსურდა, ოქტომბერში და მარტში. მოვილევთ იტალიას, მერე კი შედარებით სუსტ მეტოქეებთან შეხვედრები გველის. მთლად კარგი ისაა, ბოლო მატჩს შინ რომ ვატარებთ, თანაც თქვენ გმასპინძლობთ. ჯგუფში საუკეთესო ორი გუნდი მანამდე, თუ არ გაირკვა, ამ თამაშს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება. საკუთარ სტადიონზე კი უპირატესობა ჩვენ გვექნება. მე კმაყოფილი ვარ, თუმცა, ვფიქრობ, ჩემზე კმაყოფილი უნგრელთა მწვრთნელი უნდა იყოს.

რაც შეეხება უნგრელთა თავკაც ბერტალან ბიჩკეის, ის უნგრეთის თასის ერთ-ერთ მატჩს ესწრებოდა და გუშინვე მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ.

კობა ინასარიძე

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი
V ტური. 14 მარტი

CHAMPIONS LEAGUE

REUTERS რომიდან



ლაციო — მარსელი 5:1. ტურის გმირმა, ფოტოზე მარსელელ პეტერ ლუქსენთან (მარჯვნივ) ბრძოლისას აღბეჭდილმა სიმონე ინძაგიმ ოთხი „ალალი" გოლი გაიტანა და... ერთი პენალტი გააცუდა

### C ჯგუფი

**ბაიერნი 2:1 რუსენბორგი**

1:0 შოლი (11), 2:0 პაულო სერჟიო (39 პ), 2:1 კარეუ (64)

ბაიერნი: კანი, ბაბელი, პ. ანდერსონი, კუფური, ფინკი, შოლი (სალიჰამიჯიჩი 75), ტარნატი, იერემისი, პაულო სერჟიო (სანტა კრუზი 84), იანკერი (ელბერი 75), ციკლერი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

რუსენბორგი: არასონი, ბასმა, ბრაგსტადი, ბერგდოლმო, სტრანდი (ვინსენსი 82), იონსენი, სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, კარეუ, კნუტსენი (მინი-იაკობსენი 73)

მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი

გაფრთხილება: ტარნატი, შოლი, სკამელსრუდი

გაძევება: ბრაგსტადი (94)

მსაჯი: ა. ტრენტალანგე (იტალია)

21 000 მაყურებელი

**რეალი 2:2 დინამო**

1:0 რაული (13 პ), 1:1 ხაცკევიჩი (42), 1:2 იერო (56 ს.კ.), 2:2 რობერტო კარლოსი (71)

მე-14 წუთზე რებროვმა და 25-ზე რაულმა ვერ გაიტანეს პენალტი

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, კარანკა, იერო, რედონდო, გუტი, მაკმანამანი (მეკა 60), ჯერემი (ელგერა 72), რაული, მორიენტესი

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

დინამო: შოვკოვსკი, გერასიმენკო, გოლოვკო, მამედოვი, ნესმაჩნი, ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, გუსინი, შაცკიხი (კარდაში 46), რებროვი (კოსტიუკი 77), დემეტრაძე

მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი

გაფრთხილება: მიჩელ სალგადო, იერო

მსაჯი: ა. სარსი (საფრანგეთი)

65 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:6 | 13 |
| რეალი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | 7 |
| დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| რუსენბორგი | 5 | 0 | 1 | 4 | 5:10 | 1 |

*22 მარტი. დინამო — ბაიერნი; რუსენბორგი — რეალი*

### D ჯგუფი

**ლაციო 5:1 მარსელი**

1:0, 2:0, 3:0 ს. ინძაგი (17, 37, 38), 3:1 ლერუა (50), 4:1 ს. ინძაგი (71), 5:1 ბოკშიჩი (82)

58-ე წუთზე სიმონე ინძაგიმ ვერ გაიტანა პენალტი

ლაციო: მარკეჯანი, მიხაილოვიჩი (ფერნანდო კოუტო 51), ნესტა, პანკარო (გოტარდი 74), კონსეისაო, ნეგრო, სიმეონე, ნედვედი, ბოკშიჩი, ს. ინძაგი, დ. სტანკოვიჩი (სენსინი 68)

მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი

მარსელი: პორატო, ლ. მარტინი (რ. მარტინი 46), ფიშერი (ბაკაიოკო 46), ლუქსენი, აბარდონადო, ბრანდო, პირესი, ჟ. ლერუა, დალმა, პუჟე (მოზესი 61), დე ლა პენია

მწვრთნელი: ბერნარ კაზონი

გაფრთხილება: კონსეისაო, პირესი, ლუქსენი, ბრანდო, ბაკაიოკო

მსაჯი: ა. ფრისკი (შვედეთი)

35 000 მაყურებელი

**ფეიენოორდი 1:3 ჩელსი**

0:1 ძოლა (39), 1:1 კალუ (59), 1:2 უაიზი (64), 1:3 ფლო (69)

მე-8 წუთზე ლებეფმა ვერ გაიტანა პენალტი

ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, კონტერმანი, ვან ვონდერენი, რზასა, ბოსველტი, ვან გასტელი, პაუვე (კალუ 46), დე ვისერი (სამარჯიჩი 69), დალ ტომასონი, ხულიო კრუზი

მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი

ჩელსი: დე გუი, ლებეფი, დესაი, ბაბაიარო, პეტრესკუ, უაიზი, დეშამპი დი მატეო, პოიეტი (მორისი 77), ძოლა (ამბროზეტი 90), ფლო

მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი

გაფრთხილება: ბოსველტი

მსაჯი: კ. ე. ფისკერი (დანია)

46 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| ლაციო | 5 | 2 | 2 | 1 | 8:3 | 8 |
| ფეიენოორდი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| მარსელი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:11 | 3 |

*22 მარტი. მარსელი — ფეიენოორდი; ჩელსი — ლაციო*

REUTERS მადრიდიდან




რეალი — დინამო 2:2. დემეტრაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი რებროვმა (№11) ვერ გამოიყენა

# მეტი სივრცე ბატისტუტასთვის

CHAMPIONS LEAGUE

**ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. V ტური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### A ჯგუფი

**პორტუ — სპარტა**

წინა ტურში საკუთარ კედლებში „ბარსელონასთან" შერცხვენილი „პორტუ" ამჯერად „სპარტას" უმასპინძლებს. პორტუგალიელთა გამარჯვების შემთხვევაში საფეხბურთო ევროპა კიდევ ერთ მეოთხედფინალისტს გაიცნობს, ეს „პორტუ" იქნება, ნებისმიერი სხვა შედეგისას კი ყველაფერს უკანასკნელი ტური გადაწყვეტს.

პორტუგალიელთა თავკაცი ფერნანდო სანტოსი მატჩისთვის საკმაოდ სერიოზულად ემზადება. ტრავმები მოიშუშეს და გუნდს დაეხმარებიან შემტევი ნახევარმცველი დეკო სოუზა და მეკარე ვიტორ ბაია, რომელიც უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და „სპარტასთან" ალბათ სასტარტო შემადგენლობაშიც გამოჩნდება.

„პორტუს" დანაკლისიც ექნება. ბრაზილიელი ფორვარდი რუბენს ჟუნიორი „ბარსელონასთან" შეხვედრისას დაშავდა. მან პორტუგალიის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში „გიმარაეშთანაც" ითამაშა და ტრავმა გაუმიზეზდა.

მეოთხედფინალში მოხვედრის იმედი არც „სპარტას" დაუკარგავს. „პორტუსთან" მატჩისთვის ისინიც გამალებით ემზადებიან. საშინაო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში მათ ცხრილის შუაადგილოსანი „დუკლა" დაამარცხეს — 3:1. შესანიშნავად იასპარეზა ნახევარმცველმა ზდენეკ სვობოდამ, რომელმაც ბურთიც შეაგდო და ორი საგოლე გადაცემაც გააკეთა. მთავარ მწვრთნელ ივან ჰაშეკს სვობოდასა და ლოკვენცის წარმატებული თამაშის იმედი აქვს.

ტრავმებს ვერც ჩეხები გადაურჩნენ, ნახევარმცველი ირჟი ნოვოტნი და თავდამსხმელი იოჟეფ ობაიდინი დაშავდნენ და მათი ასპარეზობა საეჭვოა. კუნთი დაეჭიმა ნახევარმცველ მარტინ ჰაშეკსაც და სასტარტო შემადგენლობაში იქნებ ვერც ის ვიხილოთ.

**გაფრთხილებულნი**

პორტუ: დეკო სოუზა (2), პეიშე (2), არჯელი, დრულოვიჩი, ილარიო, სეკრეტარიუ

სპარტა: ბარანეკი (2), ბოლფი (2), ფუკალი (2), ლაბანტი (2), ნოვოტნი, როსიცკი, იაროშიკი, ჰაპალი

**დისკვალიფიცირებულნი**

პორტუ: ალოიზიო (1 მატჩი)

სპარტა: არავინ

**ბარსელონა — ჰერტა**

ორი ტურით ადრე ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტად მონათლული „ბარსელონა" „ჰერტასთან" მატჩში ბოლომდე ალბათ არ დაიხარჯება. ამ ფაქტს თავად კატალონიელთა თავკაცი ლუის ვან გაალი აღიარებს და აცხადებს, რომ ბერლინელებთან შეხვედრაში ექსპერიმენტულ შემადგენლობას გამოიყვანს. ამას გარდა, გუნდს პრიმერადივიზიონის მომავალ ტურში უპრინციპულესი მატჩი ელის. ესპანეთის ჩემპიონობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური მაძიებელი პრიმერადივიზიონის ერთპიროვნულ ლიდერ „დეპორტივოს" უმასპინძლებს. „ჰერტა" კი, რომელსაც მეოთხედფინალში მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსები დარჩენია, ალბათ ეცდება მომდევნო ეტაპზე გასვლა თუ არა, საკლუბო კოეფიციენტი მაინც გაიუმჯობესოს.

ალბათ, „ბარსელონას" სასტარტოში ვიხილავთ ფინელ თავდამსხმელ იარი ლიტმანენს, მცირე ტრავმა აწუხებს გვარდიოლას და მისი ადგილი შესაძლოა ხავიმ დაიკავოს. ლუის ვან გაალი ძირითადში ალბათ დანი გარსიასაც გაამწესებს, რომელიც სავარაუდოდ რივალდოს შეცვლის.

ბერლინელთა თავკაცი იურგენ რიობერი ტრავმებმა დააფიქრა. გუნდის კაპიტანი კეტილ რეკდალი და ნახევარმცველი სებასტიან დაისლერი დაშავდნენ და ალბათ ვერც ითამაშებენ. ირანელ ალი დაეისაც ზურგის ტრავმა უწუხებს.

„ჰერტას" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დიტერ ჰიონესმა განაცხადა, რომ „ბარსელონასთან" მატჩი მომავალ შაბათს მიუნხენის „ბაიერნის" წინააღმდეგ ჩასატარებელ შეხვედრასთან შედარებით ნაკლებ პრინციპულია. „ნამდვილად გადამეტებული იქნება იმის თქმა, რომ „ბარსელონასთან" მოგებას და მეოთხედფინალში გასვლას ვაპირებთ — ამბობს ჰიონესი — ჯგუფის აშკარა აუტსაიდერები ვართ და მეტ ყურადღებას „ბაიერნთან" მატჩზე ვამახვილებთ".

**გაფრთხილებულნი**

ბარსელონა: აბელარდო (2), ფიგუ (2), არნაუ, ბოგარდი, დანი, ფ. დე ბური

ჰერტა: ჰარტმანი (2), ნოიენდორფი (2), სვერისონი (2), ვოში (2), ალექს ალვეში, დაეი, დარდაი, ჰელმერი, პ. ჰერცოგი, როი, მიხალკე, რეკდალი, ვან ბურიკი, ვაიტი

**დისკვალიფიცირებულნი**

ბარსელონა: არავინ

ჰერტა: კონსტანტინიდისი (1 მატჩი)

### B ჯგუფი

**ბორდო — ვალენსია**

„ვალენსია" „ბორდოს" ესტუმრება, გუნდს, რომელიც ცხრილის ბოლო საფეხურზე იმყოფება და მეოთხედფინალში მოხვედრის შანსი ფაქტობრივად დაკარგა. ეს აშკარად არ ითქმის ესპანელებზე. მათ მომდევნო ეტაპის საგზურის მოპოვების საკმაო შანსი და ამბიციაც გააჩნიათ.

როცა კაპიტანი აცხადებს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია და ბრძოლამ აზრი დაკარგა, გუნდი ალბათ ზედმეტად არ შეიწუხებს თავს. „ჩემპიონთა ლიგა ჩვენთვის დასრულდა. ყურადღებას უკვე საფრანგეთის ჩემპიონატზე ვამახვილებთ. ლიგაში დარჩენილი ორი მატჩი ალბათ მხოლოდ ფორმალობაა. რა თქმა უნდა, „ვალენსიას" დამარცხებას შევეცდებით, თუმც არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს პოტენციალს სრულად გამოვამჟღავნებთ, ტრავმებს მაქსიმალურად მოვერიდებით. შევეცდებით, მაყურებელს ლამაზი თამაში ვაჩვენოთ. მატჩი ალბათ სასიამოვნო სანახავიც იქნება, მაგრამ თუ დავმარცხდით, დიდ კატასტროფად ნამდვილად არ ჩავთვლით" — ასეთი გახლდათ „ბორდოს" კაპიტნის მიშელ პავონის მონოლოგი.

ფრანგთა თავკაცმა შესაძლოა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელიც დაასვენოს. დისკვალიფიცირებულია თავდამსხმელი ლილიან ლასლანდი, რომელმაც „მანჩესტერთან" წითელი ბარათი დაიმსახურა. დაშავდნენ ნახევარმცველები — სილვენ ლეგვინსკი და კორენტინ მარტენსი. ისინი ალბათ ვერ ითამაშებენ.

„ვალენსიას" თავკაცი ექტორ კუპერი „ფიორენტინასთან" ერთი კვირის წინანდელი შეხვედრით კმაყოფილია და გუნდს იმავე შემადგენლობით დააკომპლექტებს. ვერ ითამაშებს მხოლოდ კლაუდიო ლოპესი, რომელიც დისკვალიფიცირებულია. მის ადგილს სავარაუდოდ ხუან სანჩესი დაიკავებს.

**გაფრთხილებულნი**

ბორდო: ბატლე (2), მიკუ (2), აფანუ, დიაბატე, გრენე, მარტენსი, პავონი, რამე, საველიჩი, ვილტორდი, ზიანი

ვალენსია: ჟუკიჩი (2), პელეგრინო (2), კარბონი, ფარინოსი, კილი გონსალესი, ილიე, პალოპი, ხუან სანჩესი, სორია

**დისკვალიფიცირებულნი**

ბორდო: ლასლანდი (1 მატჩი)

ვალენსია: კლაუდიო ლოპესი (1 მატჩი)

**მანჩესტერი — ფიორენტინა**

დღეს „ოლდ ტრეფორდზე" გამოცდილი მწვრთნელები — სერ ალექს ფერგიუსონი და ჯოვანი ტრაპატონი გააჯიბრებენ თავიანთ გუნდებს. ჩემპიონთა ლიგის ამჟამინდელი გამარჯვებული „მანჩესტერ იუნაიტედი" წარმატების შემთხვევაში ტურით ადრე მოიპოვებს მეოთხედფინალის საგზურს, თუმც სერ ალექსი ჩვეულ სიფრთხილეს იჩენს და აცხადებს: „ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მოხვედრა ნებისმიერი გუნდისთვის მიღწევაა, საგზურის ვადაზე ადრე მოპოვება ორმაგად სასიხარულოა, თუმც ამის საბაბი სულ ცოტა სალამომდე არ მექნება, წინა ტურებში დიდი ბრძოლა მოგვიხდა. თუმც საერთო შედეგით კმაყოფილი ვარ და ვგრძნობ, რომ მეტის გაკეთება შეგვიძლია."

პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში „მანჩესტერის" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დაისვენა. ენდი კოულს, რაიან გიგზსა და იაპ სტამს „დერბის" წინააღმდეგ არ უთამაშიათ.



ალექს ფერგიუსონი: „ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მოხვედრა ნებისმიერი გუნდისთვის მიღწევაა, ხოლო საგზურის ვადაზე ადრე მოპოვება ორმაგად სასიხარულო"

გუნდის არც ერთ ძირითად წევრს სერიოზული ტრავმა არ აწუხებს და ფერგიუსონს „ოლდ ტრეფორდზე" საბრძოლო შემადგენლობის გაყვანა შეუძლია.

პრემიერლიგის ლიდერისგან განსხვავებით „ფიორენტინა" წლეულს საუკეთესო სეზონს ნამდვილად არ ატარებს, თუმც ჯოვანი ტრაპატონი ამ ფაქტს თავისებურად ხსნის: „ბიჭებს ვუთხარი, რომ ამაზე უარესი ალბათ არაფერია, მათ არ უნდა შეეშინდეთ. ისიც გავახსენე, რომ წლევანდელ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედი" უკვე დავამარცხეთ (ფლორენციაში „ფიორენტინამ" 2:0 გაიმარჯვა). ეს ნამდვილად დაძაბული თამაში იყო, გუნდის ერთ-ერთ უბრწყინვალეს გამარჯვებასაც დავარქმევდი. არავინაა დაუმარცხებელი, მათ შორის არც „მანჩესტერი", მით უმეტეს, რომ გუნდს დაცვის ხაზში დიდი სივრცეები აქვს, რომლის გამოყენებასაც ბატისტუტა, რუი კოშტა და მიატოვიჩი შეეცდებიან."

ფლორენციულ გუნდს მცირე დანაკლისი აქვს, დისკვალიფიკაციის გამო მატჩს ნახევარმცველი სანდრო კოისი გამოტოვებს, ვის ადგილსაც, სავარაუდოდ, ფაბიო როსიტო დაიკავებს.

სხვა ყველა ჯანმრთელია და გულშემატკივარიც ლამაზი და უშეღავათო ბრძოლის მოლოდინშია.

**გაფრთხილებულნი**

მანჩესტერი: გიგზი (2), ფ. ნევილი (2), ბექემი, ირვინი, კინი, სტამი, სქოულზი, უილსონი, იორკი

ფიორენტინა: ადანი (2), დი ლივიო (2), პადალინო (2), რუი კოშტა (2), კ. ამორუზო, ბატისტუტა, ბრესანი, ფირიკანო, მიატოვიჩი, პიერინი, როსიტო, ტაროცი, ტორიჩელი

**დისკვალიფიცირებულნი**

მანჩესტერი: არავინ

ფიორენტინა: კოისი (1 მატჩი)

**ავსტრია**

ლუსტენაუ 1:1 ტიროლი

**ბელგია**

ლიგის თასი

ლიერსი 2:2 (4:5 პენ.) მუსკრონი

**ინგლისი**

I დივიზიონი

სტოკპორტი 0:0 ბოლტონი

II დივიზიონი

ჯილინგემი 2:2 ბარნსლი

პრესტონი 3:1 ოქსფორდი

III დივიზიონი

ტორკი 1:1 ჩელტენემი

პლიმუთი 1:1 ლინკოლნი

**პორტუგალია**

XXV ტური

ამადორა 0:0 სანტა კლარა

# ბათუმიდან თბილისამდე ფოთის გავლით

უამინდობა ბობოქრობს საქართველოში. სტიქიის სიმძლავრემ მეორე ტურის ცენტრალური მატჩი გადაადებინა ფეხბურთის ფედერაციას. ახლა ისაა საკითხავი, ჩატარდება თუ არა თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩები.

ფეხბურთის ფედერაცია გვარწმუნებს, რომ აუცილებლად ჩატარდება, თუმც რაიმე კურიოზულ შემთხვევასაც არ გამორიცხავს.

იმედი ვიქონიოთ, რომ დღეისათვის ბუნება უფრო ლმობიერი იქნება და კარგი ფეხბურთის საცქერლად განვეწყოთ.

მაშ ასე, დღეს ოთხი მატჩია — „ბათუმი" — „კოლხეთი", „სამგურალი" — „ტორპედო", „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივი" და „დინამო" — „დილა".

გუშინ ბათუმში შედარებით მშვიდი ამინდი იდგა. დატბორილმა სტადიონმაც ნელ-ნელა დაიბრუნა პირვანდელი იერი, ასე რომ, თუ დღეს ცა არ ჩამოქცა, თამაშის გამართვას წინ ვერაფერი დაუდგება.

მასპინძელთა იტალიელ თავკაცს საფიქრალი შემოლევია. მხოლოდ ამდენი წვიმისგან დამძიმებულ გაზონს შეუწუხებია. „ბათუმს" აშკარად გაუჭირდება ატალახებულ მინდორზე ჩვეული სტილით თამაში, „კოლხეთს" კი პირიქით, მსგავს პირობებში ბურთაობა ხელს უნდა აძლევდეს.

კარნევალეს შეგირდები უფრო დასვენებულები და ღონიერები შეხვდებიან მეტოქეს, ტყებუჩავას ბიჭების ზურგს უკან კი „დინამოსთან" ფრედ ნათამაშევი მომქანცველი მატჩია.

ბათუმელები უდანაკარგოდ ითამაშებენ, ხოლო ფოთელებს ისევ არ ეყოლებათ ჯონი შალამბერიძე, სამაგიეროდ, დისკვალიფიკაციამოხდილი დავითნიძე და ელდარ გვასალია დაემატებათ.

ამ და სხვა მიზეზების გათვალისწინებით, ფავორიტებად მაინც მასპინძლები მიგვაჩნია, თუმც არც სტუმრები აპირებენ უბრძოლველად რამის დათმობას და სიურპრიზსაც გვპირდებიან.



[illegible] ფოტო

დღეს ვიტჯორჯიელი გიორგი ყიფიანი (მარჯვნივ) და ლოკომოტიველი გენადი კაციაშვილი ერთმანეთს ერთხელაც დაუპირისპირდებიან

დღეს წყალტუბოს „სამგურალი" ტოლ-სწორად ვერაფრით დაუხვდება ქუთაისის „ტორპედოს". მეზობელთა პაექრობაში გამარჯვებული თავიდანვე ცნობილია და ამის მიხვედრას დიდი ფიქრი არ სჭირდება. ნახევარფინალში „ტორპედო" გავა, რადგან „სამგურალს" სათასო ბატალიები კი არა, ჯგუფში დარჩენის საკითხი აღელვებს.

რკინიგზელთა „ლოკომოტივი" ბოლო შანსს ებღაუჭება. შემოდგომაზე ევროპულ სარბიელზე გასასეირნებლად კლუბის თავკაცებს თასის აღება დაუსახავთ მიზნად და თავიანთი ფეხბურთელებისგანაც ამას მოითხოვენ, მაგრამ ერთია სურვილი და სულ სხვა შესაძლებლობა.

დღევანდელი „ლოკომოტივი" არადამაჯერებლად გამოიყურება. რკინიგზელთა თამაშს შთამბეჭდავს ვერავინ უწოდებს. ისინი თამაშობენ კონტრშეტევებზე, მაგრამ დაცვაში მთლად აწყობილად ვერ გამოიყურებიან.

საპირისპიროდ, „ვიტ ჯორჯია" გაცილებით უკეთ თამაშობს. ვეტერინარები აშკარად ალმავლობას განიცდიან და მეტოქესაც დამარცხებას ჰპირდებიან.

დღევანდელ მატჩში უპირატესობას მასპინძლებს კი ვანიჭებთ, მაგრამ ისიც საკითხავია, მცხეთის „არმაზის" შელანძღული მინდორი მისცემს თუ არა მოპაექრეებს თავიანთი შესაძლელობების სრულად გამოვლენის საშუალებას?!

ჩვენ „დილას" მიერ გამწარებული „დინამოც" გვიხილავს და გორელებზე გამარჯვების მოზეიმე ჩემპიონებიც, მაგრამ ამჟამინდელ დაპირისპირებას უწინდელს ნამდვილად ვერ შევადარებთ. მაშინ „დინამოც" და „დილაც" სულ სხვა იყო.

დღეს „დინამო" საკმაოდ მოისუსტებს, თუმც „დილაც" ერთობ არაორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ საკითხავი ის კი არ არის, ვინ მოიგებს, არამედ ის, თუ რამდენი გოლით გაუსწორდება „დინამო" „დილას".

„სარბიელის" საბოლოო ვერდიქტი ასეთია — დღეს წყალტუბოსა და თბილისში საქართველოს თასის გათამაშების ორი ნახევარფინალისტი გაირკვევა, ხოლო დანარჩენი ორიც საპასუხო მატჩების ჩამთავრების შემდეგ, ფოთსა და თბილისში.

**მამუკა კვანტალიანი**

## საქართველოს თასი მეოთხედფინალი

თბილისი. „ეროვნული". 15 მარტი. 15 საათი

### დინამო — დილა

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

მცხეთა. „არმაზი". 15 მარტი. 15 საათი

### ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

ბათუმი. „დინამო". 15 მარტი.. 15 საათი

### ბათუმი — კოლხეთი

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. შილაკაძე (თბილისი), ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ს. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

წყალტუბო. „26 მაისი". 15 მარტი. 15 საათი

### სამგურალი — ტორპედო

მსაჯები: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

# როდის დაიბადა მიშიკო?

მიშიკო — მიხეილ მაკარიძე ბევრისთვის უცნობი თექვსმეტი წლის ფეხბურთელი გუშინდელი სტკ-ის სხდომის და ამ წერილის მთავარი გმირია, სათაურში მ... ვანილი, ერთი შეხედვით უწყინარი კი... ხვა კი დიდ პრობლემად გადაქცევია სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტს, სადისციპლინო ტექნიკურ კომიტეტს, საფეხბურთო გუნდებს და თქვენ წარმოიდგინეთ, თავად მიშიკო მაკარიძის მშობლებსაც. ყველაფერი კი ჯერ კიდევ შარშან დაიწყო...

როგორც ცნობილია, გასულ წელს ჩვენში საფუძველი ჩაეყარა ბავშვთა ლიგის ჩამოყალიბებას. გასულ წელსვე ქვეყნის ყველა რეგიონში თუ ქალაქებში დაიწყო შესარჩევი ეტაპი, რომელსაც ფინალური ტურნირისთვის (რომელიც წლეულს უნდა გაიმართოს) საუკეთესო გუნდები უნდა გამოევლინა. შესარჩევი ეტაპი, ბუნებრივია, თბილისშიც ჩატარდა, აქ კი პირველობისთვის ორი გუნდი — „თბილისი" და „მთვარის გლობუსი" შეება ერთმანეთს. გადამწყვეტი შეხვედრა ამ გუნდებს შორის ფრედ 1:1 დასრულდა, რაც უპირატესობას „მთვარის გლობუსს" ანიჭებდა და ფინალურ ეტაპზეც მას უნდა ეთამაშა, მაგრამ მატჩის შემდეგ „თბილისის" ხელმძღვანელმა ვალერი კობახიძემ საჩივრით მიმართა სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტს და მატჩის შედეგის გაუქმება და „მთვარის გლობუსის" გათამაშებიდან მოხსნა მოსთხოვა. კობახიძის მოთხოვნა იმაში მდგომარეობდა, რომ „მთვარის გლობუსის" ფეხბურთელი მიშიკო მაკარიძე 1984 წელს იყო დაბადებული. ტურნირის რეგლამენტი კი 1985 წელს დაბადებული ფეხბურთელებით თამაშს ითვალისწინებდა. თუკი მაკარიძეს 1984 წლიანობა დაუმტკიცდებოდა, ამით დებულება ირღვეოდა, მისი გუნდი გათამაშებიდან იხსნებოდა და „თბილისი" ფინალურ ეტაპზე გადიოდა. ეს ამბავი, როგორც ზემოთ ვთქვი, შარშან დაიწყო, მას შემდეგ სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტი მტყუან-მართლის გარჩევაში ამაოდ დაშვრა, სად აღარ იყვნენ ამ კომიტეტის წარმომადგენლები, დაწყებული სამშობიარო სახლიდან, დამთავრებული სახელმწიფო ინსტანციით, მაგრამ პრობლემა პრობლემად დარჩა, ფინალური ეტაპის დაწყების დრო ახლოვდებოდა, ერთი მონაწილე გუნდის ვინაობა კი გასარკვევი რჩებოდა და მაკარიძის საქმემ გუშინდელი და წლეულს პირველად გამართული სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის სხდომამდე მოაღწია.

თავიდანვე გეტყვით, რომ სტკ-ზე ამ საქმის გარჩევას იმდენი შეხლაშემოხლა მოჰყვა, რომ თვით გახმაურებული „ლოკომოტივ" — „დინამოს" სკანდალიც კი დაჩრდილა. „თბილისს" ვალერი კობახიძე წარმოადგენდა, „მთვარის გლობუსის" პოზიციებს კი გუნდის მთავარი მწვრთნელი ზურაბ გოგრიჭიანი და პრეზიდენტი გია მაისურაძე იცავდნენ.

*ვალერი კობახიძე:*

— თამაშის შემდეგ ერთმა პიროვნებამ მითხრა, რომ მაკარიძე 1984 წელს იყო დაბადებული. სასწრაფოდ შევუდექით საქმის შესწავლას, ბოლოს თბილისის № 1 სამშობიარო სახლამდე მივედი, სადაც დავადგინე, რომ მიხეილ მაკარიძე 1984 წლის 29 დეკემბერს არის დაბადებული — ამ სიტყვებით კობახიძემ დისციპლინარებს მაგიდაზე ქაღალდის ფურცელი დაუდო... ცნობაში იკითხებოდა, რომ მაკარიძე დაბადებულია 29 დეკემბერს და სამშობიარო სახლიდან დედასთან ერთად გაწერილია 1995 წლის 5 თებერვალს. ცნობა გაცემულია 2000 წლის 8 თებერვალს და ხელს აწერს მთავარი ექიმი ე. მელაძე.

დისციპლინართა მაგიდაზე მალე მეორე დოკუმენტიც გაჩნდა. გია მაისურაძემ სტკ-ს მმჩის რესპუბლიკური არქივიდან წამოღებული ცნობა წარუდგინა ... „ამონაწერი თბილისის საბურთალოს რაიონის 1985 წლის დაბადებულთა სარეგისტრაციო წიგნიდან. მიხეილ გივის ძე მაკარიძე — დაბადების ადგილი ქ. თბილისი. დაბადების თარიღი 1985 წლის პირველი იანვარი." მმჩის რესპუბლიკური არქივის ცნობა 8 მარტითაა დათარიღებული და მას ხელს აწერს ვანო ხომერიკი. სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ბადრი ქარქაშაძის თქმით, მიშიკო მაკარიძის მამამ სხვების თანდასწრებით მასთან საუბარში განაცხადა, რომ მისი შვილი 1984 წლის 25 დეკემბერს არის დაბადებული. ასე რომ, დისციპლინართა წინაშე მაკარიძის დაბადების თარიღის სამი ვერსია გაჩნდა — 1984 წლის 25 დეკემბერი, იმავე წლის 29 დეკემბერი და 1985 წლის 1 იანვარი. სხდომამ კულმინაციურ წერტილს მაშინ მიაღწია, როცა მიშიკო მაკარიძის დაბადების თარიღის მეოთხე ვერსიაც გამოჩნდა.

გივი მაკარიძე (მიშიკოს მამა): „თქვენ აქ ჩემი შვილის დაბადების თარიღზე მსჯელობთ და კამათობთ. კი მაგრამ მე, მამამისს, არ მეკითხებით არაფერს? ჩემზე კარგად ხომ არავინ იცის, როდის დაიბადა ჩემი შვილი... მეუღლე სამშობიარო სახლში 28 დეკემბერს მივიყვანეთ, მიშიკო კი 31 დეკემბერს 23 საათსა და 15 წუთზე შეგვეძინა. 45 წუთი დააკლდა მას ახალ წლამდე და როგორ გგონიათ, ბიჭის მამა შვილს ამის გულისთვის 1 წელს მოუმატებდა? ამიტომ ჩემი შვილი რეგისტრაციაში 1985 წლის პირველ იანვარს გავატარეთ."

უფროსი მაკარიძის ამ სიტყვებს გაუთავებელი კამათი, მტკიცება და შეხლა-შემოხლა მოჰყვა. როგორც იქნა, გურამ ძაგანიამ, სტკ-ს წევრმა და გუშინდელი სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა (ომარ გოგიაშვილი სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა) აიღო სიტყვა და სტკ-ს წევრების გარდა ყველას (მათ შორის ჟურნალისტებსაც) ოთახის დატოვება სთხოვა — კენჭისყრის და გადაწყვეტილების მიღების დრო დამდგარიყო.

გივი მაკარიძემაც დისციპლინარებს მრავალმნიშვნელოვნად უთხრა — თქვენ იცით, დამიდგინეთ, როდის არის დაბადებული ჩემი შვილიო.

ათი წუთის შემდეგ დისციპლინარებმა თავიანთი გადაწყვეტილება წაიკითხეს, სტკ-მ „მთვარის გლობუსს" გაზრდილი ფეხბურთელით თამაშის გამო „თბილისთან" შეხვედრაში წაგება ჩაუთვალა. მიშიკო მაკარიძე კი 1984 წელს დაბადებულად ცნო (თუმც დისციპლინარებს დაბადების თარიღის ზუსტი დრო არ დაუსახელებით). ამავე დროს სტკ-მ აპელაციის და შემდგომი ძიების უფლებაც დაუტოვა „მთვარის გლობუსს" და ამ კლუბის ხელმძღვანელებს დაპირდა, რომ დამატებითი საბუთების წარდგენის შემთხვევაში საქმე ხელახლა გაირჩევა. ამ გადაწყვეტილებამ გია მაისურაძე ალაშფოთა და დისციპლინარები დებულების უგულებელყოფაში დაადანაშაულა (დებულება მოთამაშის ასაკის დადგენისას საარქივო მონაცემებზე დაყრდნობას ითვალისწინებს).

სანამ „მთვარის გლობუსი" და დანარჩენები მაკარიძის დაბადების თარიღს გაარკვევენ, მანამდე სტკ-ს დღის წესრიგის სხვა საკითხებსაც გაგაცნობთ. ამაზე დისციპლინარებმა სულ რაღაც 10 წუთი დახარჯეს და ჩვენც მოკლედ მივყვეთ საბოლოო ვერდიქტების გაცნობას: 12 მარტს „სამგურალი" — „მერანის" მატჩის ბოლო წუთზე სტუმართა კარში გატანილი გოლით გახარებული თბილისელი ილურიძე შეხვედრის არბიტრმა ზურაბ ანიაშვილმა არაჯენტლმენურ საქციელში და გოლით გამოწვეული ემოციების არაეთიკურად გამოხატვაში ამხილა. შედეგად ილურიძე ერთ მატჩს გამოტოვებს და 50 ლარსაც შეელევა. თსუ — „სამგურალის" შეხვედრის რომელიღაც წუთზე თბილისელთა ექიმი კუძიევი დახმარებას უწევდა თავისი გუნდის ფეხბურთელს, იქვე შეხვედრის თანამსაჯი ლევან მიქელაძე შენიშნა, არ დააყოვნა და შევოსანს წყალი შეასხა. შედეგად, ორ შეხვედრას თსუ უკუძიევოდ (ანუ უექიმოდ) ჩაატარებს. სტკ-მ წყლის შემსხმელი ექიმი 100 ლარითაც დააჯარიმა. გააფრთხილეს და 50 ლარით დააჯარიმეს აგრეთვე „მერანის" მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაია — იგი მსაჯის სიტყვიერ შეურაცხყოფაში ამხილეს. „ტორპედოსთან" სათასო მატჩში გაძევებულმა აკადემიელმა თეიმურაზ გოგიჩაიშვილმა გასახდელისკენ მიმავალმაც არ შეწყვიტა მსაჯთა „ტკბილად" მოკითხვა. ამის გამო იგი სამ მატჩს აგამოტოოვებს და 150 ლარითაც შეუმსუბუქდება ჯიბე. კიდევ ერთი სათასო მატჩის დროს ზესტაფონელმა გულშემატკივრებმა წყალტუბოში ბლომად ქვები ისროლეს და თავიანთი გუნდი „მარგვეთი" 100 ლარითაც აზარალეს.

სტკ-ზე „კოლხეთის" ტექნიკურ დირექტორს ვახტანგ ხაინდრავასაც მოუხდა მისვლა, ხშირი სტუმრის გამოჩენამ ერთობ გაამხიარულა დისციპლინარები და სამომავლოდ ხაინდრავას სტკ-ს წევრობასაც დაჰპირდნენ. ხაინდრავას თბილისში დაუგეგმავი ვიზიტის მიზეზი კი მისი გუნდის ფეხბურთელების უდისციპლინობა იყო. სტკ-მ მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ელდარ გვასალია ორი თამაშით და 100 ლარით დასაჯა. ამავე გუნდის კიდევ ერთ ფეხბურთელს, ჯონი შალამბერიძეს კი 4-მატჩიანი და 200 ლარიანი ჯარიმა გამოუწერა.

სულ ეს იყო. სხდომის შემდეგ დისციპლინარებმა საჩქაროდ დატოვეს ომარ გოგიაშვილის კაბინეტი, ფიზკულტურის აკადემიის ჰოლში კი კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა კამათი იმაზე, თუ როდის დაიბადა მიშიკო მაკარიძე.

**ბაატა კვანტალიანი**

## საქართველოს ნაკრები ბათუმში ითამაშებს

შაბათს, კოკისპირული წვიმის გამო „ბათუმი" — „ტორპედოს" მატჩი რომ გად..., აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შეხვედრას ხელი ვერაფერმა შეუშალა. ასლან აბაშიძე და მერაბ ჟორდანია სალამოხანს ერთად დასხდნენ და ოთხსაათნახევარი ქართული ფეხბურთის პრობლემებზე ილაპარაკეს. ასლან აბაშიძემ ფედერაციის პრეზიდენტი დააიმედა, რომ ბათუმის ცენტრალური სტადიონი უახლოეს მომავალში მთლიანად დააკმაყოფილებს უეფას მოთხოვნებს. გადაწყვეტით კი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ერთი გადაწყვიტეს, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთ შესარჩევ მატჩს, გაისად, ლიტვასთან ან უნგრეთთან საქართველოს ნაკრები ბათუმში ჩაატარებს.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს 11 ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
2 ტური

# გულივერი მოკვდა?!



დინამოელი არჩილ სახვაძე კოლხ დავით ხუჭუას გაექცა

სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“ გეხსომებათ, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ნაწილი, სადაც გულივერისა და ლილიპუტების ურთიერთობაზეა მოთხრობილი.

დაახლოებით ამას ჰგავდა თბილისის „დინამოსა“ და სხვა ქართული გუნდების დამოკიდებულება — იწვა მარადი ჩემპიონი მხართეძოზე სატახტო ალაგას (საჩემპიონო ტახტზე) და ბუზსაც ვერავინ უფრენდა „სულ რაღაც ათი წლის განმავლობაში“, თუმც კი ჭაპანწყვეტას არ იკლებდნენ ერთ თუ მრავალწლიანი ქართული კლუბები.

ახლა კი სხვა დროა, სულ სხვა დრო. აგერ, ჰა, ორი ტურია, გადამწყვეტი სტადიის ალმართებს შეუდგა მეთერთმეტე ეროვნული და თქვენ წარმოიდგინეთ, მარად ჩემპიონს თამაში არ მოუგია. კი, ჰქონდათ ამ მატჩებში გარკვეული უპირატესობა კორლალიძის შეგირდებს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით — მთავარია, ტაბლო. ტაბლოზე კი 0:0-ის გარდა არაფერი წერია.

მაშ, რაშია საქმე, გულივერი მოკვდა? არ მომკვდარა, არც სძინავს, მაგრამ გუნდების დონე მეტ-ნაკლებად გათანაბრდა — ძველებურად „შპიცრუტენში“ ველარავის ატარებს მარადი ჩემპიონი და ეს ფეხბურთისთვის სავსებით მისაღები რამ გახლავთ.

ბევრისთვის ისიც ნათელია, რომ გუნდების დონის გათანაბრება მოხდა არა მათი გაძლიერების, არამედ „დინამოს“ დასუსტების ხარჯზე, მაგრამ არსებობს ასეთი ფრაზაც — თუ მთა ვერ მივა მუჰამედთან, მაშინ მუჰამედი უნდა მივიდეს მთასთან და რას იტყვით, „რეინჯერსომანიას“ ისევ მთასთან მუჰამედის მისვლა არ უნდა გვიჯობდეს? ამით ხომ „საბრძოლო თამაშები“ მოგვიმრავლდება, თუნდაც ისეთები, როგორიც იგივე „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“, ან „კოლხეთი“ — „დინამო“ იყო.

სწორედ ამ უკანასკნელი შეხვედრის აღწერით დავიწყებთ მეთერთმეტე ეროვნულის მეორე ეტაპის მეორე ტურის (ოჰ, ეს ხუჭუჭები, ხუჭუჭები) აღწერას. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულში წვიმას ცხრა სახელი აქვს და ფოთში შეხვედრამდე ცხრავე ერთად მოდიოდა“, მატჩი მაინც შედგა და რა მატჩი...

უტევდა და უტევდა „დინამო“, იცავდა და იცავდა თავს „კოლხეთი“. ზოგჯერ მასპინძლებიც იჩხვლიტებოდნენ, მაგრამ ეს შეხვედრის საერთო სურათს ვერ ცვლიდა. საქებარია უკვე მერამდენედ შეთხელებულ-გადახალისებულ თბილისელთა თავგამოდება, სანაქებოა დამხვდურ კოლხთა სპორტული სიჯიუტე და შეხვედრის მომსწრეთაც გვარიანი სიამოვნება რომ მიიღეს, სამადლობელი სწორედ ფეხბურთელებს ეკუთვნით.

მორიგ, ზედიზედ მეორე ბუბლიკებს კი მიხეილ ქობულაძის თავგამოდებამ და თავურმა არ ააცილა „დინამო“. თორნიკე რუხაძის დარტყმული მატჩის მიწურულს დაემთხვა და ამად ვამახვილებთ ყურადღებას, თორემ გასატანი მანამდეც ჰქონდათ სტუმრებს. თუმცა ვერ გაიტანეს და ამით ქუთაისის „ტორპედოს“ წისქვილი წყლით გალუმპეს.

წყლით გალუმპვა არც თავად წლევანდელ ლიდერებს დააკლო განგებამ. ასე რომ არ ყოფილიყო, დღევანდელ მიმოხილვას უთუოდ „ბათუმი“ — „ტორპედოს“ მატჩით დავიწყებდით, განა იმიტომ, რომ სინიორ ჯანი სხვებზე „ჩვენი ბიჭია“, არა, მატჩი იყო უდავოდ ცენტრალური. სამწუხაროა, რომ ამინდი დაიცენტრა და იმგვარად მოხსნა საპირწონეს პირი, ზღვას უთხრა — შენ შენსას დაეტიე და ცოდვილ მიწას მე მივხედავო. ჰოდა, დაიტბორა სრულიად აჭარა სარფიდან ჩოლოქამდე, მაყურებელი კი ითხოვდა, მიდით, ითამაშეთო, მაგრამ ანატოლი მილჩენკო რის პროფესიონალია, ამგვარ რამეებში საყოველთაოდ დაკანონებული წესრიგით არ იმოქმედოს. გავიდნენ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის წარმომადგენლები, ბატონო, „დინამოზე“, გულივერისხელაზე აგდეს ბურთი რამდენჯერმე და ყოველგვარი დრეკადობის ძალის საპირისპიროდ სფერო ახტომის მაგიერ დედამიწასთან ჩახუტებული რომ დარჩა, „ვახილიჩმა“ მატჩის გადადება ბრძანა. ძნელი სათქმელია, ვისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა შეხვედრის გადადებას, ვის უფრო აძლევდა ხელს ეს, მაგრამ გუნდები აქ არაფერ შუაში არიან, არც „ბათუმია“ მშიშარა და ვერც „ტორპედოს“ დაუწუნებს ვინმე რიხს — ამინდი რას მიქვია, ჩემპიონობაზე იქაჩებიან ბიჭები.

ეს ზღვისპირეთი მოვილიეთ და ახლა მივყვეთ ქალაქ-ქალაქ, რუკა-რუკა (შოთა ნიშნაიანიძე იტყოდა). ღვარცოფი, თოვლჭყაპი და ტალახი არც სამტრედიულ შეხვედრას აკლდა. სიცივეც ციმბირისეული დაატყდა იმ დღეს „ეროსი მანჯგალაძეს“ და სხვებზე რომ არ ვთქვათ, უნდა გენახათ, როგორ დარბოდა წინ და უკან თამაშის მეოთხე მსაჯი. სხვანაირად გაიყინებოდა უთუოდ ის პატიოსანი კაცი და რა უქნა...

თავად მატჩი კი არცთუ ცუდი გამოდგა, მე ვიტყოდი, სასეიროც — განსაკუთრებით პირველი ტაიმი იყო კარგი. „ა“ ზონის არაფავორიტებმა (აუტსაიდერები „ბ“ ზონაში მოიკითხეთ) ქანცი გაიძვრეს აღმა-დაღმა სირბილით და მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, მათ უფრო თავგზიანი გამოუვიდათ ყოველივე — ბევრს არ ვიტყვით და 2:1 ის შედეგი გამოდგა, რომელმაც სამტრედიელებს ერთი საფეხურით ანაცვლების საშუალება მისცა. ბოლო ადგილი სწორედ იმდღევანდელ მეტოქეს გადაულოცეს ფრუიძის შეგირდებმა. აღსანიშნავი ერთიცაა, ყვითელი ბარათი არცერთ გუნდს არ მიუღია იმ დღეს და მეშკოვიც თუ სტვენდა, მხოლოდ მაშინ, როცა თამაშგარეშე რჩებოდნენ ფეხბურთელები. ამ მხრივ მასპინძლებმა უშანსოდ დაჩაგრეს სტუმრები. 16:3 — ამგვარი იყო შეფარდება.

მოდით, საქართველოს რუკას თვალი ავარიდოთ (გახსოვდეთ, აფხაზეთი!) და იმის მაგიერ, რომ სამტრედიის მეზობელ წყალტუბოში გადავინაცვლოთ, ავდგეთ და ბარემ „ა“ ზონა მოვილიოთ. ამ ზონის მეოთხე შეხვედრაში კი „ვიტ ჯორჯიამ“ მხოლოდ ბოლოსწინა წუთზე დასცა „სიონი“. ბარაქალა გოცირიძე რევაზს, კარგი მეგოლე ეზრდებათ ვეტერინარებს. სწორედ მის აქტიურობას და გიორგი ქორიძის ზუსტ პასს მოჰყვა მატჩის ერთადერთი გოლი და ერთხელაც გამართლდა გამოთქმა: „იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის“. ამ გამარჯვებით „ვიტ ჯორჯია“ ერთი საფეხურით აღზევდა (ადგილი მანაც უშუალო მეტოქეს გაუცვალა) და ახლა მეოთხეა.

წელან წყალტუბო ვახსენეთ და ზედიზედ მეორე „0:1“ ჩაიწერა აქტივში „სამგურალმა“. აქაც ბოლო წუთზე (მთლად მსაჯის დამატებულში) გადაწყდა მატჩის ბედი, ოღონდ, მცხეთური შეხვედრისგან განსხვავებით, წყალტუბოში სტუმრებმა იძალეს და კაკაბაძის დარტყმულმა კიდევ ერთხელ გააჭენა „მერანი“. ორ გასვლით თამაშში ორი გამარჯვება ხუმრობა საქმე სულაც არ გახლავთ, ჩემო ბატონო და სერგო გაბელაიას შეგირდებითურთ თავის მოსაწონი ბევრი აქვს. ამ მოგებით თოთხმეტი ქულა დაუგროვდათ „სინათლის“ ბინადრებს და „სინათლე ჩვენს ფანჯრებშიო“, სწორედ მათ უნდა თქვან.



სამგურალელი არჩილ ჩხაბერიძე მერანელ კახა კობესაშვილს ფეხებში ჩახტომია

გაიმარჯვა „ხობმაც“. ყოფილი მოყვარული ოდიშარია მშვენივრად მოერგო ფრიდონ გოცირიძის გუნდს და დუბლით სამი ქულა გაუხერხა მას. დუბლზე თავისთავად სათქმელია და აღნიშვნის გარეშე ვერც გია (კოჭოია) გიორგაძის თავგამოდებას დავტოვებთ. ბევრს ეცადა ვეტერანი, პასებიც არიგა, თავისზე გაცილებით მაღალ მეტოქეებსაც ეომა (მიწაზე და ჰაერში) და „ეგრისის“ სტადიონსაც სულ „მიდი, კოჭოია“ აყვირა. ხოსროშვილის ერთი საპასუხო სუსტი ნუგეშილა აღმოჩნდა არსენალელთათვის. კიდევ რა აქვს არსენალში ჯონი ჯანელიძეს და კომპანიას, მომდევნო ტურები გვაჩვენებს, ხობში კი ბოლო წუთებილა იყო მათი.

სტუდენტთა ამბიციებს რკინიგზელებზე მეტად თანამსაჯებმა გადაავლეს წყალი. სწორედ წყალნარევი მსაჯობის გამო იყო, დანა პირს არ უხსნიდა შეხვედრის შემდეგ თსუ-ს მესვეურებს. თენგიზ კაციას ნამატჩევის კომენტარიც იმის მორიგი დასტურია, რომ „კუპერის ტესტი“ მსაჯთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ბოლომდე „ვერ ქაჩავს“ და ცოტა შეფუცხუნება ყოველი ტურის წინ სჭირდებათ ქართველ შავოსნებს. ანატოლი მილჩენკო ერთხელაც ეტყვის სათქმელს დოგრაშვილის ასისტენტებს, მაგრამ ამით თსუ-ს რა? რა და ერთი ადგილით ქვემოთ ჩამოწევა. „ბ“ ზონის მესამე კი „გორდა“ შეიქნა, რომელმაც ვარლამ კილასონიას ორი გოლით „თბილისს“ სამივე ქულა აართვა. ეს ზედიზედ მეთექვსმეტე მატჩია, რაც თბილისელები გოლს უშვებენ და თუ დაცვაში ხარვეზებს არ მიხედეს მუმლაძის შეგირდებმა... გასაგებია? ბათიაშვილს კი ვერაფერს უსაყვედურებენ თანაგუნდელები — ზურაბმა არერთხელ იხსნა თავისი კარი.

ოცდაერთი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი — ესეც დაუმატეთ ზემოთქმულს. განსაკუთრებით უხვად ამ მხრივ „ხობი“ — „არსენალი“ და „თსუ“ — „ლოკომოტივი“ გამოირჩა. მსაჯებს ეგებ ხელიც დაელალათ, იმდენჯერ გაიკრეს ჯიბეზე. გაძევებით კი მერანელი ილურიძე გააძევეს, ქართულ ფეხბურთში „ეფენბერგის მეთოდის“ დანერგვის მცდელობისთვის.

7 მატჩში 11 გოლი. უიმეე, რა დონეა! (იტყოდა დიჯეი დათო), მაგრამ ახლა სხვა დონეა ჩვენში, ჩვენი გუნდების დონე გათანაბრდა (ამას „დონე“ იტყოდა) და ამიტომ თუ გავიდა ასე ცოტა გოლი.

მასპინძლებმა შვიდი შეხვედრიდან ოთხში გაიმარჯვეს, ერთი ფრე გაგორდა და ორჯერაც სტუმრებს დარჩათ სამი ქულა. ვერაფერს იტყვი, ევროპას ვგავართ „სადღაც რაღაცაში“.

აპრილში ფანჯარა გვაქვს... „ბათუმი“ — „ტორპედო“ მაშინ გაიმართებაო და ვნახოთ.

გულივერი კი... მართლა მოკვდა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

საქართველოს 11 ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

# 2 ტური

| „ა“ ზონის სტატისტიკა | |
|---|---|
| ტური | 2 |
| მატჩი | 7 |
| გოლი | 19 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,71 |
| მასპინძელთა მოგება | 5 (71%) |
| ფრეები | 2 (29%) |
| სტუმართა მოგება | 0 (0%) |
| საერთო დასწრება | 17 300 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 2 471 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | I: 5 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | II: 100 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 45 | 15,00 |
| სტუმარი | 42 | 14,00 |
| სულ | 87 | 29,00 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 10 | 3,33 |
| სტუმარი | 13 | 3,25 |
| სულ | 23 | 7,66 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 18 | 6,00 |
| სტუმარი | 23 | 7,66 |
| სულ | 41 | 13,66 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 12 | 4,00 |
| სტუმარი | 12 | 4,00 |
| სულ | 24 | 8,00 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 20 | 6,66 |
| სტუმარი | 10 | 3,33 |
| სულ | 30 | 10,00 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 67 | 16,75 |
| სტუმარი | 75 | 18,75 |
| სულ | 142 | 35,50 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 21 | 5,25 |
| სტუმარი | 11 | 2,75 |
| სულ | 33 | 8,25 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 27 | 6,75 |
| სტუმარი | 14 | 3,50 |
| სულ | 41 | 10,25 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 30 | 7,50 |
| სტუმარი | 9 | 2,25 |
| სულ | 39 | 9,75 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 21 | 5,25 |
| სტუმარი | 15 | 3,75 |
| სულ | 36 | 9,00 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

| „ბ“ ზონის სტატისტიკა | |
|---|---|
| ტური | 2 |
| მატჩი | 7 |
| გოლი | 14 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,00 |
| მასპინძელთა მოგება | 4 (57%) |
| ფრეები | 0 (0%) |
| სტუმართა მოგება | 3 (43%) |
| საერთო დასწრება | 4 800 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 685 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | II: 1 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | I: 300 |

## «ა» ზონა

| კოლხეთი 0:0 დინამო | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 11 |
| 0 | კუთხური | 4 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 14 |
| 4 | კარში დარტყმა | 6 |
| 2 | თამაშგარე | 5 |

| იბერია 2:1 დილა | | |
|---|---|---|
| 5 | დაჯარიმდა | 12 |
| 4 | კუთხური | 6 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 6 | კარში დარტყმა | 4 |
| 16 | თამაშგარე | 3 |

| ვიტ ჯორჯია 1:0 სიონი | | |
|---|---|---|
| 23 | დაჯარიმდა | 19 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 2 | კარში დარტყმა | 2 |
| 2 | თამაშგარე | 2 |

## «ბ» ზონა

| თსუ 0:1 ლოკომოტივი | | |
|---|---|---|
| 21 | დაჯარიმდა | 13 |
| 5 | კუთხური | 3 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 9 | კარში დარტყმა | 4 |
| 6 | თამაშგარე | 7 |

| გორდა 2:0 თბილისი | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 29 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 13 | კარში დარტყმა | 1 |
| 9 | თამაშგარე | 2 |

| სამგურალი 0:1 მერანი | | |
|---|---|---|
| 9 | დაჯარიმდა | 24 |
| 5 | კუთხური | 3 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 4 | კარში დარტყმა | 2 |
| 4 | თამაშგარე | 5 |

| ხობი 2:1 არსენალი | | |
|---|---|---|
| 22 | დაჯარიმდა | 19 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 4 | კარში დარტყმა | 2 |
| 2 | თამაშგარე | 1 |

### სიმბოლური ნაკრები

კობა ოდიშარია — *ხობი*
ვარლამ კილასონია — *გორდა*
გოჩა ტრაპაიძე — *კოლხეთი*
გიორგი კილასონია — *გორდა*
გიორგი დეკანოსიძე — *თსუ*
გია გიორგაძე — *ხობი*
მიხეილ ძოწულაძე — *კოლხეთი*
ვალერი გეგეშიძე — *იბერია*
ედიკ საჯაია — *ვიტ ჯორჯია*
მიხეილ მესხი — *თსუ*
გიორგი ლომაია — *ლოკომოტივი*

გუნდი: კოლხეთი
მწვრთნელი: სერგო გაბელაია *მერანი*

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 21 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | დინამო | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 19 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 3 | ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 16 | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 16 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 5 | სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 14 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 6 | კოლხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 14 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 7 | იბერია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:7 | -5 | 12 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 0 |
| 8 | დილა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 15 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 10 | მერანი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 14 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 |
| 11 | გორდა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 11 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 | თსუ | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 11 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 | ხობი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 14 | თბილისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 15 | სამგურალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 16 | არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |

## «ა» ზონა

ფოთი
11 მარტი
15 საათი
ფაზისი
2 000 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 0:0 დინამო

**კოლხეთი:** ქვაჩახია, გ. ჩიტაია, ტორჩინავა, მ. ძოწულაძე, გოროზია, ფანჩულიძე, კიკლიაშვილი, ტრაპაიძე, ღაღანიძე, ხუჭუა (რ. ახალკაცი 75), შავგულიძე
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; პაპავა, ანჯაფარიძე, კრასოვსკი დ. კვირკველია, ქუნთელია
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე (რუხაძე 65), ვაშაკიძე, დიდავა, გუჩუა, სიჭინავა, პ. ჯინჭარაძე, ა. სახვაძე, დათუაძე (ხუციშვილი 55), წიტაიშვილი, გ. შენგელია
**გაფრთხილება:** გუჩუა (11), დიდავა (80), გოროზია (85)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი);
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

მცხეთა
11 მარტი
15 საათი
არმაზი
200 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 1:0 სიონი

1:0 გოცირიძე (89)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჯ. მუჟირი (ზ. გვაზავა 77), ჭანკოტაძე, თოდუა, საჯაია, ვ. გოჩაშვილი (რ. გოცირიძე 78), ლ. ნოზაძე, ი. ხაჭაპურიძე (დილმელაშვილი 61), ყიფიანი, გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; კოტორაშვილი, კობიაშვილი, დ. დოლიძე
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, დიმიტრიშვილი, მ. სამხარაძე, ნ. მინდიაშვილი, თ. სამხარაძე, მოსეშვილი (ელბაქიძე 87), მაზანიშვილი (ჩაგელიშვილი 89), მ. გოგოლაძე, ბ. შენგელია (ა. ბოკერია 46), კ. გოგოლაძე
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; კენჭოშვილი, ფ. არჩვაძე
**გაფრთხილება:** მ. გოგოლაძე (49), კ. გოგოლაძე (77)
**მსაჯები:** ა. ორდენიძე (ონი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. შილაკაძე (თბილისი); ს. კახიანი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 14 - იონანიძე | *ტორპედო* |
| 12 - აშვეთია | *დინამო* |
| ალექსიძე | *დინამო* |
| 9 - ქებაძე | *ლოკომოტივი* |
| 8 - ვ. კილასონია | *გორდა* |
| გ. ქორიძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 7 - მეგრელაძე | *ტორპედო* |
| ხორგუაშვილი | *დილა* |
| 6 - ლ. მელქაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| რუსია | *ლოკომოტივი* |
| ა. მუჯირი | *ბათუმი* |

სამტრედია
11 მარტი
15 საათი
ეროსი მანჯგალაძე
100 (ტევადობა 14 000)

### იბერია 2:1 დილა

1:0 გიგიაძე (16), 2:0 მუმლაძე (35), 2:1 ხორგაუშვილი (52)
**იბერია:** გ. დოლიძე, ჟვანია, დ. ნოზაძე (ხმალაძე 81), გეგეშიძე, მიქელთაძე, ნ. გიორგაძე (კ. ჯანაშია 75), მ. ჯინჭარაძე, გიგიაძე, სანიკიძე, ივეჩინი, მუმლაძე
*სათადარიგონი:* ჩომახიძე, გედენიძე, ოდიკაძე
**დილა:** მდივანი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ვ. სამხარაძე, კარელიძე, ლომიძე, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 46), ოლგესაშვილი, სულთანიშვილი, ხორგუაშვილი, არუთინიანი (საყვარელიძე 82)
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, თ. ილურიძე
**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ყიფიანი

## «ბ» ზონა

რუსთავი
12 მარტი
15 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

### გორდა 2:0 თბილისი

1:0, 2:0 ვ. კილასონია (54, 72)
ზ. ლაბაძემ ვერ გაიტანა პენალტი (78)
**გორდა:** ბედიაშვილი, დ. ბერიძე, ბურნაძე, გაბელაია, ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია, მიშველიძე, ბექაური, ზ. ლაბაძე (ა. ბუკია 80), კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე, კიტეიშვილი, მ. სახვაძე, მჭედლიძე, ლ. სილაგაძე, ქოქიაშვილი
**თბილისი:** ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, პაპიძე, კანდელაკი, ამაშუკელი (დ. ტყებუჩავა 57), ბარნოვი, კ. მელქაძე (გონჩაროვი 66), ი. შენგელია, ბურდული, გადელია
*სათადარიგონი:* მამალაძე; კოხრეიძე, ზვ. ლაბაძე, ლოლაძე, თ. მაისურაძე
**გაფრთხილება:** ბარნოვი (32), ბექაური (59)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე, ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

წყალტუბო
12 მარტი
15 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

### სამგურალი 0:1 მერანი

0:1 კაკაბაძე (90)
**სამგურალი:** სტურუა, ჩხაბერიძე, ფრანგიშვილი (გ. ძაგნიძე 46), ხუნდაძე, გ. ჯანელიძე (ბაბუნაშვილი 66), გიორგობიანი, სუხიაშვილი, ჭყონია, დარსაძე, ზ. ქუთათელაძე, ლონლაძე (ვადაჭკორია 80)
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ნებიერიძე, კვერნაძე, ფუტკარაძე
**მერანი:** ნაჭყეპია, ცქიფურიშვილი, გუჯაბიძე, დევიძე, გ. ილურიძე, გ. კვეტენაძე, კობესაშვილი, თოლორდავა (კაკაბაძე 70), ბოლქვაძე (ჭინჭარაული 46), კარიაული, როსტიაშვილი (ივანიშვილი 75)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი, მელიქია
**გაფრთხილება:** ილურიძე (67)
**გაძევება:** ილურიძე (90)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპეტორი:** ნ. ამირეჯიბი

სენაკი
12 მარტი
15 საათი
ეგრისი
000 (ტევადობა 8 000)

### ხობი 2:1 არსენალი

1:0, 2:0 ოდიშარია (46, 79), 2:1 ხოსროშვილი (83)
**ხობი:** ნიქაბერიძე, ჯამბურია (დ. დანელია 74), ოდიშარია, ვ. ალანია, ზურაბ აიანადი, კ. ხურცილავა, გ. გიორგაძე, ქაშიბაძე, ლ. ბუკია, ვ. ჩიტაია, ზაზა აიანადი
*სათადარიგონი:* რ. თოლორდავა; ვართაგავა, აბაკელია, ჯიქია, მ. ტყებუჩავა
**არსენალი:** კუპატაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, გ. ტულუში (სულაძე 62), შუკაკიძე, ი. კაპანაძე (ქოიავა 64), ხოსროშვილი, კაკაშვილი, წივწივაძე
*სათადარიგონი:* ქაცარავა; თ. კვირკველია, წონკოლაური, ჯობაძე, გ. ჩალაძე
**გაფრთხილება:** ტულუში (18), ზურაბ აიანადი (24), ასპინძელაშვილი (26), წივწივაძე (28), ზაზა აიანადი (45), ალადაშვილი (50)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი), ნ. რუსიშვილი (ჭიათურა); კ. გაბრიაძე (ქუთაისი);
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

მცხეთა
12 მარტი
15 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

### თსუ 0:1 ლოკომოტივი

0:1 გოდერძიშვილი (33)
**თსუ:** მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, ადამია, წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი, ხართიშვილი, ერაძე, კვიციანი, მაზიაშვილი
*სათადარიგონი:* გუგუნავა; თ. ბოკერია, სვანაძე, ქადაგიძე, ლობჟანიძე, ბ. ნოზაძე, გ. გოცირიძე
**ლოკომოტივი:** ლომაია, ონიანი, ბაქრაძე, აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, კვარაცხელია, ჯუღელი, ძოძუაშვილი (პარამონოვი 21, გ. გვაზავა 68), დ. გოდერძიშვილი, კაციაშვილი
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; გულორდავა, ლ. ჩხაიძე, სალუქვაძე, ჩაჩუა
**გაფრთხილება:** ინწკირველი (9), კვიციანი (23), ებრალიძე (72), ბაქრაძე (78), მესხი (81), ლომაია (87), ერაძე (89)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

# სერ ალექსი: ქინქლაძე ტოპ კლასის ფეხბურთელია

„გიორგი ქინქლაძემ და ერანიომ იმდენი მომენტი შექმნეს ჩვენს კართან, რომ არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ორივე მაღალი კლასის მოთამაშეები არიან" — ეს სიტყვები „ოლდ ტრეფორდის" საპრესკონფერენციო დარბაზში „მანჩესტერ იუნაიტედი" — „დერბის" შეხვედრის დასრულების შემდეგ თვით ლეგენდარულმა შოტლანდიელმა სერ ალექს ფერგიუსონმა წარმოთქვა.

„დერბი" დამარცხდა, თუმცა სხვა ქართველებთან შედარებით უქმეებზე ყველაზე მეტად ისევ გიორგი ქინქლაძე აქეს. „ცხვრების" 27-ე ნომერმა კვლავ შესაძლებელზე ცუდად ითამაშა, თუმცა რამდენიმე მომენტით მაინც დაამახსოვრა თავი მანჩესტერელებს.

განსაკუთრებით აღსანიშნია მისი საგოლე პასი 63-ე წუთზე ბრანკო შტრუპარს რომ მიაწოდა გიომ დიდებულად მოატყუა მცველი და თანაგუნდელი მარკ ბოსნიჩს პირისპირ შეატოვა. ქინქლაძემ მანამდეც გამოიჩინა თავი, რამდენიმე კარგი გადაცემა გააკეთა და ჩვეულადაც იჟონგლიორა, თუმცა ბევრი წუნიც ჰქონდა. გადაცემებს აგვიანებდა, ბურთსაც ხშირად კარგავდა და უკან ჩამოსვლა ეზარებოდა. ბოლოს კი დაღლაც დაეტყო.

„სანმაც" და „სანდი მირორმაც" გიორგის თამაში 7-იანით შეაფასეს. მატჩის გმირად კი 9 ქულით დუაიტ იორკი შერაცხეს. წაგების მიუხედავად, „დერბიმ" კვლავ შეინარჩუნა ორქულიანი სხვაობა „ბრედფორდთან", რომელმაც 41 წლის უელსელი საუთჰოლი დაუხვედრა „ლიდს იუნაიტედის" თინეიჯერებს. ქინქლაძესთან დაკავშირებით ახალი ამბავი კიდევ ის არის, რომ „დერბი" ქართველს აუცილებლად გაანთავისუფლებს 29 მარტს ისრაელთან შეხვედრისთვის. ამასთან კლუბი კვლავ აგრძელებს მოლაპარაკებას ერთის მხრივ ამსტერდამის „აიაქსთან", მეორეს მხრივ კი დასაქმების დეპარტამენტთან, გიორგის გამოსყიდვის თაობაზე.

ჩემპიონატი განახლდა მოლდოვაში და მოგებით დაიწყო ქართველების „შერიფმა". ტირასპოლელებმა „მოლდოვაგაზს" სტუმრად 2:0 სძლიეს, ერთი გოლი მუჯირმა გაიტანა და შეინარჩუნეს ოთხქულიანი სხვაობა მდევარ „ზიმბრუსთან". კიშინიოველებმაც 2:0 მოუგეს „აგროს", იქ შედგა ლევან გვაზავას დებიუტი, ექსხობელმა ბოლო 9 წუთი ითამაშა.

სეზონი განახლდა უკრაინაშიც, ოღონდ თასის მეთექვსმეტედფინალით. უმაღლესლიგელები პირველლიგელებს სტუმრობდნენ. ეს ბარიერი ყველა „ქართულმა" გუნდმა დაძლია. „კრივბასში" შედგა გორელი ალეკო კაიდარაშვილის დებიუტი, „ნივამ" კი ძველებით, ტყუპი კაპანაძეებით, გვიანიძითა და სიხარულიძით იხეირა. კიევის „დინამოს" არ უთამაშია, რადგან ზაპოროჟიეს „ტორპედომ" გრანდთან პაექრობაზე უარი თქვა მერვედფინალში „დინამო" — „ხერსონს", „ნივა" — „კარპატს", „კრივბასი" — „დონეცკის მეტალურგს", ცსკა — „ვორსკლას", „შახტარი" კი „ბორისფენს" ეთამაშება.

განახლდა შვეიცარიის პირველებაც და როგორც იქნა, გაირკვა, რომ „ციურიხი" ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებს. ფედერაციამ არ მიიღო ციურიხელთა პროტესტი და ფინალურ ჯგუფში „ქსამაქსი" დატოვა. „ციურიხი" კი კვირას „არაუს" ესტუმრა და 0:0 ითამაშა. გოლის გატანა შეეძლო ჯამარაულს, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი გააფუჭა, ყაველაშვილმა კი მეორე ტაიმში შონ ბარტლეტი შეცვალა.

2:5 წააგო „ფრაიბურგმა" და ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება საოცნებო გაუხდა. კვლავ ცუდად ითამაშეს ქართველებმა. „კიკერმა" კობიაშვილს — 4, შეცვლაზე შესულ იაშვილს კი 5 დაუწერა. ეს მეოთხე 5-იანია იაშვილისთვის მე-11 მატჩში, რაც საკმაოდ ცუდი შედეგია. „ფრაიბურგს" ახლა მხოლოდ ორი ქულაღა აშორებს ფრანკფურტის „აინტრახტისგან", რომელიც მე-16 ადგილზა.

უქცბაიოდ მოიგო „ნიუკასლმა". ქართველი გავილანთან, ფუმაკასთან და დაიერთან ერთად სათადარიგოებში იჯდა. რობსონმა იგი „უოტფორდთან" თამაშის მესამე დღეს დუბლებში ათამაშა. „ჯორდებმა" 3:0 მოუგეს „ბოლტონს". თავად რობსონი კი ესპანეთში გაემგზავრა, სადაც ბოლო ინფორმაციით, ტრავმირებული ბარსელონელის ლუის ენრიკეს გადაბირებას შეეცდება. „ჩელსის" 16 კაციან განაცხადში კვლავ არ იყო რატი ალექსიძე ქართველი ალბათ მარტის მიწურულს ისევ რეზერვებში გაატარებს.

ლაშა ჯაკობიამ კვლავ 90 წუთი ითამაშა „ვეზეტის" რიგებში, რომელმაც არნახული წინააღმდეგობა გაუწია მეორე ადგილზე მყოფ „დეზელ სპორტს", თუმცა მეორე ტაიმში გაშვებული გოლით მაინც წააგო. „ვეზეტი" უკვე მესამე დივიზიონელია, „პაკენგემთან" მას 10 ქულა აშორებს. ისრაელში დარასელიას ქფარ სავამ ჰაიფას „ჰაპოელი" ერთი ქულით გაისტუმრა. გახოკიძის ჰაიფას „მაკაბი" კი უკვე მესამე ადგილზე დაეშვა.

დანარჩენი ქართველები არ ჩანდნენ. „ლიერსმა" უშეყილაძეოდ წააგო ლიეჟში. „ბრედამ" არჩილის გარეშე მოუგო „ჰერაკლესს", ჰოლანდიური პრესის ცნობით, არჩილი სხვა კლუბში უნდა გაისინჯოს.

„პანაჰაიკმა" „პროდეფტიკს" წაართვა მნიშვნელოვანი ქულა, ამ მატჩში ჩვენთვის უცნობი მიზეზით არ იყო გოდერძი ნატროშვილი. „ირაკლისმა" კი არც „პანათინაიკოსთან" ათამაშა ლევან ქებაძე.

პოლონეთში ლიდერობა დაკარგა „რუხმა", ხოჟუველებმა ჯიქიას გარეშე წააგეს „ვიძევთან". აზერბაიჯანში კი კონფლიქტი ფედერაციასა და კლუბებს შორის ისევ გაღვივდა და ჩემპიონატი დროებით შეწყდა.

**სიმონ მენაბდე**



ლევან კობიაშვილი ბრემენელ კლაუდიო პიზაროსა და რასუნდარა ტიკუზუს (მარჯვნივ) გაურბის

| სახელი გვარი | კლუბი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | შ | უოტფორდი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | მანჩესტერი 1:3 | 90 | საგოლე პასი |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ევერტონი 1:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| კახი ცხადაძე | მანჩესტერ სიტი | ს | ბარნსლი 1:2 | 0 | ტრავმა |
| **გერმანია** | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ვერდერი 2:5 | 31 | შეცვლაზე ითამაშა |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ვერდერი 2:5 | 90 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ვერდერი 2:5 | 0 | ტრავმა |
| **ჰოლანდია** | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | | | | დღეს თამაშობს |
| მეორე დივიზიონი | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | შ | ჰერაკლესი 2:0 | 0 | |
| **ბელგია** | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | სტანდარდი 1:3 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| მეორე დივიზიონი | | | | | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | ს | დეზელი 0:1 | 90 | |
| **შვეიცარია** | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | არაუ 0:0 | 90 | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | არაუ 0:0 | 44 | შეცვლაზე ითამაშა |
| **საბერძნეთი** | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | პროდეფტიკი 2:2 | 0 | |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | შ | პანათინაიკოსი 1:3 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| **ავსტრია** | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | |
| ზაზა რევიშვილი | ზალცბურგი | შ | ლინცერი 1:2 | 0 | განაცხადში შეყვანას ელოდება |
| **უკრაინა** | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | ს | ტორპედო (ზ) 0:3 | 0 | დინამოს მოგება ჩაეთვალა |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | ს | ტორპედო (ზ) 0:3 | 0 | დინამოს მოგება ჩაეთვალა |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | პოლიგრაფ. 1:0 | 90 | |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | ს | სტალი 2:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| მიხეილ ფოცხვერია | შახტარი | ს | ნიკოლაევი 2:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | ობოლონი 1:0 | 90 | |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | ობოლონი 1:0 | 90 | |
| კახა დგებუაძე | ნივა | ს | ობოლონი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | ობოლონი 1:0 | 90 | |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | ს | ობოლონი 1:0 | 7 | შეცვლაზე ითამაშა |
| **პოლონეთი** | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | ვიძევი 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| **ისრაელი** | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰაპოელი (ქფარ სავა) | შ | ჰაპოელი (ჰ) 0:0 | 90 | |
| გიორგი გახოკიძე | მაკაბი (ჰაიფა) | ს | ჰაპოელი (თ) 1:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია |
| **ბულგარეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| კობა ნინუა | ბელასიცა | ს | პირინი 0:1 | 0 | ტრავმა |
| ზაზა ზირაქიშვილი | ბელასიცა | ს | პირინი 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| **მოლდოვა** | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | ს | აგრო 2:0 | 9 | შეცვლაზე ითამაშა |
| დავით მუჯირი | შერიფი | ს | მოლდგაზი 2:0 | 70 | 1 გოლი, შეცვალეს |
| გიორგი რევაზიშვილი | შერიფი | ს | მოლდგაზი 2:0 | 0 | |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | ს | მოლდგაზი 2:0 | 0 | |
| თამაზ პერტია | შერიფი | ს | მოლდგაზი 2:0 | 44 | შეცვლაზე ითამაშა |
| **აზერბაიჯანი** | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | |
| ბადრი კვარაცხელია | შამქირი | | | | ჩემპიონატი დროებით შეწყდა |

# ცოტა დრო, დიდი პრობლემა

## „ატლეტიკო“ მეორე დივიზიონისკენ ელვის სისწრაფით მიექანება

მადრიდის „ატლეტიკოს“ და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელმა ფრანსისკო ნარვაეს მაჩონიმ, იგივე კიკომ, ორშაბათს თანაგუნდელებს უთხრა: „უნდა გამოვფხიზლდეთ, თორემ ვერაფერი გვიშველის“. კიკო „ატლეტიკოში“ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, თუმცა გაფრთხილება საჭირო არც იყო, მადრიდულ კლუბს რომ ცუდად აქვს საქმე, ისედაც ყველამ იცის. არადა, ცნობილია, „ატლეტიკო“ მეტად ამბიციური კლუბია. ის ქვეყნის ჩემპიონი ცხრაჯერ გამხდარა, მათ შორის ორჯერ „ავიაციონის“ სახელით. ბოლო დიდი წარმატება მას ოთხი წლის წინ ჰქონდა, როდესაც დუბლი შეასრულა — ჩემპიონობას თასიც მიაყოლა.

„ატლეტიკოს“ დღევანდელი ყოფა კი მართლაც სავალალოა, მადრიდელები გათამაშების ცხრილში ასე (მე-18 ადგილზე) 1964-65 წლების სეზონის შემდეგ არ დაქვეითებულან. თამაშის მოგებაც სანატრელი გაუხდათ. ბოლო გამარჯვება მათ 29 იანვარს „სელტას“ წინააღმდეგ მატჩში იზეიმეს, მას შემდეგ კი ექვსი ტური ჩატარდა.

კიკო ამბობს: „ყოველ მომდევნო შეხვედრას სულ უფრო ცუდად და ცუდად ვატარებთ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ პატარა კლუბები ჩვენს წინააღმდეგ გააფთრებით იბრძვიან, თუნდაც ახლა კვირას „ვალიადოლიდთან“ მარცხი ავიღოთ. მათზე აშკარად ძლიერები ვართ, თუმცა ვალიადოლიდელთა ჟინს და გამარჯვებისკენ სწრაფვას ვერაფერი დავუპირისპირეთ. ისე, ჩვენც ანალოგიურად ვიქცევით — „რეალს“ და „ბარსას“ მთელი მონდომებით ვეთამაშებით“.



„ატლეტიკოს“ „კიკოს“ (მარჯვნივ) თავგანწირული თამაშიც ვეღარ შველის

როდის შეწყვეტს „ატლეტიკო“ მოუგებელ მატჩების სერიას? საეჭვოა, რომ ეს მომდევნო ტურში მოხდეს. „ვისენტე კალდერონზე“ „ატლეტიკო“ „რეალს“ მიიღებს. მძიმე შეხვედრა ელით. რადომირ ანტიჩს ხუთი ფეხბურთელი არ ეყოლება. კარლოს აგილერა და ველიკო პაუნოვიჩი „ვალიადოლიდთან“ მატჩის დროს დაშავდნენ, ხოლო სანტი და რუბენ ბარახა უფრო ადრე დაიმტვრნენ. დისკვალიფიცირებულია ხუან კარლოს ველერონი, თუმცა კარგ ფორმაში არიან მეგოლე ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და კიკო. ამ უკანასკნელს გახშირებული ტრავმების გამო კარგა ხანს ნაკრებში აღარ იწვევდნენ, ეხლა კი კამაჩო მის ბელგია — ჰოლანდიაში წაყვანას აპირებს.

და ბოლოს, თუ „ატლეტიკოს“ პრიმერა დივიზიონში დარჩენა სურს, როგორც კიკო ამბობს, დროულად უნდა გამოფხიზლდეს. ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ ათი ტური დარჩა.

**გიორგი დარჯანია**

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ნორვიჩის“ თავკაცი ბრიუს რიოჭი წარუმატებლობის გამო თანამდებობიდან გადადგა. უკანასკნელ ტურში, შინ „კრისტალ პალასთან“ წაგების შემდეგ გუნდი მე-14 ადგილზე ჩამოქვეითდა, რასაც რიოჭის გათავისუფლება მოჰყვა. მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად სეზონის ბოლომდე გუნდის ერთ-ერთი დირექტორი, ჩრდილოირლანდიელი ბრაიან ჰამილტონი დაინიშნა.

ესპანეთის ჩემპიონმა „ბარსელონამ“ ჰოლანდიელ მეკარე რუუდ ჰესპთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. 34 წლის ჰესპი სეზონის ბოლოს კატალონიური კლუბის დატოვებას აპირებდა, თუმცა საბოლოოდ აზრი შეიცვალა და ესპანეთში კიდევ ერთი წელი დარჩება. ჰოლანდიელ მეკარეს „ბარსელონაში“ ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა, ახალგაზრდა ფრანსისკ არნაუ, რომელმაც ერთხანს გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც დაიმკვიდრა ადგილი.

ინგლისის პირველ დივზიონში მოასპარეზე „ბლექბერნის“ მთავარ მწვრთნელად „ლივერპულისა“ და „ბენფიკას“ ყოფილი თავკაცი გრემ სუნესი დაინიშნება. გუნდის მწვრთნელის მოვალეობას ამჟამად ტონი პარკერი ასრულებს. მან ნოემბერში გათავისუფლებული ბრაიან კიდი შეცვალა. „ბენფიკადან“ წასვლის შემდეგ სუნესი ერთ-ერთი ტელეარხის ანალიტიკოსად მუშაობდა. „ლივერპულთან“ ერთად მან 1992 წელს ინგლისის თასი მოიპოვა, თუმცა მალე გულმა შეუტია და კლუბიც დატოვა.

სლოვაკეთი. მე-16 ტური. ტრენჩინი — ბანიკი 2:0; პეტრჟალკა — დუნაისკა სტრედა 2:0; რუჟომბეროკი — ინტერი 1:1; ჰუმენი — ნიტრა 3:1; სენეცი — დუბნიცა 3:0; სპარტაკი (ტრნავა) — ბანსკა ბისტრიცა 4:0; სლოვანი — ტატრანი 6:0; კოშიცე — ჟილინა 2:0. ჩემპიონატს 33-33 ქულით ბრატისლავის „ინტერი“ და „კოშიცე“ ლიდერობენ, მესამე ადგილზეა ტრნავის „სპარტაკი“ — 29 ქულა.

იუგოსლავია. 27-ე ტური. ჰაიდუკი (ბელგრადი) — ვოივოდინა 2:2; ჩუკარიჩკი — ჰაიდუკი (კულა) 0:0; სუტიესკა — მოგრენი 2:0; რადნიჩკი (ნიში) — სარტიდი 2:1; სპარტაკი — მილიციონარი 3:2; რადნიჩკი (კრაგუევაჩი) — ბორაცი 1:1; ოფკ (ბელგრადი) — ცრვენა ზვეზდა 1:2; რადი — ჟელეზნიკი 1:0; ბუდუჩნოსტი — ზემუნი 1:0; პარტიზანი — ობილიჩი 0:1. ჩემპიონატს ბელგრადული კლუბები ლიდერობენ, „ობილიჩი“ — 67 ქულა, „პარტიზანი“ — 66 ქულა, „ცრვენა ზვეზდა“ — 63 ქულა.

სლოვენია. მე-19 ტური. დრავოგრადი — მურსკა სობოტა 2:1; ცელიე — მარიბორი 1:2; ოლიმპია — აიდოვშინა 1:3; ნოვა გორიცა — დომჟალე 2:0; ბელტინჩი — ველენიე 1:2; რუსე — პრევალიე 3:5. ჩემპიონატს 41 ქულით „მარიბორი“ ლიდერობს, მეორე ადგილზეა „ნოვა გორიცა“ — 36 ქულა, მესამეა ლიუბლიანის „ოლიმპია“ — 34 ქულა.

ბულგარეთი. მე-18 ტური. სპარტაკი (ვარნა) — ლევსკი 0:1; პირინი — ბელასიცა 1:0; ჩერნომორეცი — ოლიმპიკი 2:1; ბოტევი — ლოვეჩი 2:0; დობრუჯა — ნეფტოხიმიკი 0:0; სლავია — ველბაჟდი 1:2; ცსკა (სოფია) — მინიორი 6:1; შუმენი — ლოკომოტივი 1:1. ჩემპიონატს 49 ქულით სოფიის „ლევსკი“ ლიდერობს, მეორე ადგილზეა სოფიის ცსკა — 40 ქულა, მესამეა კისტენდილის „ველბაჟდი“ — 37 ქულა.

ალბანეთი. მე-17 ტური. პარტიზანი — ელბასანი 2:1; ბილიში — ლუშნია 1:0; ტომორი — შკიპონია 1:0; შკენდერბო — ტირანა 0:1; ტეუტა — დინამო 1:0; ვლაჟნია — ფლამურტარი 3:1; შკუმბინი — აპოლონია 2:0. ჩემპიონატს 33-33 ქულით „ტირანა“ და დურეშის „ტეუტა“ ლიდერობენ, მესამე ადგილზეა ბერატის „ტომორი“ — 31 ქულა.

ხორვატია. 22-ე ტური. დინამო — ჰაიდუკი 0:0; შიბენიკი — ოსიეკი 0:2; ციბალია — ვუკოვარი 0:1; ვარტექსი — დრაგოვოლიაცი 0:0; ისტრა — ზაგრები 0:0; რიეკა — სლავენი 1:1. ჩემპიონატს 51 ქულით ზაგრების „დინამო“ ლიდერობს, მეორე ადგილზეა სპლიტის „ჰაიდუკი“ — 47 ქულა, მესამეა „ოსიეკი“ — 37 ქულა.

ისრაელი. 28-ე ტური. ჰაპოელი (თელ ავივი) — მაკაბი (ჰაიფა) 1:1; ირონი — აშდოდი 0:2; ბნეი იეჰუდა — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) 1:0; მაკაბი (ჰერცლია) — ბეითარი 0:0; მაკაბი (ნეთანია) — ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) 2:4; ჰაპოელი (იერუსალიმი) — მაკაბი (თელ ავივი) 2:4; ჰაპოელი (ქვარ სავა) — ჰაპოელი (ჰაიფა) 0:0. ჩემპიონატს 61 ქულით თელ ავივის „ჰაპოელი“ ლიდერობს, მეორე ადგილზეა ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი“ — 60 ქულა, მესამეა ჰაიფას „მაკაბი“ — 59 ქულა.

უკრაინის თასის მეთექვსმეტედფინალი. ტორპედო (ზაპოროჟიე) — *დინამო*. „ტორპედო“ გაკოტრდა, კიევის „დინამო“ პირდაპირ გავიდა მერვედფინალში; სტალი (II) — *ცსკა (კიევი)* 0:2; *ხერსონი (II)* — ჩორნომორეცი 1:0; *ლვოვი (II)* — მეტალურგი (მარიუპოლი) 4:0; ზაკარპატია (II) — *ვორსკლა* 2:5; ვოლინი (II) — *დნიპრო* 1:3; იავორი (II) — *ტავრია* 1:2; ნეფტიანიკი (II) — *მეტალურგი (ზაპოროჟიე)* 0:2; პოლიგრაფტეხნიკა (II) — *კრივბასი* 0:1; ობოლონი (II) — *ნივა (ტერნოპოლი)* 0:1; ჩერკასი (II) — *კარპატი* 1:2; *ვინიცა (II)* — მეტალისტი 2:2 (პენ. 4:2); *ბორისფენი (II)* — პრიკარპატია 0:0 (პენ. 3:1); სკა (ნიკოლაევი) (II) — *შახტარი* 1:2; მეტალურგი (ნიკოპოლი) (II) — *ზირკა* 1:1 (პენ. 1:3)

## უნგრეთი

21-ე ტური. ნადიკანიჟა — დუნაფერი 0:1; ჰალადაში — ვაშაში 1:2; ტატაბანია — ნიირეგი 2:1; შიოფოკი — მტკ 2:2; ფერენცვაროში — ვაცი 8:0; ჰონვედი — ზალაეგერსეგი 1:0; დიორ ეტო — დებრეცენი 1:1; უიპეშტი — დიოშდიორი 5:0; სეგედი — პეჩი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 21 | 14 | 6 | 1 | 53:17 | 48 |
| მტკ | 21 | 12 | 7 | 2 | 40:17 | 43 |
| ვაშაში | 20 | 13 | 2 | 5 | 41:20 | 41 |
| დებრეცენი | 21 | 10 | 6 | 5 | 31:22 | 36 |
| ფერენცვაროში | 21 | 9 | 6 | 6 | 42:21 | 33 |
| უიპეშტი | 21 | 9 | 6 | 6 | 38:26 | 33 |
| დიორ ეტო | 21 | 8 | 7 | 6 | 35:21 | 31 |
| ტატაბანია | 21 | 7 | 9 | 5 | 23:27 | 30 |
| პეჩი | 20 | 7 | 8 | 5 | 26:29 | 29 |
| ზალაეგერსეგი | 21 | 6 | 9 | 6 | 22:15 | 27 |
| ჰონვედი | 21 | 6 | 7 | 8 | 21:28 | 25 |
| ნიირეგი | 21 | 6 | 5 | 10 | 20:35 | 23 |
| ჰალადაში | 21 | 6 | 3 | 12 | 23:33 | 21 |
| დიოშდიორი | 21 | 5 | 6 | 10 | 19:35 | 21 |
| ნადიკანიჟა | 21 | 4 | 7 | 10 | 18:27 | 19 |
| შიოფოკი | 21 | 5 | 5 | 11 | 17:32 | 17 |
| ვაცი | 21 | 2 | 6 | 13 | 18:51 | 12 |
| სეგედი | 19 | 3 | 5 | 11 | 13:44 | 8 |

*„შიოფოკს“ დაკლებული აქვს 3 ქულა, „სეგედს“ — 6 ქულა*

## რუმინეთი

22-ე ტური. დინამო — უნივერსიტატეა 5:2; სტიაუა — ნაციონალი 2:3; არჯეში — რაპიდი 0:1; ჩეჰლაული — ონეშტი 6:0; ბაკეუ — ფარული 1:1; ექსტენსივი — პეტროლული 0:0; გლორია — როკარი 2:1; ასტრა — რეშიცა 2:1; ოცელული — ბრაშოვი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 19 | 2 | 1 | 64:17 | 59 |
| რაპიდი | 22 | 14 | 4 | 4 | 38:22 | 46 |
| არჯეში | 22 | 13 | 3 | 6 | 32:18 | 42 |
| ჩეჰლაული | 21 | 12 | 4 | 5 | 33:25 | 40 |
| გლორია | 22 | 12 | 2 | 8 | 31:27 | 38 |
| ასტრა | 22 | 10 | 4 | 8 | 34:26 | 34 |
| სტიაუა | 21 | 9 | 3 | 9 | 40:42 | 30 |
| ბაკეუ | 22 | 8 | 6 | 8 | 22:26 | 30 |
| უნივერსიტ. | 22 | 8 | 5 | 9 | 28:25 | 29 |
| ოცელული | 22 | 8 | 3 | 11 | 34:36 | 27 |
| პეტროლული | 22 | 7 | 5 | 10 | 25:33 | 26 |
| ნაციონალი | 21 | 7 | 4 | 10 | 30:28 | 25 |
| ბრაშოვი | 22 | 7 | 3 | 12 | 31:32 | 24 |
| როკარი | 21 | 8 | 0 | 3 | 28:35 | 24 |
| ფარული | 22 | 6 | 6 | 10 | 26:36 | 24 |
| ონეშტი | 22 | 7 | 3 | 12 | 25:50 | 24 |
| რეშიცა | 22 | 4 | 6 | 12 | 26:48 | 18 |
| ექსტენსივი | 22 | 4 | 3 | 15 | 15:38 | 15 |

## სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი

V ტური

A ჯგუფი

ზიმბაბვე 1:0 უგანდა
ანგოლა 3:1 ნიგერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზიმბაბვე | 5 | 4 | 0 | 1 | 11:7 | 12 |
| ანგოლა | 5 | 3 | 0 | 2 | 12:9 | 9 |
| ნიგერია | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| უგანდა | 5 | 0 | 0 | 5 | 3:11 | 0 |

B ჯგუფი

სამხრეთ აფრიკა 1:0 განა
კამერუნი 2:1 გვინეა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:4 | 12 |
| სამხ. აფრიკა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| განა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| გვინეა | 5 | 0 | 0 | 5 | 3:12 | 0 |

C ჯგუფი

კოტ დივუარი 3:1 ტუნისი
ეგვიპტე 1:1 მაროკო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:7 | 10 |
| კოტ დივუარი | 5 | 2 | 2 | 1 | 12:8 | 8 |
| ეგვიპტე | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| ტუნისი | 5 | 0 | 1 | 4 | 5:12 | 1 |

# თქვენ რას დაირქმევდით

რასაც ქვევით გიამბობთ, საპირველაპრილო ხუმრობა არ გეგონოთ, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქამდე თხუთმეტიოდე დღეა დარჩენილი.

თუმცა სანამ სათქმელს მივადგებით, ცოტა გონება გავავარჯიშოთ და უცნაური სახელები გავიხსენოთ. მაშ, ასე:

ქართული — ველოდი, არველოდი, სევგული (სევდიანი გული) და სხვა.

კომუნისტურ-ბოლშევიკური — ჯუსტალი (ჯუღაშვილი სტალინი), ლესტანბერი (ლენინი-სტალინი-ბერია), მარლენი (მარქსი-ლენინი) და სხვა.

ზოგადსაკაცობრიო — დაზმირი (*Да Здравствует Мир*) და სხვა.

პროლეტარული — სტაგორანი (*Стачка Горных Рабочих Англии*) და სხვა.

სამხედრო-პატრიოტული — ქარიშხალი უდაბნოში (ამერიკელთა მიერ ერაყში მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად) და სხვა.

ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუმც აქ გავჩერდეთ.

ახლა კი 36 წლის ბულგარელის, მარინ ზდრავკოვის ამბავი მოვყვეთ. ის ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგია და განსაკუთრებით „მანჩესტერ იუნაიტედი“ მოსწონს. მარინ ზდრავკოვი ახლახან სოფიის მმაჩის ბიუროში მისულა და უთქვამს, სახელის შეცვლა მსურს და პასპორტში „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩამიწერეთო.

მმაჩის თანამშრომლებმა ერთმანეთს გადახედეს და უცნაურ მთხოვნელს ფსიქიატრიული საავადმყოფოს მისამართი მისცეს. აღშფოთებულმა მოქალაქემ სასამართლოს მიმართა, ეგებ თქვენ მიშველოთო. და რა გგონიათ? გაიმარჯვა. ამიერიდან მას მანჩესტერ იუნაიტედ ზდრავკოვი ჰქვია.

აი, ასეთი ამბებიც ხდება.

**სარბიელ (გიორგი) დარჯანია**


LEVON TRAVEL

ლევონ თრეველი გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასწრებას

- გაატარეთ 6 დაუვიწყარი დღე პარიზში, 20-26 მაისს.
- ცხოვრება სამვარსკვლავიან სასტუმროში საუზმით, ექსკურსია პარიზსა და მის შემოგარენში.
- ავია და მატჩზე დასასწრები ბილეთები, დახვედრა-გაცილება.
- საგზურის ღირებულება 1190 აშშ. დოლარის ეკვივალენტი ლარებში. საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 29 მარტი.

ადგილები შეზღუდულია

მის: ჭავჭავაძის გამ. 20, ტელ. 25 00 10/25 00 60, მობ. 8 99 53 78 45

# ...ვერაფერი შავიტყე



სილვიო ბერლუსკონი

უიღბლო გამოდგა იტალიის პირველობის 25-ე ტური სკუდეტოს ერთ-ერთი მაძიებლისთვის, „მილანისთვის". მან „ვერონასთან" მშობლიურ „სან სიროზე" 3:3 ითამაშა და ბუნებრივია გვარიანად გააწბილა გულშემატკივარი. ამასთან დაკავშირებით, კლუბისა და ზოგადი მდგომარეობის შესახებ თავისი აზრი პრეზიდენტმა, სილვიო ბერლუსკონიმ გამოთქვა.

მწვრთნელის, ალბერტო ძაკერონის შესახებ: „მისი კონტრაქტის ვადა 2001 წელს იწურება, მაგრამ ერთი ხნის წინ მასთან თანამშრომლობის გაგრძელება გადავწყვიტეთ და თუ ასეა, ბუნებრივია, უნდა ვენდოთ კიდეც. მეორე მხრივ კი, ერთობ კატეგორიულად მსურს განვაცხადო, რომ თანამშრომლობის გაგრძელება მთლიანად იქნება დამოკიდებული ამ სეზონის შედეგებზე. იმავდროულად, ჯოხის მწვრთნელზე გადატეხვას სულაც არ ვაპირებ. როგორც პრეზიდენტი, ყოველთვის მწვრთნელთა დახმარებას ვცდილობდი. მსურდა და მსურს მათ პრობლემების მოგვარებაში შეძლებისდაგვარად ხელი შევუწყო. თუმცა ყველასთან ერთი მოთხოვნა მაქვს — არიგო საკისაც კი ამაზე ვეკამათებოდი — მოწინაალმდეგის გამთამაშებელი პერსონალურმა მეურვემ უნდა გააუვნებლოს. მოკლედ, ძაკერონის არავითარ შემთხვევაში მოვთხოვ იმ სტილის შეცვლას, რომლითაც წლების განმავლობაში წარმატებებს აღწევდა".

ფეხბურთელების შესახებ: „როცა მოთამაშეებთან ვარ, ზუსტად ვიცი რომელი უნდა დავტუქსო, ხოლო რომელი წავახალისო. ვერ გავიზიარებ იმ ადამიანთა მოსაზრებას, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ფეხბურთელებს ჩემი სრული მხარდაჭერა სჭირდებათ, მე კი მათ მიმართ აგრესიულად ვარ განწყობილი. მესმის გულშემატკივართა განწყობილება, მაგრამ ჩემიც გაიგეთ: როდესაც გუნდი იგებს, მისი მხარდაჭერა იოლია".

გუნდის შესახებ: „ვერაფრით გამიგია, რატომ გამწვავდა მდგომარეობა ასე უცბად მაშინ, როდესაც აქამდე კარგა ხნის განმავლობაში ყველაფერი მტკნარად მიდიოდა — მეოთხე ადგილზე მყოფს სამი ქულით ვუსწრებდით და თან მთავარ კონკურენტებთან შინ გვიწევდა თამაში. მოკლედ, ოპტიმიზმის სრული საბაბი გვქონდა. „მილანი" გასულ სეზონში ჩემპიონი გახლდათ და წლეულსაც დიდი იმედი გვქონდა, რადგან ვიცით, რომ ძაკერონის გუნდები გაზაფხულზე განსაკუთრებით კარგად თამაშობენ. გარდა ამისა, ხოსე შამოტის შეძენით, რინო გატუზოს მარჯვენა ფრთაზე გადაყვანითა და დიეგო დე აშენტისის შუაში ჩართვით, ზურგიც გავიმაგრეთ. დარწმუნებული ვიყავით, რომ „ინტერს", „კალიარის" და „ვერონას" დავამარცხებდით.

სეზონის დარჩენილი ნაწილის შესახებ: „ბოლო ორ შეხვედრაში ფაქტობრივად კარში არ დაგვირტყამს. ამან გუნდის მორალურ მხარეზე დიდი გავლენა იქონია, რაც ვერაფრით ამიხსნია. მე კი არა, მწვრთნელთა ჯგუფიც ვერაფერს ამბობს. დღეისათვის ჩვენი ამოცანა სულ მცირე ჩემპიონთა ლიგაში გასვლაა, რისთვისაც ოთხეულში მოხვედრა გვჭირდება".

# კრიტიკა ნიუ იორკიდან



მასიმო მორატი

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მილანის „ინტერის" პრეზიდენტს, მასიმო მორატის განმარტება მოსთხოვა: მილიონერს „ლაციოსთან" 2:2 ნათამაშევი შეხვედრის შემდეგ მსაჯობაზე უთქვამს რაღაც.

ფედერაციის ოფიციალურ განცხადში წერია, რომ რომში უახლოეს პერიოდში მორატის ვერსიას ელიან, ხოლო გუნდის ტექნიკური დირექტორი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გაბრიელე ორეალი უკვე გამოიძახეს სადისციპლინო კომიტეტის წინაშე წარსადგომად „ისეთი შეხედულებების გამოთქმისთვის, რომელიც მსაჯთა და საკუთრივ ფედერაციის რეპუტაციას ლახავს".

მოკლედ კი საქმე ის გახლავთ, რომ მორატის „ლაციო" — „ინტერის" შეხვედრის შემდეგ უთქვამს:

„ეს უსამართლობაა, თამაში ფედერაციის დანიშნულმა საშინელმა მსაჯმა (სტეფანო ბრასკიმ) აურია. დროა ამას ბოლო მოეღოს და ფედერაციის ხელმძღვანელობა გადადგეს".

თან, ბიზნესმენს ეს სიტყვები ნიუ იორკში, საქმიანი ვიზიტის დროს განუცხადებია.

შეგახსენებთ: „ინტერი" რომის ოლიმპიურ სტადიონზე 2:0-ს იგებდა, მაგრამ ფეხბურთელი გაუძევეს და თამაშის ბოლო 10 წუთში ანგარიშიც გაუთანაბრეს. პრეზიდენტი დარწმუნებული ყოფილა, რომ მისი გუნდის კოლუმბიელი მოთამაშე ივან კორდობა მოწინაალმდეგის ჩილელ ფორვარდს, მარსელო სალასს უხეშად არ შეხებია და შესაბამისად, გასაძევებელიც არ გახლდათ. მისი აზრით, მსაჯმა ბრასკიმ ყოველივე იმიტომ მოიმოქმედა, რომ „იუვენტუსისთვის" კონკურენტები ჩამოეშორებინა და მისი ლიდერობა განემტკიცებინა.

# დავწყნარდეთ და ვითამაშოთ

„ჩვეულებრივი დღე იყო" — განაცხადა იტალიის ჩემპიონატის ლიდერის, „იუვენტუსის" მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ მას მერე, რაც მისმა გუნდმა 25-ე ტურში პიაჩენცადან შინ 3 ქულა წაიღო. მართლაც ძნელია არ დაეთანხმო „ბებერი ქალბატონის" ახალგაზრდა ხელმძღვანელს, რადგან იმავე ტურში უახლოესმა მდევრებმა და უმთავრესმა კონკურენტებმა, „ლაციომ", „ინტერმა" და „მილანმა" ქულები დაკარგეს.

ანჩელოტის ფიქრები ახლა, მოახლოებულ უქმეებზე კალენდრით მიტანილი ტურინული დერბისკენ არის მიმართული. ის დარწმუნებულია, რომ „შავ-თეთრთათვის" ეს შეხვედრა უდიდესი მნიშვნელობისა იქნება, რადგან თუ „ლაციოს" კვლავ ფეხი დაუცდება, ისინი ექვსი ქულით ჩამოიტოვებენ რომაელებს.

თუმცა „იუვეს" თავკაცი ემოციებს არ ჰყვება და ამბობს: „კარგი მდგომარეობაა, მაგრამ სამშვიდობოს არ ვართ გასული. წინ კიდევ ცხრა ტურია და ქულების წინასწარი თვლა დიდი შეცდომა იქნება".

შემდეგ ანჩელოტიმ ალესანდრო დელ პიერო და ფილიპო ინძაგი შეაქო, თქვა, რომ მათი გოლები, რომლებიც „პიაჩენცას" კარში გავიდა, დაცვაში ენერგიული თამაშით იყო შეზავებული.

„სწორედ ეს არის ჩვენი სიძლიერე" — დასძინა მან. რაც შეეხება „ინტერის" პრეზიდენტის, მასიმო მორატის გამონათქვამს, თითქოს მისი გუნდისა და „ლაციოს" შეხვედრაში მსაჯმა რომაელთა სასარგებლოდ იმიტომ დაუშვა შეცდომები, რომ „იუვენტუსისთვის" კონკურენტები ჩამოეცილებინა, ანჩელოტიმ ამასთან დაკავშირებით ასე თქვა: „ყველასთვის დამშვიდება აჯობებს".

„პიაჩენცასთან" მოგების შემდეგ ანჩელოტიმ ფეხბურთელები სამშაბათამდე დაასვენა. ბოლო ტურში დაშავებული ჩირო ფერარასა და ალესანდრო ბირინდელის ამბავი ჯერ კიდევ გასარკვევია.



კარლო ანჩელოტი

## ანჯელო პერუცი

**ნაცნობი**

დაიბადა 1970 წლის 16 თებერვალს ვიტერბოში.
სიმაღლე: 181 სმ, წონა: 88 კგ.
კლუბები: „რომა", „ვერონა", „იუვენტუსი", „ინტერი".
სერია A-ში პირველად 1987 წლის 13 დეკემბერს ითამაშა.

ანჯელო პერუცის „ვერონაში" თამაშის დროს, გუნდის იმდროინდელმა მწვრთნელმა, შვედმა ნილს ლიდჰოლმა ტაისონი შეარქვა, ჩაფსკვნილი ხარ, ცნობილ ამერიკელ მოკრივეს ჰგავხარო და შერჩა კიდეც ეს მეტსახელი. მაგრამ ტაისონის ტირილი გაგონილა? აი, პერუცის ტირილი კი ყველამ ნახა, როდესაც 1994 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, „სკუადრა აძურას" მწვრთნელმა, არიგო საკიმ გამოუცხადა აშშ-ში არ წაგიყვანო.

„მილანის" ყოფილმა მწვრთნელმა 1995 წლის 25 მარტსლა აჩუქა თეთრკანიან ტაისონს უდიდესი ბედნიერების წუთები — სალერნოში, ესტონეთის ნაკრებთან შეხვედრაში პირველად მოარგებინა ეროვნული გუნდის მაისურა. მას მერე პერუცის ფიგურა „სკუადრა აძურას" ორ ძელს შორის ჩვეულ სურათად იქცა. ასე იყო საკის მწვრთნელობისას და ასე გაგრძელდა შემდეგაც, როდესაც ნაკრებს ჩეზარე მალდინი ჩაუდგა სათავეში.

კაცმა რომ თქვას მალდინის გუნდში სხვა მეკარე წარმოუდგენელიც გახლდათ, ვინაიდან ბარსელონას ოლიმპიადაზე ოლიმპიელთა კარში ჩეზარინიოს სწორედ პერუცი ეყენა და, შესაბამისად, იგი ქვეყნის საუკეთესო მეკარედ მიაჩნდა.

სურათი ბოლოს შეიცვალა, როდესაც ნაკრებში დინო ძოფი მივიდა და ახალგაზრდა მეკარეებზე გაამახვილა ყურადღება.

ახლა, რაც შეეხება კლუბებს: როგორც „საპასპორტო" მონაცემებში ამოიკითხეთ, ტაისონი სერია A-ში 1987 წლის 13 დეკემბერს მონათლეს. ეს გახლდათ მატჩი „სან სიროზე" (დებიუტი მილანის დიდებულ სტადიონზე, როგორია?), რომელშიც „რომა" „მილანს" სტუმრობდა და 2:0 მოუგო. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში პერუცის ძირითადი შემადგენლობისკენ გზა რომაელთა მთავარი მეკარის, ტანკრედის ნერვულმა სტრესმა გაუხსნა.




ანჯელო პერუცი

თუმცა, დებიუტის მიუხედავად, ჩვენმა გმირმა ამის შემდეგ ორი სეზონი მაინც სათადარიგოთა სკამზე გაატარა, რის გამოც 1989-90 წლების სეზონში „ვერონას" მიაშურა. იქ, რომეოსა და ჯულიეტას ქალაქის გუნდში პერუციმ იმდენად კარგად ითამაშა — ერთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში რობერტო მანჩინის გადამწყვეტი პენალტიც აუღო — რომ ისევ დედაქალაქში დააბრუნეს.

და აი, იმ დროს, 1990 წლის 1 ოქტომბერს, ტაისონ-მეკარის შარდში დოპინგის კვალი აღმოაჩინეს — პრეპარატს „ლიპოპილი" ერქვა — და იგი თანაგუნდელ ანდრეა კარნევალესთან ერთად ერთი წლით ტრიბუნაზე გადასვეს.

მაგრამ, პერუცის უკვე სახელი ჰქონდა გავარდნილი და გაუვიდა თუ არა დისკვალიფიკაციის ვადა, „იუვენტუსში" ამოჰყო თავი. „იუვენტუსში" მას ტიფოზების გმირთან, სტეფანო ტაკონისთან მოუხდა ადგილისთვის კონკურენცია და ... ისინი ორი წლის განმავლობაში ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ. მერე კი... მერე ტაისონმა იმძლავრა, ვეტერანი დაჩრდილა და მეგობარ მიქელანჯელო რამპულასთან ერთად (ის ძირითადში, რამპულა სათადარიგოთა სკამზე ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე) „იუვენტუსში" ფანტასტიკური წლები გაატარა.

დასასრული კი ყველაფერს აქვს, თურმე „ბებერი ქალბატონის" დიდებასაც. გუნდი ჩავარდა, მისი წარმატებების შემოქმედი მწვრთნელი მარჩელო ლიპი გადადგა, შემდეგ „ინტერში" გადავიდა და... ტაისონსაც შეუთვალა, ჩემთან წამოდიო.

პერუცი წავიდა, დღეს „ინტერის" კარს იცავს და ახლახანს, სერია A-ს 25-ე ტურში, „ლაციოსთან" იმდენად კარგად ითამაშა, რომ „სარბიელმა" გასული უქმეების გმირად შერაცხა. მერე რა, რომ მატჩი 2:2 დასრულდა ანუ პერუციმ ორი გოლი გაუშვა. ჯერ ერთი, ის რომ არა, მილანელები, ბოდიში და, გაცილებით მეტს გაუშვებდნენ და მეორეც, მეორე გოლი, ჩვენ თუ გვკითხავთ, ჩასათვლელი სულაც არ იყო, ტაისონი ბურთს იგერიებდა და მოგერიებულს დაეწეოდა კიდეც, სიმონე ინძაგის წიხლი რომ არ ეთავაზებინა და ამით თანაგუნდელისთვის ხელ-ფეხი არ გაეხსნა.

**მიხეილ სურგულაძე**

## არგენტინა

V ტური

## სამხრეთ ამერიკა



დაშავებული ჩილავერტი მოედნიდან საკაცით გაიყვანეს

ბოკა ხუნიორსი 1:0 არგ. ხუნიორსი; სან ლორენსო 1:0 რასინგი; როსარიო 4:2 ლა პლატა; კოლონი 4:0 უნიონი; ინსტიტუტო 2:0 ტალერესი; (მატჩი შეწყდა 57-ე წუთზე) ლანუსი 0:0 ველესი (მატჩი შეწყდა 30-ე წამზე); ესტუდიანტესი 1:3 ოლდ ბოიზი; ინდეპენდიენტე 4:2 ხიმნასია ხუხუი; ბელგრანო 0:1 რივერ პლეიტი

კარგად ვიცით, არგენტინაში საფეხბურთო მატჩების დროს ჩხუბი და აყალმაყალი ჩვეულებრივი მოვლენაა და არც არავის უკვირს. თუმც კლაუსურას მეხუთე ტური ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეული გამოდგა.

ლანუსში იქაური კლუბი „ველეს სარსფილდს" მასპინძლობდა. მსაჯმა ჩასტვინა თუ არა, მავანმა ვაიგულშემატკივარმა სტუმართა საჯარიმოში მაშხალა ისროლა. აფეთქება ძლიერი არ ყოფილა, თუმცა სავსებით იკმარა იმისთვის, რომ „ველესის" სახელგანთქმულ მეკარეს ხოსე ლუის ჩილავერტს დამწვრობა მიელო. აღსანიშნავია, რომ ეს ჩილავერტზე მეორე ამგვარი თავდასხმაა. პირველი შარშან „ველესი" — „ინდეპენდიენტეს" შეხვედრის დროს მოხდა.

არბიტრმა სერხიო ბოსატამ თამაში შეწყვიტა და ფეხბურთელებს გასახდელისკენ გაუძღვა. მატჩის დაწყებიდან 30 წამი იყო გასული. პარაგვაიელი მეკარე დაუყოვნებლივ უახლოეს საავადმყოფოში გააქანეს. როგორც „ველესის" მწვრთნელი ხულიო სესარ ფალკონი ამბობს, ჩილავერტი სერიოზულად დაშავდა და ფეხზე დამოუკიდებლად ვერ დგება. რამდენ ხანს გასტანს მკურნალობის პროცესი, ჯერჯერობით უცნობია.

ალბათ ბედის ირონიაა, რომ სწორედ ამ მატჩის წინ ლანუსელებმა ქომაგთა ქცევის გასაკონტროლებლად სტადიონზე 35 კამერა დაამონტაჟეს, რომელთა საერთო ღირებულება 600 ათას დოლარს შეადგენს. როგორც აღმოჩნდა, ამ ხერხმა არ გაჭრა. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციაში კი უახლოეს დღეებში გადაწყდება, თუ რა სასჯელს დააკისრებენ „ლანუსს". სოლიდური ჯარიმა გარდაუვალია, თუმცა ჯერაც გაურკვეველია, შეხვედრის გადათამაშება მოეწყობა თუ „ველესი" პირდაპირ დაჯილდოვდება სამი ქულით. „სასჯელს ვერ გადავურჩებით" — დაღონებული ამბობს „ლანუსის" პრეზიდენტი ემილიო ჩებელი. ისე 600-ათასიანმა სათვალთვალო სისტემამ თავისი საქმე მაინც გააკეთა, პოლიციამ ორი „პიროტექნიკოსის" დაპატიმრება შეძლო.

მეხუთე ტურში კიდევ ერთი მატჩი ჩაიშალა. კორდობაში ადგილობრივი დერბი შედგა — „ინსტიტუტო" „ტალერესს" ხვდებოდა. თუმცა 57-ე წუთზე შეხვედრის შეწყვეტის მიზეზი არაკრიმინალური (მადლობა ღმერთს!) გახლდათ. სტადიონზე ძაბვის ვარდნის გამო პროჟექტორები გამოირთო და მსაჯმა და ფეხბურთელებმა სიბნელეში ბურთის დევნას მატჩის მოგვიანებით ჩამთავრება ამჯობინეს. იმ დროისთვის „ინსტიტუტო" 2:0 იგებდა, ხოლო დარჩენილი 33 წუთი გუშინ გვიან ღამით გაითამაშეს.

სასეირო ამბავი მოხდა სან ლორენსოშიც. „სან ლორენსო" „რასინგს" მასპინძლობდა. ის იყო, მეორე ტაიმი უნდა დაწყებულიყო, რომ ტრიბუნიდან უცნობმა მამაკაცმა ისკუპა და მინდორზე ფეხბურთელებს შეერია. პოლიციელები უმალ მასთან გაჩნდნენ და წესრიგის დამრღვევი წააბრძანეს. ამ შემთხვევის გამო შესვენება ორიოდ წუთით მეტხანს გაგრძელდა. და ამით რა? — იკითხავთ. საქმე ისაა, რომ დამნაშავე ადგილობრივ საკაბელო ტელევიზიასთან ყოფილა შეკრული, რომელიც ამ მატჩის ტრანსლაციას გადასცემდა. ჰოდა, ტელევიზიის მესვეურთ მავანი გულშემატკივრესთვის დაუვალებიათ, შეხვედრის გაგრძელება ცოტათი დააყოვნე, რათა ტაიმებს შორის რეკლამის გაშვებისთვის მეტი დრო დაგვრჩესო. არადა, რეკლამის ყოველი წუთი დიდი ფული ღირს.

წმინდა საფეხბურთო ამბებიდან კი ის არის აღსანიშნავი, რომ „რივერმა" და „ბოკამ" მინიმალური ანგარიშით მოიგეს და ლიდერ „სან ლორენსოს" ორ-ორი ქულით ჩამორჩებიან.

გიორგი დარჯანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო | 5 | 4 | 1 | 0 | 6:2 | 13 |
| ბოკა ხუნიორსი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| რივერ პლეიტი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:5 | 11 |
| ინდეპენდიენტე | 5 | 3 | 1 | 1 | 15:7 | 10 |
| კოლონი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 10 |
| ლა პლატა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| როსარიო | 5 | 2 | 3 | 0 | 8:4 | 9 |
| ოლდ ბოიზი | 5 | 2 | 2 | 1 | 11:6 | 8 |
| ველესი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| ლანუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ტალერესი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ესტუდიანტესი | 5 | 1 | 2 | 2 | 9:10 | 5 |
| რასინგი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| უნიონი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ბელგრანო | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 |
| ფერო კარილი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| ჩაკარიტა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ინსტიტუტო | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ხუხუი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:14 | 1 |
| არგ. ხუნიორსი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | 1 |

## მედელინი — მკვლელობათა ქალაქი



კოლუმბიელი ფანი არტურო ბუსტამეტეს ცხედარს დასტირის

მედელინი ქალაქია კოლუმბიაში, რომელმაც გახმაურებული მკვლელობებით გაითქვა სახელი. სწორედ იქ მოკლეს ანდრეს ესკობარი, კოლუმბიის ნაკრების ფეხბურთელი.

გუშინ კი მედელინიდან კიდევ ერთი მკვლელობის ამბავი მოვიდა. მსხვერპლი ამჯერად კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი არტურო ბუსტამეტეა, რომელიც ფეხბურთში განგსტერთა ჩარევის წინააღმდეგ ილაშქრებდა. სამწუხაროდ, კოლუმბიაში მოთამაშეთა მკვლელობა ძალიან გახშირდა. ბესტამეტეს ოჯახისთვის კი ეს ტრაგედია მესამეა — დაღუპულს ადრე ორი შვილი მოუკლეს.

## კოსმოპოლიტური მიმოხილვა

საფრანგეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი იმიტომ ვერ გახდება, რომ ჯერ ერთი ფეხბურთის თამაში არ იცის — მსოფლიოს ჩემპიონი ჩაწყობით გახდა, ფინალში ბრაზილიამ მისცა — მეორეც, ახალი მწვრთნელი, ძველისგან განსხვავებით თამაშის სიგანეზე გაშლას ითხოვს, კარები კი სიგრძეზე დგას, მესამეც თავდამსხმელები არ ჰყავს, მეოთხეც ზიდანი რომ ფეხბურთელი აღარ არის „სელტამ" დაამტკიცა, მეხუთეც დესაი ბებერია, მეექვსეც დეშამპი გოიმია, მეშვიდეც პეტიმ ლონდონში ბუტიკი გახსნა და ჯინსების შესაზიდად ბაზრობაზეა გასული, მერვეც ბარტეზმა მონაკოს პრინცესა სტეფანია რომ მოისურვილა ტოპმოდელი ლინდა ევანგელისტა შეიყვარა, ახლა ისიც მობეზრდა და ამბობენ თვალი ალა პუგაჩოვას დაადგაო და ასე შემდეგ.

გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი იმიტომ ვერ გახდება, რომ ჯერ ერთი ფეხბურთის თამაში არ იცის — ბოლოს, თუ არ ვცდებით, საქართველოს მოუგო, ისიც მსაჯის დახმარებით (საქართველოს ყველა ასე უგებს) — მეორეც მათეუსი „ბაიერნიდან" „მეტროსტროიში" გადავიდა და იქ რაც მოუვა ყველამ ვიცით, მესამეც კლინსმანმა თამაშს თავი დაანება, მეოთხეც ფიოლერმა თამაშს უფრო ადრე დაანება თავი, მეხუთეც ბრაიტნერმა კიდევ უფრო ადრე დაანება თამაშს თავი, მეექვსეც ფრიც ვალტერმა სულ მთლად ადრე დაანება თამაშს თავი და ასე შემდეგ.

ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონი იმიტომ ვერ გახდება, რომ ჯერ ერთი ფეხბურთის თამაში არ იცის — მსოფლიოს ჩემპიონი ერთხელ იყო და ისიც იმიტომ, რომ იმ დღეს ბაქოში „ნეფთჩიმ" გოლი გაიტანა თუ რაღაც, ზუსტად არ გვახსოვს — მეორეც მწვრთნელად მიკი მაუსი ჰყავს, იხვი დონალდი მაინც ჰყავდეს, მესამეც ინგლისელები კარგად მარტო იორკშირში, დევონშირში, ჩეშირსა და ჰემპშირში თამაშობენ, ევროპის ჩემპიონატი კი ჰოლანდიაშია, მეოთხეც მეტი არაა ჩემი მტერი კიერონ დაიერი ჩემპიონი ვერ გახდეს, მეხუთეც ნაკრებში ნორვეგიელის აყვანა არ შეიძლება, ნაკრები „რომელიმ იუნაიტედი" არ გეგონოთ და ასე შემდეგ.

იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი იმიტომ ვერ გახდება, რომ ჯერ ერთი ფეხბურთის თამაში არ იცის — ისტორიაში ყველაზე დიდი მოგება 1:0 აქვს, სხვა თამაშებში იგებს ძელით ნოლს, ორი კუთხურით ერთ კუთხურს და სამი აუტით ორ აუტს — მეორეც ყველაზე დიდი ვარსკვლავი, დელ პიერო მხოლოდ პენალტის დარტყმაში ვარგა და თუ გავითვალისწინებთ, რომ პენალტი საშუალოდ რვა ტურში ერთხელ ინიშნება, შეუძლია შვიდმატჩიან ევროპის ჩემპიონატზე სულ არ ჩავიდეს, მესამეც მთავარმა ბომბარდირმა, ფილიპო ინძაგიმ თავის კატეგორიაშიც კი ვერ მიიღო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდება — საუკეთესო, თუ არ ვცდებით, მია კრემლინგი თუ მიშელ აკერსი გახდა, მეოთხეც, და რაც მთავარია, ანჯელო დი ლივიო დაბერდა და ასე შემდეგ.

ჰოლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი იმიტომ ვერ გახდება, რომ ჯერ ერთი ფეხბურთის თამაში არ იცის — ერთადერთი, მეტოქეს კლარენს ზეედორფის და ედგარ დავიდსის მსგავსება თუ დააბნევს — მეორეც დენის ბერხკამპს ფრენის ეშინია და თუმც ჰოლანდია (სადაც ჩემპიონატი ტარდება) ინგლისთან (სადაც თამაშობს) ახლოსაა, პრემიერლიგის დამთავრების მერე, დაღლილმა, ვეჭვობთ მანქანითაც ჩაასწროს, მესამეც კლუივერტს ახლა, მალე დაიჭერენ (დიდი ხანია არავინ მოუკლავს და გაუუპატიურებია), მეოთხეც ქვეყანა სადაც ვან ნისტელროოი მართლა ვარსკლავი ჰგონიათ ჩემპიონი უბრალოდ ვერ გახდება და ასე შემდეგ.

ბელგია... ბელგია არა ისა.

ესპანეთი... კარგი, რა.

ევროპის ჩემპიონი სლოვენიის ნაკრები გახდება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფეხბურთის თამაში იცის — ქვეჯგუფში საქართველოს, საბერძნეთს, ალბანეთს და ლატვიას აჯობა — მეორეც ვინც საქართველოს აჯობა ყველა მაგარია, მესამეც საქართველოს მოგება ვინმეს ის არ ეგონოს, რა ქვია იმას, მეოთხეც რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ, მეხუთეც დავლევ... დავლევ აბა რას ვიზამ, მეექვსეც თქვენს იალქნებს არხევს ქარი და ასე შემდეგ.

გარდა ამისა გასათვალისწინებელია მოულოდნელობის, მოსალოდნელობის, ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ფსიქოლოგიურივე ქვეწოლის, ჭირვარამის, ავ-კარგიანობის, ბედ-იღბლის, სტუმარ-მასპინძლობის და უამრავი სხვა ფაქტორიც, რაც ასევე სლოვენთა წისქვილზე ასხამს წყალს.

ბაბუნა ქედია

**ავტორი ქართულ ტელეკომპანიებს თხოვს იანვარ-თებერვალ-მარტში საღამოობით ნაჩვენები ფილმების ბოლო ხუთ-ხუთი წუთი დააგროვონ და ერთად გაუშვან. თბილისში გრაფიკის თანახმად დენი 12 საათზე ირთვება და მოსახლეობას ბოლო ჩხუბების კადრები აკლია.**



ჰეი, ვინ მოვკლა მანდ, მომავალში

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ჩემპიონთა ლიგა. მე-5 ტური**

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 505 | ბარსელონა-ჰერტა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 506 | პორტუ-სპარტა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 507 | ბორდო-ვალენსია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 508 | მანჩესტერი-ფიორენტინა | 1,5 | 3,3 | 6,0 |

**უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები**

16 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 509 | არსენალი-ვერდერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 510 | ლიდსი-სლავია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 511 | სელტა-ლანსი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 512 | მალიორკა-გალათასარაი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ქოვენთრი-ევერტონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 002 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**ჰოლანდია**

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 009 | სიტარდი-აიაქსი | 4,7 | 3,3 | 1,6 |

**შოტლანდია**

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 010 | დანდი იუნ.-კილმარნოკი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 011 | სენტ ჯონსტონი-ჰართსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**პოლონეთი. მე-18 ტური**

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 013 | ლკს პლოცკი ($17^{00}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 014 | ზაგლებე-ლეგია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 015 | პოლონია-გროცლინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 016 | პოლონია-გროცლინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 017 | ვისლა-ვიძევი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 018 | ვისლა-ვიძევი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 019 | სტომილი-პოგონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 020 | რუხი-რაძიონკოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 021 | რუხი-რაძიონკოვი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 022 | გურნიკი-ოდრა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 023 | ლეხი-ამიცა | 2,1 | 2,9 | 3,2 |

**კალათბურთი. NBA**

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 811 | ბოსტონი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 812 | შარლოტი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 813 | ატლანტა-ინდიანა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 814 | დეტროიტი-ორლანდო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 815 | საკრამენტო-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

16 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 816 | ვაშინგტონი-ლეიკერსი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 817 | მაიამი-ფილადელფია | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 818 | კლივლენდი-იუტა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 819 | მილუოკი-ჰიუსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 820 | სან ანტონიო-დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 821 | პორტლენდი-მინესოტა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 822 | სიეტლი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

**ჰოკეი. NHL**

15 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 826 | ნიუ ჯერსი-დალასი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 827 | ვაშინგტონი-აილენდერსი | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 828 | ტორონტო-ჩიკაგო | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 829 | რეინჯერსი-ტამპა ბეი | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 830 | კაროლინა-ედმონტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 831 | კალგარი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 832 | ფინიქსი-სენტ ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 833 | ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 834 | სან ხოსე-ბუფალო | 1,8 | 4,0 | 2,2 |

16 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 835 | ფილადელფია-მონრეალი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 836 | პიტსბურგი-ფლორიდა | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 837 | ატლანტა-აილენდერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 838 | დეტროიტი-ტორონტო | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 839 | ჩიკაგო-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 840 | კოლორადო-ნეშვილი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 841 | ვანკუვერი-ბუფალო | 1,9 | 4,0 | 2,1 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**

701 არსენალი (1,3)-ვერდერი (2,8)

702 ლიდსი (1,15)-სლავია (4,0)

703 სელტა (1,3)-ლანსი (2,8)

704 მალიორკა (1,5)-გალათასარაი (2,3)

*გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლისას მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე (წყვილის სრულად დაწერა საჭირო არ არის)*

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის [illegible] მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;.
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საფრანგეთში მოღონიერებულ ბორჯღალოსნებს ჰოლანდიელთა ძლევა განუზრახავთ

# ქართველები შურისძიებას აპირებენ

## მაყურებლისთვის ეს სანახაობა უფასო იქნება

საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში დიდი ფუსფუსია. 19 მარტს ჩვენი ნაკრები ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს მასპინძლობს. ეს მატჩი ერთობ საპასუხისმგებლოა იმიტომ, რომ ევროპის ეროვნებათა თასის გათამაშებაში ესპანელებთან მარცხის შემდეგ პირველობის მსურველ „ბორჯღალოსნებს" ჰაერივით სჭირდებათ გამარჯვება და ლელოების მარაგი. დღესდღეობით საქართველოს ნაკრებს სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი უჭირავს და ბურთების უარყოფითი ბალანსი (-2) აქვს. თუმცა დარჩენილი ორი შეხვედრის მოგებით ქართველებს ნამდვილად შეუძლიათ სასურველი შედეგის მიღწევა.

ნაკრები წევრთა ნაწილი უკვე საქართველოშია. მალე მათ დანარჩენებიც შეუერთდებიან და ხვალიდან სრული შემადგენლობა შეიკრიბება კლოდ სორელის ხელმძღვანელობით. ნაკრები 17 და 18 მარტს ორდღიან შეკრებას გამართავს. ჰოლანდიასთან შეხვედრა იოლი არ იქნება. ეს საქართველოს რაგბის კავშირში კარგად მოეხსენებათ, ამიტომ ნაკრებისთვის ხუთდღიანი შეკრება იყო გათვალისწინებული, მაგრამ უფულობის გამო ხელმძღვანელობა ორდღიანს დაჯაბულდა.

ჰოლანდიელებთან მატჩი ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. საქართველოს რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით მაყურებელს უფასოდ შეუშვებენ სტადიონზე. არავინ იფიქრობს, თითქოს რაგბის კავშირს ფული მოსჭარბებოდეს. კავშირი შორს იყურება და ამ საქმეს რაგბის პოპულარიზაციისთვის აკეთებს. ისიცაა, რომ დღევანდელი სიდუხჭირის პირობებში ძნელია, მაყურებელს, ვისაც მართლა უყვარს რაგბი, ბილეთი შეაძენინო და ისე მოიყვანო საგულშემატკივროდ. იმედია, სპორტის ამ სახეობის თაყვანისმცემლები სათანადოდ დააფასებენ კავშირის ასეთ ქმედებას და მხარდაჭერას არ დაამადლიან ქართველ მორაგბეებს. თამაში თბილისის დროით 15 საათზე დაიწყება.

შეხვედრას იტალიელთა ბრიგადა განსჯის. მართალია, აპენინელთა მსაჯობა ცუდად გვაქვს დაცდილი (გეხსომებათ, ჯაკომელიმ რა დაგვმართა ესპანელებთან შეხვედრაში), მაგრამ იმედია, ამჯერად ობიექტურად და სამართლიანად გაირჩევიან სალვატორე დე ფალკო (მთავარი არბიტრი), ჯეიმს შოლდი და რობერტო ბონაკორსი. ისინი 18 მარტს ესტუმრებიან საქართველოს. მატჩის კომისარი კი უკრაინის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი კალიტენკო იქნება. სპორტული თემიდის მსახურთათვის და FIRA-ს დელეგატისთვის სასტუმროს ნომრები უკვე დაჯავშნულია.

როგორ მოვიდნენ ჩვენი და ჰოლანდიის ნაკრებები აქამდე? „ბორჯღალოსნების" ამბავი მკითხველს კარგად მოეხსენება, ვინაიდან რეგულარულად გაწვდიდით ინფორმაციას მათი შეხვედრების შესახებ. ჰოლანდიელებმა, ისევე როგორც ჩვენ, ჯგუფში ორი ოფიციალური მატჩი გამართეს: პირველი ესპანეთთან 8:33 დათმეს, მეორე კი რუმინეთთან — 10:39, სატურნირო ცხრილში 0 ქულით ბოლო ადგილი უკავიათ და ბურთების ყველაზე უარესი ბალანსი აქვთ (-54). ჰოლანდიის ნაკრები ჯგუფში ყველაზე სუსტია და მოსალოდნელია, მან A ჯგუფი დატოვოს და B-ში გადაბარგდეს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ 19 მარტის შეხვედრა უკვე მოგებულია. ჰოლანდიელების ავანჩავანი ჩვენმა მორაგბეებმაც კარგად იციან. გავიხსენოთ, რომ 1995 წელს შინ ნიდერლანდელებმა 55:3 მოუგეს ქართველებს. ჩვენს სალელოე მოედანზე მეტოქემ 9-ჯერ(!) დაგვიდო ბურთი. მას მერე 5 წელი გავიდა და ბევრმა წყალმაც ჩაიარა. თუმცა ასეთი წყენა ადვილად არ ქრება და რევანში ქართველებზეა. მით უმეტეს, ამის ძალა შეგვწევს. იმ ავადსახსენებელი შეხვედრის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ქართულ რაგბიში და პორტუგალიასთან, მაროკოსთან, ესპანეთთან გამართულ შეხვედრებში ჩვენმა ბიჭებმა ვაჟკაცურად ითამაშეს.

გუნდების შემადგენლობაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. საქართველოს ნაკრები სრულად 16 მარტს შეიკრიბება და ყველაფერს მერე შევიტყობთ.

**ზაზა გენიძე**

# ლომუს „ვაი, თითი", ველინგტონის შიშ

გასულ უქმეებზე სამხრეთნახევარსფეროელი მორაგბეები უქმად სულაც არ ყოფილან და ზე-12-ის მესამე ტური გამართეს, რომელშიც ორი პირწმინდად ახალზელანდიური პაექრობა იყო, ერთიც სამხრეთაფრიკული. დანარჩენ ორ მატჩში კი ავსტრალიელებმა აფრიკელებს უმასპინძლეს და ორივეში დიდი სირცხვილი აჭამეს.

წინა ტურში დასვენებული კრაისტჩერჩი ხვდებოდა ოკლენდს, რომელსაც უნდოდა, შინ ჰამილტონთან განცდილი მარცხის სიმწარე დაევიწყებინა. თუმცა მასპინძლებმა ოკლენდელებს ამის საშუალება არ მისცეს და ზედიზედ მეორე წაგება მიათვლევინეს. „ჯეიდ სტედიუმზე" გამართული მატჩის შემდეგ სტუმართა კაპიტანმა რობინ ბრუკმა ენდრიუ მერთენსისკენ გაიშვირა ხელი და ჟურნალისტების გასაგონად თქვა, მერთენსმა მოგვითავა ხელიო. მართალიც იყო ლეგენდარული „შავის" — ზინზან ბრუკის უმცროსი ძმა. „ოლ ბლექსის" დამრტყმელმა საკუთარ ანგარიშზე 17 ქულა ხომ ჩაიწერა და თავისიანების სამი ლელოდან ორი სწორედ მისი მშვენიერი თამაშის შედეგი იყო. „მერთენსი ძალიან დიდი ძალაა. ბურთს სადაც მოესურვება, იქ აგდებს" — აღფრთოვანებული იყო მოწინააღმდეგით რობინ ბრუკი.

თამაში კრაისტჩერჩის უპირატესობით დაიწყო. მის გააფთრებულ იერიშებს მეტოქემ ვერაფერი დაუპირისპირა და მალე ანგარიში 15:0 გახდა. ქულების მოპოვება ამ მონაკვეთში ოკლენდსაც შეეძლო, მაგრამ მის შემადგენლობაში მერთენსივით კარგი დამრტყმელი არ იყო და სტუმრებს რამდენიმე საჯარიმო გაუცუდდათ. მერთენსთან ერთად მასპინძელთაგან კიდევ ერთი მორაგბე გამოირჩეოდა — კელიბ რალფმა სკოტ რობერტსონისა და ლეონ მაკდონალდის ლელოების მომტან კომბინაციებშიც მიიღო მონაწილეობა, კრაისტჩერჩის მესამე ლელო კი მისი სოლო-გარღვევის შედეგია. თანაც რალფმა ლელო მეტად საჭირო დროს გაიტანა. ოკლენდი უკვე გონს მოსულიყო და ანგარიშში სხვაობასაც ნელ-ნელა ამცირებდა. ტაიმის მიწურულს სტუმრები ექვს ქულასღა აგებდნენ (15:21), მაგრამ აქ რალფმა ივარგა და თავისიანები 11 ქულით დააწინაურა. მეორე ტაიმში ოკლენდელები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ ერთი ლელოს მეტი ვერ გაიტანეს, მერთენსმა კი კიდევ ექვსი ქულა მოიხვეჭა და ზე-12-ის შარშანდელმა ჩემპიონმა მეორედ გაიმარჯვა.

პირველ ტურში ოკლენდში დამარცხებული კანბერა მეორე მატჩს ატარებდა და დურბანი გაანადგურა კიდეც. ავსტრალიელებმა თავიდანვე ძლიერად შეუტიეს და მეტოქის დაცვაც ერთიანად მოშალეს. ენდრიუ უოლკერმა საწყის 15 წუთში სამჯერ დადო ბურთი სამხრეთაფრიკელთა სალელოე მოედანზე. პირველი ტაიმის შუაწელში კი მასპინძლები უკვე 27:3 იგებდნენ და მატჩის ბედიც გადაწყვეტილი იყო. დურბანის ასეთი უსუსური თამაში იმითაც იყო გამოწვეული, რომ მსაჯმა პირველ ტაიმში ორჯერ დატოვა უმცირესობაში. 10-10 წუთით ჯერ ვანტერი გააგდეს, შემდეგ კი ლე რუ. ლე რუს მოედანზე არყოფნით კანბერამ დიდად იხეირა და სწორედ ამ დროს გაიტანა ორი ლელო. ტაიმი 32:3 დამთავრდა.

განაზღდა თუ არა მატჩი, ბარტოლომეუსმა თავისი მეორე ლელო გაიტანა, მალევე როფმაც გამოიჩინა თავი, მორტლოკმა ერთი გარდასახვა ზუსტად შეასრულა და ანგარიში დურბანისთვის კატასტროფული გახდა — 44:3. სტუმრებმა ამის მერეღა მოახერხეს თავიანთი ერთადერთი ლელოს გატანა, რომელიც იმ დღეს საზიზღრად მოთამაშე დიუ ტუამ გარდასახა, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც მასპინძლებმა თქვეს. საბოლოოდ 51:10. „ორი კვირის წინ განცდილი მარცხის შემდეგ მოგება ჰაერივით გვჭირდებოდა. თავიდანვე მხოლოდ შეტევაზე ვფიქრობდით და საწადელსაც იოლად მივაღწიეთ" — თქვა კანბერას მთავარმა მწვრთნელმა ედი ჯონსმა.

ამ ტურში კიდევ ერთი სამხრეთაფრიკული გუნდი სტუმრობდა ავსტრალიას. იოჰანესბურგი სიდნეიში ჩავიდა და მთლად დურბანივით არა, მაგრამ არც ნაკლებად განადგურდა. არადა, თამაშის დასაწყისში სტუმართა ასეთ წაგებას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. სიდნეის „ფუტბოლ სტედიუმზე" შეკრებილ 20 ათას მაყურებელს პირველ ტაიმში მორაგბეთა უამრავი შეცდომის ხილვამ მოუწია. ასე გაგრძელდა დაახლოებით მე-60 წუთამდე. ამის მერე კი მასპინძლების თამაში გარდაიქმნა. 62-ე წუთზე მეტ დოულინგმა გაიტანა სიდნეის მეორე ლელო, რასაც დარჩენილ დროში კიდევ ოთხი მოჰყვა. მეტიუ ბარკმა ყველა გარდასახვა ზუსტად შეასრულა, ჯამში 21 ქულა მოაგროვა და ტურნირის ყველაზე შედეგიან მოთამაშეთა სიასაც სათავეში მოექცა.

ტურის ცენტრალური შეხვედრა კი უდავოდ დანიდინისა და ველინგტონის დაპირისპირება იყო. ორივე გუნდი დაუმარცხებელი გახლდათ და დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი. სტუმრებს ზე-12-ში ყველაზე ძლიერი უკანა ხაზი ჰყავთ — ლომუ, უმაგა, კალენი და იერემია „ოლ ბლექსის" წევრები არიან და ნებისმიერი მეტოქის გაცამტვერება შეუძლიათ. თუმცა, დანიდინელთა ბედად, ჯონა ლომუს თამაშის გამოტოვებამ მოუწია, რადგან თითი ჰქონდა მოტეხილი. მასპინძლებმა აქცენტი შერკინებაზე გააკეთეს. მეუვსი, ოლივერი და ტრავმამოშუშებული ჰოფტი ახალი ზელანდიის ნაკრებში არიან და მეტოქის გაცილებით სუსტი შერკინების დაჯაბნა არ გასჭირვებიათ. ტეინ რენდელმა და ჯოშ კრონფელდმა კი სულ მთლად ბოლო მოუღეს ველინგტონელ მორკინალებს. მასპინძლები მალე დაწინაურდნენ — 14:7. „ამ დროს ჩვენები პანიკამ მოიცვა" — თქვა მატჩის შემდეგ ველინგტონის კაპიტანმა ნორმ ჰივიტმა. ამას კი ტანა უმაგა ემსხვერპლა; სტუმართა სალელოე მოედნისკენ დაძრული რომი როპატი „ოლ ბლექსის" ფრთამ სახიფათოდ შებოჭა და მსაჯმა მას წითელი ბარათი უჩვენა, თანაც მისი გუნდი საჯარიმო ლელოთი დასაჯა. რიცხვნაკლულმა ველინგტონმა კი მატჩის გადარჩენა ველარ მოახერხა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან სტუმრებს თავიანთი მშვენიერი ფრთები — ლომუ და უმაგა — აღარ ჰყავდათ.

კეიპტაუნს პრეტორია სტუმრობდა და 40 ათასმა მაყურებელმა მეტად ულიმღამო მატჩი იხილა. თანამემამულე გუნდები ძალიან უნიათოდ ირჯებოდნენ და საბოლოოდ დაზავდნენ.

**გაიოზ თალაკვაძე**

### ზე-12 მესამე ტური

10 მარტი

**კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია) 32:20 ოკლენდი (ახალი ზელანდია)**

კრაისტჩერჩი: 3ლ — რობერტსონი, მაკდონალდი, რალფი; 1გ., 3ს. და 2ა — მერთენსი
ოკლენდი: 3ლ — ფლეველი (2), რობინსონი; 1გ. და 1ს — ტეილორი

**კანბერა (ავსტრალია) 51:10 დურბანი (სამხრეთ აფრიკა)**

კანბერა: 7ლ — უოლკერი (3), ბარტოლომეუსი (2), როფი, უილიამსი; 5გ. და 2ს — მორტლოკი
დურბანი: 1ლ — ფან რესბურგი; 1გ. და 1ს — დიუ ტუა

11 მარტი

**სიდნეი (ავსტრალია) 51:16 იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა)**

სიდნეი: 6ლ — პინკერტონი, დოულინგი, სტენიფორტი (2), გრეი, სჩერბინა; 6გ. და 3ს — ბარკი
იოჰანესბურგი: 1ლ — მასინა; 1გ. და 3ს — კოენი

**დანიდინი (ახალი ზელანდია) 35:19 ველინგტონი (ახალი ზელანდია)**

დანიდინი: 4ლ — ბროუნი, მიდლტონი, ალატინი, საჯარიმო; 2გ. და 3ს — ბროუნი; 1გ — ლეინი
ველინგტონი: 3ლ — ფლემინგი (2), ჰოლუელი; 2გ — ჰოლუელი, ლილი

**კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა) 19:19 პრეტორია (სამხრეთ აფრიკა)**

კეიპტაუნი: 1ლ — გერბერი; 1გ. და 2ს — ფან სტრაატენი; 2ს — მონტგომერი
პრეტორია: 1ლ — ლოურენსი; 1გ. და 4ს — დე ბეერი



ტანა უმაგას გაძევებამ ველინგტონს ფრთები ჩამოუყარა

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დანიდინი | 3 | 3 | 0 | 0 | 2 | 0 | 112:56 | 14 |
| სიდნეი | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 99:51 | 10 |
| ველინგტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 2 | 0 | 102:83 | 10 |
| კრაისტჩერჩი | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 59:44 | 8 |
| იოჰანესბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 61:88 | 8 |
| კეიპტაუნი | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 59:56 | 7 |
| კანბერა | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 66:28 | 6 |
| ჰამილტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 56:52 | 6 |
| ოკლენდი | 3 | 1 | 0 | 2 | 1 | 1 | 63:79 | 6 |
| პრეტორია | 3 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 51:75 | 3 |
| დურბანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 53:118 | 1 |
| ბრისბენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 38:93 | 0 |

*მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისათვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია*

### ყველაზე შედეგიანები

1. მეტიუ ბარკი (სიდნეი) — 56 ქულა
2. ტონი ბროუნი (დანიდინი) — 48
3. ბრაამ ფან სტრაატენი (კეიპტაუნი) — 37
4. ჯანი დე ბეერი (პრეტორია) — 36
5. დევიდ ჰოლუელი (ველინგტონი) — 33

### საუკეთესო მელელოეები

1. ენდრიუ უოლკერი (კანბერა) — 5 ლელო
2. ჯონა ლომუ (ველინგტონი) — 3
3. კრისტიან კალენი (ველინგტონი) — 3
4. ტანა უმაგა (ველინგტონი) — 3
5. სკოტ სტენიფორტი (სიდნეი) — 3

### მეოთხე ტური

17 მარტი

**დანიდინი — იოჰანესბურგი**

18 მარტი

**სიდნეი — დურბანი**

**ჰამილტონი — ველინგტონი**

**ბრისბენი — კრაისტჩერჩი**

**კეიპტაუნი — კანბერა**

*პრეტორია და ოკლენდი ისვენებენ*

ევროპული ბიბლიოთეკა

# ექვსთა ბრძოლა ერთი დღით ადრე დაიწყება

## დასვენებაც იქნება

საქართველოს ჩემპიონატი

მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატი ნელ-ნელა გადამწყვეტ სტადიაში შედის. მომავალ უქმეებზე ბოლო, ოცდამეორე ტური გაიმართება და ამით რეგულარული ჩემპიონატიც დამთავრდება, რის შემდეგაც ვნებათაღელვის ახლებური სიო დაჰბერავს ქართულ კალათბურთში. გახურდება ექვსეულის თამაშები და გულშემატკივარიც აღარ მოიწყენს: დაძაბულობა და ინტრიგა ხომ ერთიორად იმატებს.

სულ ახლახან კალათბურთის ფედერაციამ დათქვა ზუსტი თარიღი, როცა ელიტარული ქართული კლუბები მარათონულ სვლას განაგრძობენ დასახული მიზნის მისაღწევად. უფრო სწორად, ფედერაციამ წინასწარ დათქმული 26 მარტის ნაცვლად 25-ში ბრძანა ექვსეულის თამაშების დაწყება. როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ გვითხრა, ყოველივე გუნდების ინტერესების გათვალისწინებით გაკეთდა, რადგან ექვსეულში ადგილდაბევებულ კლუბთა მესვეურებმა მიუღებლად ჩათვალეს ფედერაციის მიერ წინასწარ შედგენილი გრაფიკი. მათ ფედერაციას ძირითადად ის შესჩივლეს, რომ ამ გრაფიკის თანახმად გუნდებს ზედიზედ ხუთი თამაშის გამართვა უწევდათ, რაც კალათბურთელებისგან უდიდეს ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვდა. კლუბებმა სთხოვეს ფედერაციას, რომ შუალედში ერთი დასვენების დღეც გამოეყო, რადგან ეს აუცილებელი გახლდათ დაკარგული ენერგიით აღსადგენად. ფედერაციამაც გაითვალისწინა მათი თხოვნა და გადაწყვიტა, რომ ექვსეულის თამაშები ერთი დღით ადრე, ანუ 25 მარტს დაიწყოს. გუნდები მომდევნო ორ დღესაც ითამაშებენ ერთმანეთში, მერე ერთ დღეს დაისვენებენ და ასპარეზობასაც ამის შემდეგ განაახლებენ. ექვსეულის პირველი წრე 30 მარტს დამთავრდება, მეორე წრის დაწყება კი 20 აპრილისთვისაა დაგეგმილი.

გიორგი გიცაშვილი

# ტყუპები ტყუპად დაშავდნენ

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს აპრილში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები ელის, რომელთაც საფრანგეთში გამართავს. გუნდის მთავარ მწვრთნელ ნიკო ჩერქეზიშვილს დღემდე ვერ მოუწყვია სრულფასოვანი შეკრება ნაკრების კანდიდატთათვის. ჩერქეზიშვილი იმასლა ახერხებს, რომ სამშაბათობით ბიჭებს ვერის ბაღში კრებს და თავის გემოზე ავარჯიშებს. ცხადია, არც ამ წვრთნაზე ითქმის სრულფასოვანი, რადგან თვრამეტწლამდელთა წამყვანი მოთამაშეები (ფაჩულია, ცქიტიშვილი, უგრეხელიძე, კეიდია) უცხოურ კლუბებში თამაშობენ და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ისინი პირდაპირ საფრანგეთში შეუერთდებიან გუნდს.

ამ დღეებში თბილისში ზაზა ფაჩულიას ელოდნენ, თუმცა, როგორც ჩერქეზიშვილმა გვამცნო, ესეც გამოირიცხა, რადგან მის კლუბს, „ულქერს" ერთ-ერთი კალათბურთელი დაემტვრა და მწვრთნელი მურათ დიდინი მის ნაცვლად ჩვენებურს უპირებს „ულქერის" ძირითად შემადგენლობაში დაყენებას.


ირაკლი (№5) და დავით ბერიშვილები

გუშინ ჭაბუკთა ნაკრების შესუსტებულმა შემადგენლობამ საწვრთნელი შეხვედრა გამართა თბილისის „მაკაბისთან", რომელიც თავის მხრივ ექვსეულში შეღწევას ლამობს და ამისთვის ბოლო, ოცდამეორე ტურში თსუ უნდა დაამარცხოს. ამ მატჩზე, მის მნიშვნელობას თუ გავითვალისწინებთ, სათხრობიც არაფერია. თქვენს ყურადღებას მაკაბელთა უიღბლობაზე გავამახვილებთ, რომელთაც თსუ-სთან უაღრესად პრინციპული შეხვედრის წინ ერთბაშად ორი წამყვანი კალათბურთელი დაუშავდათ. ჭაბუკთა ნაკრებთან თამაშისას ტრავმა მიიღო „მაკაბის" ორივე ბერიშვილმა. თითქოს ბედის ირონიააო, ეს ერთსა და იმავე მატჩში მოხდა, ერთმა ტყუპისცალმა ხელი, მეორემ კი ფეხი იტკინა. არადა, დათო და ირაკლი „მაკაბის" ძირითადი ხუთეულის მოთამაშეები არიან, თანაც ორივე უკანახაზელია.

გუშინვე „მაკაბის" მთავარ მწვრთნელ ჯამლეთ ხუხაშვილს დავუკავშირდით და ტყუპი ბერიშვილების მდგომარეობაზე დავეკითხეთ: „თსუ-სთან მათი თამაში სათუო გახდა. ვერ ვიტყვი, რომ ბერიშვილები მძიმედ დაშავდნენ, თუმც გადაჭრით არც იმის თქმა შემიძლია, დაგვეხმარებიან თუ არა ძმები თსუ-სთან მატჩში. პირველადი სამედიცინო დახმარება მათ უკვე გავუწიეთ, ახლა ისინი თავს კარგად გრძნობენ და იმედს ვიტოვებ, რომ კვირამდე სრულად მოიშუშებენ ტრავმას".

## საფრანგეთი

FFBB

XXVI ტური

ვილერბანი — ბეზანსონი 76:67, შოლე — დიჟონი 78:72, საონი — შამპანი 90:70, სტრასბური — მონპელიე 96:63, ლიმოჟი — ნანსი 79:62, გრაველინი — პარი სენ ჟერმენი 79:66, ანტიბი — ლე მანი 60:78, ევრე — პო ორტეზი 86:77

დიდი უცნაური რამაა საფრანგეთის ჩემპიონატი, ნებისმიერ აუტსაიდერს შესწევს ძალა ლიდერთაგანის დამარცხებისა და ხშირად აკეთებენ კიდეც ამას. 26-ე ტურშიც „ვილერბანმა" და „ლიმოჟმა" კი მოიგეს, მაგრამ მესამე-მეოთხე ადგილებზე მყოფმა „პო ორტეზმა" და „პარი სენ ჟერმენმა" დათმეს თავ-თავიანთი შეხვედრები.

ევროლიგის მეოთხედფინალში გასული „ვილერბანისთვის" ეს ზედიზედ მესამე მოგება იყო. ლიდერს „ბეზანსონთან" თავიდან ერთობ გაუჭირდა და პირველ ტაიმშიც ვერაფრით მოახერხა დიდი უპირატესობის მოპოვება. მეტიც, ხშირად სწორედ ვილერბანელებს უწევდათ მდევრის როლში ყოფნა. თუმცა შესვენებამ მათზე ძალიან კარგად იმოქმედა და თამაშიც დიდი შემართებით განაახლეს, შედეგად კი მეორე ტაიმის პირველ ხუთ წუთში მოწინააღმდეგეს 21:9 აჯობეს. მასპინძლები ბოლომდე ასე გაისარჯნენ და მორიგი გამარჯვებაც მიითვალეს.

ზედიზედ მესამედ მოიგო ევროსარბიელზე „ვილერბანივით" წარმატებით მოასპარეზე „ლიმოჟმაც". შეგახსენებთ, რომ ლიმოჟელებმა კორაჩის თასის ფინალში გააღწიეს. კლუბის პრეზიდენტმა ჟან-კლოდ დე პერეტიმ ახალი ფინანსური პარტნიორი იშოვა და ამ დღეებში თავის კალათბურთელებს თებერვლის დაგვიანებული ხელფასების დარიგებასაც დაპირდა. სპორტსმენებმაც ხელი გამოიღეს და თავიანთი ერთ-ერთი ლიდერის, ბონატოს არყოფნის მიუხედავად ნანსელებს იოლად გაუსწორდნენ. ამ მოგებით „ლიმოჟმა" თეორიულადაც გაინაღდა პლეი ოფში მონაწილეობა.



AFP ფოტოები

ლიმოჟი — ნანსი 79:62. ლიმოჟელი ბრუნო ჰამი (მარჯვნივ) და ერიკ სერაზი

ერთი მოგებაღა აკლია საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრამდე „პო ორტეზს" (ან „დიჟონმა" უნდა წააგოს ერთი მატჩი მაინც), რომელიც კრიზისიდან ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა. „ევრეს" ბოლო ხუთ თამაშში მხოლოდ ერთი მოეგო, მაგრამ შარშანდელი ჩემპიონი უარეს დღეში იყო. „პო ორტეზს" შვიდმატჩიანი წაგებების (ევროლიგის ჩათვლით) სერია მხოლოდ წინა ტურში შეეწყვიტა. ახლა კი შეიძლება ახალი სერიაც დაიწყოს. მასპინძლებმა პირწმინდად დაჯაბნეს სტუმრები ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლაში. პოელებს ვერც ახლახან შეძენილი ამერიკელი ლეგიონერების შედეგიანმა თამაშმა უშველა, რივზმა 24 ქულა მოიხვეჭა, ბრაისონმა — 20, მაგრამ რიზაშეს და გადუს არყოფნა „პო ორტეზს" მაინც ძალიან ეტყობა.

ზედიზედ მეორედ წააგო „პარი სენ ჟერმენმა". დედაქალაქელებს „გრაველინმა" აჯობა, რომლის რიგებშიც ალექსანდერ — მაკინტრის დუეტმა გაიბრწყინა. ამ ორი კალათბურთელის ანგარიშზე გუნდის მიერ მოპოვებული ქულების ნახევარზე მეტია (48 ქულა). ამ წარმატებით „გრაველინი" გასავარდნთა სიიდან ამოეწერა და ბოლოსწინა ადგილი „მონპელიეს" დაუთმო, რომელიც „სტრასბურს" სტუმრობდა. მასპინძლებმა მეტოქე ერთობ დაჩაგრეს და იოლადაც გაიმარჯვეს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 26 | 21 | 5 | 1993:1750 | 47 |
| ლიმოჟი | 26 | 19 | 7 | 1958:1776 | 45 |
| პო ორტეზი | 26 | 17 | 9 | 1973:1912 | 43 |
| პსჟ | 26 | 16 | 10 | 1926:1708 | 42 |
| საონი | 26 | 16 | 10 | 1944:1788 | 42 |
| შოლე | 26 | 16 | 10 | 1935:1877 | 42 |
| ლე მანი | 26 | 15 | 11 | 1946:1891 | 41 |
| სტრასბური | 26 | 15 | 11 | 1886:1865 | 41 |
| დიჟონი | 26 | 13 | 13 | 1952:1892 | 39 |
| ბეზანსონი | 26 | 10 | 16 | 1894:1924 | 36 |
| ნანსი | 26 | 10 | 16 | 1799:1873 | 36 |
| ევრე | 26 | 10 | 16 | 1817:1921 | 36 |
| ანტიბი | 26 | 9 | 17 | 1742:1951 | 35 |
| გრაველინი | 26 | 8 | 18 | 1832:2061 | 34 |
| მონპელიე | 26 | 7 | 19 | 1779:2005 | 33 |
| შამპანი | 26 | 6 | 20 | 1792:1974 | 32 |

## იტალია

XXIV ტური

ვიოლა — ფორტიტუდო 70:71, ბენეტონი — ვარეზე 85:78, ადეკო — იმოლა 76:90, ძუკეტი — რეჯანა 78:72, კინდერი — მიულერი 85:69, კანტუ — სიენა 57:56, აეროპორტი — სკავოლინი 61:83, პეპსი — ტრიესტი 75:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 24 | 22 | 2 | 1894:1637 | 46 |
| კინდერი | 24 | 18 | 6 | 1840:1611 | 42 |
| ბენეტონი | 24 | 17 | 7 | 1820:1701 | 41 |
| სკავოლინი | 24 | 15 | 9 | 1853:1766 | 39 |
| აეროპორტი | 24 | 15 | 9 | 1749:1767 | 39 |
| ძუკეტი | 24 | 14 | 10 | 1811:1771 | 38 |
| ვიოლა | 24 | 13 | 11 | 1779:1821 | 37 |
| სიენა | 24 | 12 | 12 | 1644:1625 | 36 |
| იმოლა | 24 | 12 | 12 | 1984:1974 | 36 |
| ტრიესტი | 24 | 9 | 15 | 1761:1744 | 33 |
| ვარეზე | 24 | 9 | 15 | 1787:1811 | 33 |
| მიულერი | 24 | 8 | 16 | 1690:1810 | 32 |
| პეპსი | 24 | 8 | 16 | 1671:1798 | 32 |
| ადეკო | 24 | 8 | 16 | 1698:1833 | 32 |
| კანტუ | 24 | 8 | 16 | 1672:1835 | 32 |
| რეჯანა | 24 | 4 | 20 | 1767:1916 | 28 |

## სლოვენია

ექვსეულის II ტური

სავინსკი — პივოვარნა 96:98, ტრიგლავი — კრკა 72:77

**ოლიმპია 99:59 სლოვანი**

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (26), გოლემაცი (12), მილაჩიჩი (2), დუშჩაკი (14), ბრეზეცი (21), ზდოვცი (11), კოტნიკი (5), ისაკევიჩუსი (4), პარავინია (4)

სლოვანი: ლაკოვიჩი (10), ჟაკელი (2), უგრეხელიძე, ჯურკოვიჩი (12), კოვაჩი (8), პავიჩი (3), გორისა (11), მარავიჩი (4), შუშტარშიჩი (7), ცქიტიშვილი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 24 | 22 | 2 | 2080:1528 | 46 |
| პივოვარნა | 24 | 22 | 2 | 2142:1758 | 46 |
| კრკა | 24 | 18 | 6 | 1880:1708 | 42 |
| ტრიგლავი | 24 | 13 | 11 | 1748:1842 | 37 |
| სლოვანი | 24 | 12 | 12 | 1796:1679 | 36 |
| სავინსკი | 24 | 11 | 13 | 1927:1888 | 35 |

7-12 ადგილები. II ტური

როგლა ატრასი — ჰელიოსი 87:75, ზაგორიე — მარიბორი 86:78, კრაშკი ზიდარი — ლოკა კავა 87:64

## თურქეთი

XXIV ტური

ფენერბაჰჩე — გალათასარაი 85:73, ქომბასანი — ქარშიაქა 89:69, ტელეკომი — ითუ 84:87, ბეშიქთაში — ეფესი 66:69, დარუშაფაკა — ულქერი 71:70, ოიაქი — მიდონოსე 64:73, ტროი — თოფაში 97:84

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 24 | 20 | 4 | 1875:1691 | 44 |
| თოფაში | 24 | 18 | 6 | 1791:1628 | 42 |
| ულქერი | 24 | 16 | 8 | 1811:1692 | 40 |
| ქარშიაქა | 24 | 15 | 9 | 1790:1744 | 39 |
| ბეშიქთაში | 24 | 15 | 9 | 1785:1726 | 39 |
| დარუშაფაკა | 24 | 14 | 10 | 1771:1775 | 38 |
| გალათასარაი | 24 | 13 | 11 | 1825:1766 | 37 |
| ტელეკომი | 24 | 13 | 11 | 1831:1785 | 37 |
| ფენერბაჰჩე | 24 | 12 | 12 | 1879:1826 | 36 |
| ტროი | 24 | 10 | 14 | 1881:1920 | 34 |
| მიდონოსე | 24 | 7 | 17 | 1838:1968 | 31 |
| ქომბასანი | 24 | 7 | 17 | 1681:1743 | 31 |
| ითუ | 24 | 6 | 18 | 1660:1865 | 30 |
| ოიაქი | 24 | 2 | 22 | 1585:1874 | 26 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 93 16 08

## ესპანეთი

ACB

XXVII ტური

კასერესი — ბარსელონა 63:66, კანარიასი — ტაუ 60:52, ფორუმი — კახა სან ფერნანდო 71:77, ტდკ — ბადალონა 71:65, ესტუდიანტესი — ფუენლაბრადა 70:69, ბრეოგანი — რეალი 78:85, კანტაბრია — ხირონა 75:70, ხიხონი — პამესა 78:76, ლეონი — უნიკახა 72:82

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სან ფერნანდო | 27 | 20 | 7 | 1966:1823 | 47 |
| პამესა | 27 | 19 | 8 | 2185:1978 | 46 |
| ბარსელონა | 27 | 19 | 8 | 1994:1788 | 46 |
| ესტუდიანტესი | 27 | 18 | 9 | 1956:1864 | 45 |
| ტაუ | 27 | 18 | 9 | 2122:1957 | 45 |
| რეალი | 27 | 17 | 10 | 2042:1896 | 44 |
| უნიკახა | 27 | 15 | 12 | 1890:1873 | 42 |
| კანარიასი | 27 | 15 | 12 | 1950:1982 | 42 |
| ბადალონა | 27 | 13 | 14 | 2119:2108 | 40 |
| ხირონა | 27 | 12 | 15 | 1983:1952 | 39 |
| კასერესი | 27 | 12 | 15 | 1932:1981 | 39 |
| ბრეოგანი | 27 | 12 | 15 | 1969:2031 | 39 |
| ფორუმი | 27 | 10 | 17 | 1825:1935 | 37 |
| ფუენლაბრადა | 27 | 9 | 18 | 1972:2005 | 36 |
| ტდკ | 27 | 9 | 18 | 1802:1907 | 36 |
| ხიხონი | 27 | 9 | 18 | 1825:2023 | 36 |
| კანტაბრია | 27 | 9 | 18 | 1852:2087 | 36 |
| ლეონი | 27 | 7 | 20 | 1797:1991 | 34 |

## საბერძნეთი

99-00

XXIII ტური

ირაკლიონი — სპორტინგი 112:69, ირაკლისი — ესპეროსი 83:72, არისი — პაოკ 66:61, ნიარ ისტი — მარუსი 88:80, პერისტერი — დაფნი 83:68, აეკ — პანიონიოსი 70:65

**ოლიმპიაკოსი 57:54 პანათინაიკოსი**

ოლიმპიაკოსი: ედვარდსი (8), ვუკჩევიჩი (5), პაპანიკოლაუ (2), რობინსონი (15), ტომიჩი (17), ტარლაჩი (1), დე მიგელი, გრანტი (9)

პანათინაიკოსი: კალაიძისი (2), როჯერსი (8), ფოცისი (6), ჯენტილე (3), ბოდიროგა (12), რებრაჩა (14), ბერკი (2), კატაში (7)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 23 | 19 | 4 | 1642:1432 | 42 |
| აეკ | 23 | 18 | 5 | 1732:1530 | 41 |
| პანათინაიკოსი | 23 | 18 | 5 | 1743:1449 | 41 |
| პაოკ | 23 | 14 | 9 | 1694:1594 | 37 |
| ირაკლისი | 23 | 13 | 10 | 1647:1561 | 36 |
| პერისტერი | 23 | 12 | 11 | 1687:1673 | 35 |
| პანიონიოსი | 23 | 12 | 11 | 1699:1681 | 35 |
| არისი | 23 | 11 | 12 | 1616:1631 | 34 |
| ირაკლიონი | 23 | 11 | 12 | 1763:1707 | 34 |
| ნიარ ისტი | 23 | 10 | 13 | 1736:1864 | 33 |
| მარუსი | 23 | 9 | 14 | 1608:1656 | 32 |
| დაფნი | 23 | 8 | 15 | 1643:1803 | 31 |
| სპორტინგი | 23 | 3 | 20 | 1520:1824 | 26 |
| ესპეროსი | 23 | 3 | 20 | 1525:1850 | 26 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

# ლეიკერსი სკალპებს აგროვებს

13 მარტი

**ვანკუვერი 103:113 სიეტლი**

ვანკუვერი: ბიბი (12), დიკერსონი (12), აბდულ-რაჰიმი (17), ჰარინგტონი (9), რივზი (31 ქულა, 12 მოხსნა); სკოტი (12), ლონგი (4), ლოპესი (4), ვესტი (2)
სიეტლი: პეიტონი (40 ქულა, 11 პასი), ბერი (14), პატერსონი (15), მაკკოი (4), გრანტი (13 ქულა, 11 მოხსნა); ლუისი (13), მაქსველი (10), ფოსტერი (4)

ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა სხვადასხვა ქვეყნები კი არიან, მაგრამ ვანკუვერი სიეტლის ყველაზე ახლო მეზობელი ქალაქია. სიეტლიდან ვანკუვერამდე ორი ასეული კილომეტრია, რაც თვითმფრინავისთვის სულ ნახევარი საათის საქმეა. ამდენად „სიეტლ სუპერსონიქსს" ამ ქალაქში ჩასვლისას თითქმის არ ეტყობა მგზავრობით გამოწვეული დაღლილობა. „სიეტლსა" და „ვანკუვერს" შორის კი დიდი განსხვავებაა. „სიეტლს" თავი ფაქტიურად ქუდში (პლეი ოფში) აქვს, კანადელებს კი მხოლოდ ერთი რამ აწუხებთ, როგორმე მოსწყდნენ დივიზიონის ცხრილის ფსკერს. თუმც „ზებგერითებს" მაინც გაუჭირდათ „დათვების" დამარცხება მათსავე „ბუნაგში". ამ თამაშამდე „ვანკუვერს" ზედიზედ რვა მარცხი ეწვნია და ახლა მასპინძლები ყველანაირად ცდილობდნენ, მეზობელი ქვეყნის მეზობელ გუნდთან მაინც გაეტეხათ ნავსი. არ გამოუვიდათ, „სიეტლმა" მაინც იმარჯვა და უიღბლო სერია გაუგრძელა მეტოქეს.

მეორე თამაშია „სიეტლს" მთავარი მეფარე და გუნდის მეორე ბომბარდირი, ვინ ბეიკერი აკლია. მისი ადგილი სასტარტო ხუთეულში კვლავ ჯელანი მაკკოიმ დაიკავა და თავდაპირველად სწორედ იგი აედევნა ვანკუვერის ცენტრ ბრაიან რივზს. ამ ყველაზე დიდ „დათვს" მთელი სეზონი რიგიანი არაფერი გაუკეთებია და სტუმრები ფიქრობდნენ, პირტიტველა მაკკოის მასთან არ გაუჭირდებაო, მაგრამ დაიწყო თამაში და რივზმა „სიეტლის" ფარის აწიოკებას მიჰყო ხელი, თან ისე, რომ სროლა არ აუცილებია, ვანკუვერსაც სწორედ იგი „მიათრევდა". დამფრთხალმა სტუმრებმა საფრთხე იგრძნესს. მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა მაკკოი თეთრი ახმახით, გრეგ ფოსტერით შეცვალა და როცა ვერც ამან შეძლო რივზის შეჩერება, მას უკვე ახალგაზრდობაში კარგი დაცვით განთქმული ჰორას გრანტი დაუყენა. ამას შედეგი არ მოჰყოლია. რივზმა პირველი თერთმეტი სროლიდან თერთმეტივე ჩააგდო, სულ თექვსმეტიდან ცამეტი და საერთოდ თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა სეზონში. სტუმრებმა პირველ ტაიმში მის წინააღმდეგ პერსონალური მეურვეობით რომ ვერაფერი გააწყვეს, მაღლებს დაბლები შეეშველნენ. გერი პეიტონი და სხვები რივზს ფარქვეშ უსაფრდებოდნენ და ბურთს მოხერხებულად სტაცებდნენ. ამგვარად დაკარგა რივზმა რვა (!) ბურთი, „სიეტლმაც" ამოისუნთქა და მესამე მეოთხედში თავისი თამაშიც იპოვა. მძლავრობდა „სონიქსის" უკანაზხი — ბრენტ ბერის და გერი პეიტონის დუეტი. ამ ორმა აჯობა ბიბი-დიკერსონის ტანდემს. განსაკუთრებით პეიტონი გახდა მოუხელთებელი. მან ჩვეულად დაზაფრა მეტოქის დაცვა და მესამე მეოთხედი თავისიანებს ათი ქულის სხვაობით მოაგებინა. „სიეტლი" ბოლო მეოთხედისთვის 12 ქულით დაწინაურდა. მასპინძლები მაინც არ თმობდნენ და უკანასკნელ წამამდე თავდადებულად ებრძოდნენ მომხდურებს, მაგრამ პეიტონთან და მის რაზმთან ვერაფერი გააწყვეს. პეიტონმა სულ 40 ქულა მოაგროვა და ერთი დააკლდა კარიერის რეკორდამდე, რომელიც გერიმ ორი თვის წინ „ვაშინგტონთან" დაამყარა.

**ჩიკაგო 79:87 იუტა**

ჩიკაგო: ბრენდი (26 ქულა, 12 მოხსნა)
იუტა: მელოუნი (31 ქულა, 12 მოხსნა), სტოქტონი (19)

**დეტროიტი 124:115 ბოსტონი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (36), ჰანტერი (25)
ბოსტონი: პირსი (38), უოლკერი (30 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი)

**დენვერი 108:118 ლეიკერსი**

დენვერი: გეტლინგი (25 ქულა, 10 მოხსნა), ვან ექსელი (17 ქულა, 15 პასი)
ლეიკერსი: ონილი (40 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ბრაიანტი (22), რაისი (20)

კვლავ ბრწყინავს შაკილ ონილი და კვლავ გრძელდება მისი გუნდის ზედიზედ გამარჯვებების დაუსრულებელი სერია. „ლეიკერსმა" ზედიზედ მე-19 მეტოქე შეიწირა და ერთი მოგებით გადაასწრო 1996 წლის „ჩიკაგო ბულზს", რომლის შედეგიც, ზედიზედ 18 მატჩის მოგება, საუკეთესო იყო მთელ 90-იან წლებში. ახლა „ლეიკერსის" ეს მიღწევა მესამეა ლიგის ისტორიაში. სხვათა შორის, ამ მხრივ პირველი ადგილი ასევე „ლეიკერსს" უკავია, მხოლოდ 1972 წლისას. მისი შედეგი, მიყოლებით 33 (!) მეტოქის ძლევა, მაშინვე მიუღწეველად შეირაცხა და, როგორც ხედავთ, ამ რეკორდს ჯერ არავინ გაკარებია ახლოს. რაც შეეხება მეორე უგრძეს სერიას, იგი „მილუოკის" გაუხერხებია 1971 წელს და იგი „მხოლოდ" 20 გამარჯვებას ითვლის. ასე რომ, შაკილ ონილს და მის რაზმს მის გადასასწრებლად სულ ორი გამარჯვება სჭირდებათ. [illegible]მდევნო ორ შეხვედრას „ლეიკერს[illegible]შინგტონსა და დეტროიტში გამარ[illegible]ს.

ყველაფერი კარგი, მაგრამ რაც უნდა ძლევამოსილი იყოს ფილ ჯექსონის გუნდი, გამარჯვებები ისე არ მოდის, ყოველი მათგანი დიდი ბრძოლის შემდეგ და ენერგიის ხარჯვის ფასად ეძლევათ ლოსანჯელესელებს. აი, ახლაც „დენვერ ნაგიტსს" თავი არ დაუზოგავს, რათა მის მეტოქეს სწორედ მასთან გაეწყვიტა თავისი წარმატებების ჯაჭვი. განსაკუთრებით ყოფილი ლეიკერსელი გამთამაშებელი ნიკ ვან ექსელი იყო მოწადინებული, მაგრამ შაკილ ონილის და მისი რაზმის ძალამ მაინც მოხნა დენვერული ალმართი. თვითონ ონილმა 40 ქულა გაახერხა, თან ბოლო წუთებში 107:102 ანგარიშზე ორივე საჯარიმო გამოიყენა, რითაც მისი ავისმოსურნენი ჩააჩუმა. „ამბობენ, რომ თამაშის გადამწყვეტ წუთებში ჩემგან ხეირი არაა. განსაკუთრებით იმაში მდებენ ბრალს, რომ ბოლო წუთებში საჯარიმოებს ვაფუჭებ და გუნდს ვღუპავ. ერთი ეს მითხარით, მაშ, ვინ ჩააგდო ამ თამაშში თორმეტი საჯარიმო თექვსმეტი ცდიდან?" დიახ, შაკი იმ დღეს მართლაც ბრწყინავდა.

ამასობაში „ლეიკერსის" მომავალმა მეტოქემ, „დეტროიტმა" ერთ დროს „ლეიკერსის" ლეგენდარული მეტოქე „ბოსტონ სელტიქსი" დასცა შინ და რამდენიმე დღეში მრისხანე მეტოქესთან შეხვედრა სულაც არ აშინებს.

**ირაკლი ფირცხილი**

## მწვრთნელებს მიკროფონი შეუსაბ[illegible]

გუშინწინ, 13 მარტს, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ას-ასი ათასი დოლარით დააჯარიმა თავისი კლუბები — ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლ სუპერსონიქსი" და „ტორონტო რეპტორზი". მიზეზს აღარ იკითხავთ? გვარიანი თანხის გადახდა კლუბებს იმიტომ მოუწევთ, რომ კვირას ამ გუნდების შეხვედრაზე ორივე მთავარმა მწვრთნელმა — სიეტლელმა პოლ ვესტფოლმა და ტორონტოელმა ბუჩ კარტერმა — თამაშის დროს მიკროფონის გაკეთება კატეგორიულად იუარა. ასეთი რა მიკროფონებია, რომლის უქონლობაც ასი ათასი დოლარით ისჯებაო, იკითხავს გაკვირვებული მკითხველი.

დავიწყოთ იქიდან, რომ როცა 1999 წელს მაიკლ ჯორდანი კალათბურთიდან წავიდა, საკალათბურთო შოუ ბიზნესი დიდი საფრთხის წინაშე დადგა. კალათბურთის ღმერთის წასვლის შემდეგ გვარიანად დაეცა იმ ტელეკომპანიების რეიტინგი, რომლებიც ნბა-ს თამაშების ტრანსლაციით გვარიან თანხებს იჯიბავდნენ. აქ საუბარია მრავალ მილიონობით დოლარზე, რომელიც ტელეკომპანიებმა იზარალეს. განსაკუთრებით ცუდ დღეში აღმოჩნდა ტელეგიგანტი NBC, რომელთანაც ლიგას რამდენიმე მილიარდიანი კონტრაქტი აკავშირებს. კალათბურთისთვის ძველი, ჯორდანის დროინდელი პოპულარობის დასაბრუნებლად და თამაშების გამოსაცოცხლებლად NBC-მ და ლიგამ გადაწყვიტეს, სწორედ ამ ხერხისთვის მიემართათ — თამაშის დროს მწვრთნელებისთვის მიკროფონი მიემაგრებინათ, რათა მაყურებელს არც ერთი სიტყვა არ გამორჩეს იქიდან, რასაც ეს ღირსეული კაცი თამაშის მიმდინარეობისას ეტყვის მოთამაშეს, თავის თანაშემწეს, მასაჟისტს, პირსახოცის მიმწოდებელს... ერთი სიტყვით, არა აქვს მნიშვნელობა ვის. მისი ყოველი სიტყვა პირდაპირ ეთერში გაიჟღერებს და ტელემაყურებელიც უფრო გამოცოცხლდება. კი მაგრამ, იქნებ მწვრთნელი თავის შეგირდს ლანძღავს, ან სულაც მსაჯს აგინებს?

მწვრთნელთა ლეგიონი ამ ამბავს შესაბამისად შეხვდა, ბევრმა ეს თავის საქმეში ცხვირის ჩაყოფად ჩათვალა და ძნელია, მათ არ დაეთანხმო.

ამ ახალი წესის წინააღმდეგ პირველმა „მაიამი ჰითის" ღვაწლმოსილმა დამრიგებელმა, პატ რაილიმ გაილაშქრა ამ ორიოდე დღის შინ, რის შემდეგაც ლიგამ განაცხადა, რომ ურჩებს ზემოხსენებული თანხის ოდენობის ჯარიმით დასჯიდა. ჯარიმა კლუბებს დაეკისრებოდათ. და აი, არ გასულა დიდი ხანი და პირველი მსხვერპლნიც გამოჩნდნენ — პოლ ვესტფოლი და ბუჩ კარტერი. ორივეს მოსთხოვეს „სიელტ" — „ტორონტოს" თამაშის წინ მიკროფონები გაეკეთებინათ. ვესტფოლმა ეს მოთხოვნა კატეგორიულად უარყო. არავითარ შემთხვევაში! თუ დაგვაჯარიმეს, მთელ თანხას ჩემი ჯიბიდან გადავიხდიო — უთქვამს სტეფანიას გუნდის დამრიგებელს. „ტორონტოს" გენერალურმა მენეჯერმა გლენ გრუნვოლდმა კი კარტერს სთხოვა გაიკეთე ეს წყეული მიკროფონი, ამით ისეთი რა დაშავდებაო რაზეც მან უპასუხა, რომ ვეტერანებს — ანტონიო დევისს და ჩარლზ ოკლის მოეთათბირებოდა (!). ამის შემდეგ მასაც უარი განუცხადებია.

„კი მაგრამ, იქნებ მე არ მსურს ჩემი ნალაპარაკევის საქვეყნოდ გახმაურება, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ შესაძლოა ეს მეტოქე გუნდებმა გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ, ან პირიქით. ეს ხომ ჩვენი უპატივცემულობაა და მერე რაღაც რეიტინგის გაზრდის გულისთვის" — ცხარობდა პოლ ვესტფოლი.

ასეა თუ ისე, ეს წესი უკვე დაკანონდა და ვესტფოლს ამ მრგვალი თანხის გადახდა მოუწევს (ცხადია, თუ კლუბი არ შეეშველა). რაც შეეხება კარტერს, „ტორონტო" არ იუწყება, ვინ გაიღებს ამ თანხას, კლუბი თუ თვითონ მწვრთნელი.

**ივანე კობიაშვილი**




პოლ ვესტფოლი დისიდენტობს



ვანკუვერი — სიეტლი. ჯელანი მაკკოი ვანკუვერელ მაიკ ბიბის უფარებს

## კვირის მოთამაშე

### შაკილ ონილი
**• ლეიკერსი •**

მიმდინარე სეზონში არც ერთ კვირას არ ჰყავდა ისეთი გამორჩეული მოთამაშე, როგორც უკანასკნელს. „ლეიკერსის" ცენტრი შაკილ ონილი ყველაზე მეტად იმსახურებდა ამ ტიტულს. იგი საუცხოო ფორმაშია, ისევე, როგორც „ლეიკერსი". გუნდი თამაშს თამაშზე იგებს და ეს, ცხადია, მეტწილად მისი გიგანტი ცენტრის დამსახურებაა. გასული კვირის სამი შეხვედრიდან „ლეიკერსმა" ყველა მოიგო. მესამე შეხვედრა ზედიზედ მეთვრამეტე მოგებული მატჩი იყო — ლოსანჯელესელებს ყველაზე უფრო თანაშტატელი „საკრამენტოს" დამარცხება გაუჭირდათ. იმ თამაშში შაკილ ონილმა თავისიანებს 38 ქულა და 20 მოხსნა მოუტანა, მაგრამ ეს შედეგი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც შაკმა 7 მარტს „კლიპერსთან" მიაღწია. იმ დღეს კვირის მომავალმა ლაურეატმა სასტიკად დაარბია თანაქალაქელი გუნდის კალათი და სულ 61 ქულას მოუყარა თავი, რაც სარეკორდოა არა მარტო მის კარიერაში, არამედ მთლიანად ლიგისთვის მიმდინარე სეზონში. ამ ორ მატჩს შორის „ლეიკერსმა" კიდევ ერთი კალიფორნიული გუნდი, „გოლდენ სტეიტი" შეიწირა. აქ ონილი „მოკრძალებულ" 29 ქულას დასჯერდა. სულ კი მას ამ სამ შეხვედრაში საშუალოდ 43 ქულა და 18,7 მოხსნა მოუგროვდა. ონილი ამან კიდევ უფრო დააახლოვა ლიგის უძლიერეს ბომბარდირ ალენ აივერსონთან, მისი შედეგი — მატჩში საშუალოდ 28,3 ქულა აივერსონისას მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. ონილი აგრეთვე მეორეა მოხსნებში (მატჩში საშუალოდ 14,4) და მესამე — დაფარებებში (3,26).




ონილს კვირის საუკეთესო მოთამაშის ტიტულში (ამაოდ) ეცილებოდნენ: დერიკ კოულმენი (შარლოტი), სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი), პატრიკ იუინგი (ნიუ იორკი), ჯონ ამაეჩი (ორლანდო) და ვინს კარტერი (ტორონტო).

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| მაიამი | 39 | 23 | 62,9 |
| ნიუ იორკი | 38 | 24 | 61,3 |
| ფილადელფია | 34 | 27 | 55,7 |
| ორლანდო | 30 | 33 | 47,6 |
| ბოსტონი | 27 | 36 | 42,9 |
| ნიუ ჯერსი | 27 | 36 | 42,9 |
| ვაშინგტონი | 20 | 44 | 31,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 43 | 20 | 68,3 |
| ტორონტო | 36 | 26 | 58,1 |
| შარლოტი | 34 | 28 | 54,8 |
| დეტროიტი | 31 | 31 | 50,0 |
| მილუოკი | 30 | 33 | 47,6 |
| კლივლენდი | 25 | 37 | 40,3 |
| ატლანტა | 24 | 37 | 39,3 |
| ჩიკაგო | 13 | 49 | 21,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 42 | 20 | 66,7 |
| სან ანტონიო | 40 | 23 | 63,5 |
| მინესოტა | 37 | 25 | 59,7 |
| დენვერი | 26 | 37 | 41,3 |
| დალასი | 25 | 37 | 40,3 |
| ჰიუსტონი | 24 | 38 | 38,7 |
| ვანკუვერი | 18 | 46 | 28,1 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 53 | 11 | 82,8 |
| პორტლენდი | 48 | 15 | 76,2 |
| ფინიქსი | 39 | 23 | 62,9 |
| სიეტლი | 39 | 26 | 60,0 |
| საკრამენტო | 36 | 26 | 58,1 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 46 | 25,8 |
| კლიპერსი | 13 | 50 | 20,6 |



ივერი ჯიქურაული (მარცხნივ) პრაღაში გაქულიანდა

# ჯიქურაულმა და ჩოჩიშვილმა სიდნეისკენ გაიწიეს

გასულ უქმეებზე ქართველმა ძიუდოისტებმა პრაღაში, სიდნეის ოლიმპიადას სალიცენზიო ტურნირში იჭიდავეს, ყველაზე მეტად ივერი ჯიქურაულმა (100) და რამაზ ჩოჩიშვილმა (მძიმე) იყოჩაღეს, რომლებმაც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მეხუთეზე გავიდა ჯონდო მუზაშვილი (81) და საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა რეიტინგში. სხვები იმით დაკმაყოფილდნენ, რომ თავიანთ სარეიტინგო მონაგარს თითო-ოროლა ქულა შემატეს.

სალიცენზიო ტურნირი სულ ათია. რეიტინგში სამი საუკეთესო შედეგი შედის, ლიცენზიას კი რვა სპორტსმენი იღებს. მეშვიდე, პრაღის ტურნირმა ცხრილებში გარკვეული სიცხადე შეიტანა. ჩვენებურთაგან ლიცენზიების მოპოვების ყველაზე რეალური კანდიდატები სწორედ ჯიქურაული და ჩოჩიშვილი არიან. პრაღაში მოპოვებული 20 ქულით ივერიმ მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა, ჩოჩიშვილი კი მეორეა. მძიმე წონაში მოვლენათა განვითარებას სხვებთან შედარებით უფრო მშვიდად შეგვიძლია ვუყუროთ, რადგან აქ რამაზის ერთ-ერთი მეტოქე, მეოთხე ადგილზე დამკვიდრებული ალექსი დავითაშვილია.

ჩინებულად აღებული სტარტის მერე შეფერხდა ზურაბ ზვიადაური (90). შეგახსენებთ, რომ მან თავის სადებიუტო ტურნირზე მოსკოვში მესამე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, ბულგარეთში იჩემპიონა. ასეთმა დასაწყისმა მასაც და მის გულშემატკივრებსაც გარკვეული იმედები აღუძრა, მაგრამ ახალგაზრდა ძიუდოისტმა შეჯიბრების ხანგრძლივ რიტმს ვერ გაუძლო. პრაღაში ისიც და გია გუგავაც მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. ახლა ზვიადაური მეხუთეა და თავისი ბედიც თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რადგან ცხრილში მის ირგვლივ დიდი სიმჭიდროვეა. გუგავა კი მხოლოდ მეოცე ადგილზეა.

ნაკლებსავარაუდოა საგზურის მოპოვება 81-ში. აქ ქართველთაგან საუკეთესო, მუზაშვილი მეოცეა. იგი დაწინაურებულებს დიდად არ ჩამორჩება, მაგრამ ჩვენებურის არასტაბილურობა ოპტიმიზმის საფუძველს ნაკლებად გვაძლევს. სოსო ლიპარტელიანი და ფირუზ ტყეშელაშვილი კი შეგვიძლია ლიცენზიების მაძიებელთა სიებიდან ამოვშალოთ.

დაბოლოს, 66კგ წონითი კატეგორია, სადაც საგზურისთვის გიორგი ვაზაგაშვილი იბრძვის. ცხრილში ის მეოთხე კია, მაგრამ მეტოქეთა შორის იმდენად მცირე სხვაობაა, წინასწარ ვერაფერს იტყვი.

ამ უქმეებზე არც ქართველ მოჭიდავეებს დაუსვენიათ.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს ამჯერად მეხიკომ უმასპინძლა, სადაც საქართველოდან მხოლოდ დავით პოღოსიანმა იასპარეზა. ჩვენებურთაგან ალექსანდრე მოდებაძემ (მძიმე) ლიცენზია უკვე გაინაღდა, სხვებმა კი ყოველგვარი იმედი დაკარგეს (ემზარ ბედინეიშვილმა (69) და ელდარ კურტანიძემ (97) შარშან ლიცენზია მოიპოვეს). ამიტომ წავიდა მწვრთნელი აცტეკთა ქალაქში ერთი კაცით, რომელიც ჩემპიონი გახდა. ამ წარმატებით, ალბათ, პოღოსიანიც დაეუფლა საგზურს (მან ორი კვირის წინ ტოკიოშიც გაიმარჯვა), თუმცა ჯერ კიდევ დარჩა ერთი სალიცენზიო ტურნირი და ყველაფერი მერე გაირკვევა.

ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირში გამოვიდნენ ალექსანდრე ცერცვაძე (58) და ტარიელ მელელაშვილი (76). მათ მსოფლიოს შარშანდელ პირველობაზე (სექტემბერში რომ ჩატარდა) მოიპოვეს ლიცენზიები, ასეთებს კი სალიცენზიო ტურნირებში ჭიდაობის უფლება ეკრძალებათ. უფულო ფედერაციამ ისინი აქამდე ვერც სხვაგან გაუშვა. ამიტომ ცერცვაძემ და მელელაშვილმა სექტემბრის მერე პირველად იჭიდავეს და ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ.

გერმანიაში, სალიცენზიო ტურნირში სცადეს ძალა ქართველმა მოკრივეებმაც, მაგრამ წარუმატებლად. გუნდის ლიდერების — დავით ადამაშვილისა (51) და პაატა გვასალიას (63,5) ჩათვლით, ყველანი ადრევე დამარცხდნენ და ფინალში ვერ გააღწიეს. ჯერჯერობით წინ კიდევ ორი ანალოგიური ტურნირია ინგლისსა და იტალიაში, მაგრამ ეტყობა, ჩვენი გუნდი ვლადიმერ ჭანტურიას ერთადერთი საგზურის ამარა დარჩება.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

# კრამნიკმა ლინარესში ფოტოფინიშით მოიგო

ლინარესში 21-ე კატეგორიის სუპერტურნირი დასრულდა და ფორმალურად მისი გამარჯვებულის ვინაობაც შევიტყვეთ, მაგრამ დღეს ზუსტად ვერავინ იტყვის, რომ ვლადიმერ კრამნიკმა ტურნირი მოიგო.

სანამ იმ სახამუშო ვითარებაზე გეტყოდეთ, რომელიც პატარა ანდალუზიურ ქალაქში ბოლო პარტიების დასრულებისთანავე შეიქმნა, ჯერ თვითონ პარტიებზე ვთქვათ, ოღონდ მოკლედ, რადგან თანხლები მძაფრი ინტრიგის მიუხედავად, არც ერთ მათგანში 30 სვლაზე მეტი არ გაკეთებულა. პირველებმა საქმე ალექსანდრ ხალიფმანმა და ალექსეი შიროვმა მოამთავრეს, რომელთაც მშვიდობიანი ხელშეკრულების გასაფორმებლად მხოლოდ 17 სვლა დასჭირდათ. შედარებით მეტი წაიბრძოლეს კრამნიკმა და პეტერ ლეკომ. რუსს გამარჯვება სჭირდებოდა და პრინციპში არც უნგრელი თამაშობდა წაგებისთვის, მაგრამ კრამნიკი თეთრებით იყო და პირველმა შეუტია, თუმცა მისი იერიში თითქმის დაწყებისთანავე ჩაიფუშა. უნგრელმა გონივრული სვლებით იოლად განმუხტა პოზიცია და 26-ე სვლისთვის პრაქტიკულად დაცლილ დაფაზე მშვიდობამ და თანხმობამ დაისადგურა. გარი კასპაროვისა და ვიშვანათან ანანდის პარტიამ ცოტა მეტი, 30 სვლა გასტანა და ბოლოს ისიც ყაიმით დასრულდა. უფერული ბოლო ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილმა ასეთი სახე მიიღო: 1-2. კასპაროვი, კრამნიკი — 6; 3-6. ანანდი, შიროვი, ლეკო, ხალიფმანი — 4,5. ცხადი გახდა, რომ ტურნირის მთავარ არბიტრ ხუან ვარგასს, ზემორე სიიდან გამომდინარე, კიდევ მცირედი ოფლის ღვრა მოუწევდა, რათა კოეფიციენტთა გამოყენებით მოჭადრაკეები ერთ სვეტად განელაგებინა, რისი გაკეთებაც პარტიებმა ვერ მოახერხეს. ცხრილის ქვედა ნაწილში ყველაფერი იოლად მოგვარდა. ოთხი კრიტერიუმით (მოგებათა რაოდენობა, მოწინავე მეტოქეებთან და ერთმანეთში ნაჩვენები შედეგები, შედეგები შავი ფიგურებით) ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ მესამე ადგილი შიროვისა ყოფილა, მეოთხე — ანანდის, მეხუთეზე ხალიფმანი დასვეს და ლეკო კი ბოლოში გაუშვეს, რატომ ერთხელაც არ მოგიგიაო. ერთი სიტყვით, აუტსაიდერებში გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია, სამაგიეროდ, გამარჯვებულის დადგენა გაძნელდა. ვერც ერთმა კრიტერიუმმა კასპაროვსა და კრამნიკს შორის აღმატებული ვერ დაადგინა და როცა მოჭადრაკეებმა მონეტის აგდებაზეც ცივი უარი თქვეს, საქმე გორდიას კვანძივით დაიხლართა. მისი გახსნა თავიდან ისევ ხუან ვარგასმა მოსინჯა, როცა მოჭადრაკეებს ბლიცების თამაში შესთავაზა, მაგრამ ამაზეც უარი რომ მიიღო, გაჩუმდა, სამაგიეროდ კასპაროვი მოიქცა მაკედონელივით, კრამნიკი გვერდზე გაიყვანა და იქ ორიოდე სიტყვა უთხრა. კრამნიკმა თავი დაუქნია და მობრუნებულმა გარიმაც გადამწყვეტი განცხადებით კვანძი გადაჭრა: მთავარი პრიზი კრამნიკს ეკუთვნის, რახან მან ჩემზე ადრე უწია პირველობასო (?!), ვოვამ რომ ბოლო პარტია მასზე ჩქარა დაამთავრა, იმაზე მიანიშნა. ამგვარი ფინალი სხვებთან ერთად იქნებ თქვენც არ მოგეწონათ, მაგრამ საქმე როგორმე ხომ უნდა მოგვარებულიყო და... სიმბოლური მთავარი პრიზი — სიმპათიური სამთსაბურლი კოშკურა (!) კრამნიკის საკუთრება გახდა, ხოლო არასიმბოლურ ანუ მატერიალურ ჯილდოებს რაც შეეხება, ამაზე ვერაფერი გავიგეთ. სანაცვლოდ, ერთ სტატისტიკურ მონაცემსაც გაცნობებთ და ლინარესს მომავალ წლამდე ემშვიდობებით: ტურნირზე პარტიების 76,6 პროცენტი ყაიმით დასრულდა, თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო...

დავით გულუა



გარი კასპაროვმა (მარჯვნივ) ვლადიმერ კრამნიკს პირველობა კაცურად დაუთმო

მძლეოსნობა

# ერთი სურათის ისტორია

გავარჩიოთ ფოტო, რომელიც ჩვენს წერილს თან ახლავს. მასზე მეგობრულად ჩახუტებულ წყვილს ხედავთ და თუ თვალი გიჭრით და ტელევიზორში მძლეოსნობისთვის რამდენჯერმე მაინც გიცქერიათ, მამაკაცის ამოცნობა არ უნდა გაგიჭირდეთ: იგი ამერიკელი მორის გრინია, ბლომად ტიტულების პატრონი, ხოლო პატარა ქალბატონს რაც შეეხება, განთქმულიც რომ იყოს, მაინც ვერ იცნობთ, რახან გრინის მარცხენა მკლავი ნიღაბივით აფარებია სახეზე. არადა, ინგერ მილერს ბოლო ხანებში მართლაც გაუვარდა სახელი, როგორც 200 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ჩემპიონსა და დიდებული მარიონ ჯონსის ყველაზე ყურადსაღებ კონკურენტს მოახლოებულ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე. მილერი სწორედ გრინმა, ტრინიდადელმა ატო ბოლდონმა და კიდევ რამდენიმე იმ ექსტრაკლასის მძლეოსანმა აღმოაჩინეს, საკუთარ თავს ჯონ სმიტის შეგირდებს რომ უწოდებენ. ეს უკანასკნელი მსოფლიო მასშტაბის მწვრთნელად ითვლება, ხოლო ლოს ანჯელესის უნივერსიტეტის სამძლეოსნო სარბიელი, რომელზეც იგი თავის ხალხს ამეცადინებს (ახლა მილერიც მათ შორისაა) — ვარსკვლავთა სამჭედლოდ. მილერს აქამდეც არ ჰყოლია ურიგო სამძლეოსნო მოძღვარი — მამამისი, ლენოქს მილერი 100 მეტრზე რბენაში მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანია, მაგრამ ჯონ სმიტთან ვარჯიშს სხვა მუღამი აქვს, უპირველესად იმ უნიკალური ატმოსფეროს გამო, რომელიც მის გუნდში სუფევს. მაგალითისთვის იმავე მილერის აღფრთოვანებული გამონათქვამებიც იკმარებს. „აქ ჩემი მეორე ოჯახია“ — ამბობს იგი — „ყველანი მხარში მიდგანან და დროსაც ძლიერ მხიარულად ვატარებთ“. „ეს პლანეტაზე საუკეთესო ადგილია“ — ალალზანგურად შეავსო ახალი დაქალის ნათქვამი ატო ბოლდონმა, რომელიც მასმედიასთან ურთიერთობისას მილერის გვერდით იდგა — „ჩვენ კი გიჟი გოგო-ბიჭების გუნდი ვართ, რომლებმაც თავიანთი საქმე კარგად იციან“. ბავშვურ საუბარს მერე სერიოზულიც მოჰყვა, როცა სიტყვა ჯონსისა და მილერის მომავალ ბატალიებზე ჩამოვარდა. სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგერმა რომ ოქრო მოიპოვა, ჯონსი დაშავებული იყო და არ ურბენია, ამიტომ ერგო ციცქნა ამერიკელს იოლი ტრიუმფი. აი, სიდნეიში კი ჯონსი ჯან-ღონით სავსე წარდგება და მილერი მას უნდა უფრთხოდეს, თუმცა იგი ამ ამბავს მხნედ უყურებს. „ჯონსი სუპერქალი არ არის, ისიც ჩვენსავით მოკვდავია და მისი უკან ჩამოტოვებაც შეიძლება. მე მჯერა, რომ შემიძლია ამის გაკეთება“ — ეს სიტყვებიც ინგერ მილერს ეკუთვნის, 27 წლის ზანგ მანდილოსანს...




დამმური სიყვარული: ინგერ მილერი და მორის გრინი

დავით გულუა

ცურვა

# წყალს დოლარი ჩამოჰქონდა

მოცურავეთა მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატს 16-19 მარტს ათენი უმასპინძლებს. საბერძნეთის დედაქალაქში მონაწილეთა რეკორდულ რაოდენობას — 75 ქვეყნის 540 მოცურავეს ელიან. ისინი „მცირე წყალში“ გაარკვევენ ურთიერთობას. ოქროსთვის მებრძოლთა შორის ისეთი გამოჩენილი მოცურავეები იქნებიან, როგორებიც ამერიკელები, მსოფლიოს რეკორდსმენი 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — ლენი კრეიზელბერგი და 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ჯენი ტომპსონი არიან.

ათენში ყველაზე დიდი გუნდით, 50 მოცურავით, გამოვლენ ბრიტანელები. მასპინძლებს 39, რუსებს კი 37 სპორტსმენი ეყოლებათ. თუმცა რუსები, ოლიმპიურ ჩემპიონებს — ალექსანდრ პოპოვსა და დენის პანკრატოვს მოისაკლისებენ, რადგან ათენის მსოფლიოს ჩემპიონატი მათთვის წინასაოლიმპიადო ინდივიდუალურ სავარჯიშო გრაფიკში არ ჯდება. მსოფლიოს თასის ეტაპებზე დამყარებული 10 მსოფლიოს რეკორდის შემდეგ, სპეციალისტები ათენშიც იგივეს ელიან, მით უმეტეს, რომ ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) მსოფლიოს რეკორდისთვის 15-ათასდოლარიანი საპრიზო დააწესა.

გიგა გურასაშვილი

# სათხილამურო კრიალოსანი

*ზამთარი სულს ლაფავს და მოთხილამურენი, სამთომოთხილამურენი, ბიატლონისტები, ორჭიდელები და ტრამპლინიდან მხტომელნი გაფაციცებულნი, უკანასკნელ ძალებს ძაბავენ, რათა მსოფლიოს თასის გაჭიმული ეტაპები ღირსეულად ჩაამთავრონ. ამ დღეებში მაინც საინფორმაციო სააგენტოებმა ყელამდე აგვავსეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსული ამბებით, რომლებსაც ქვემოთ მოკლედ შემოგთავაზებთ.*

*ტრამპლინიდან ხტომა.* ეს ამბავი უეჭველად თავში უნდა გამოგვეტანა, რადგან მსოფლიო მიღწევას ეხება. თითებზე ჩამოსათვლელ ფეხბურთის მატჩებს თუ დაესწრება იმდენი ხალხი, რამდენმაც კვირას ნორვეგიულ ჰოლმენკოლენში მსოფლიოს თასის ეტაპს უყურა და როგორც გამოირკვა, ეს 70 000 კაცი ტყუილად არ მოცდენილა. გერმანელმა სვენ ჰანავალდმა პირველ ნახტომზე თუ მხოლოდ 125,5 მეტრი იფრინა, მეორედ სწორედ სარეკორდო გამარა შეკრა და 132,5-მეტრიან ზღვარზე დახტომის შემდეგ გაიგონა, განცვიფრებულ ხალხს გმინვა რომ აღმოხდა. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ჰანავალდმა მსოფლიოს თასის ამჟამინდელი მფლობელი და თავისი თანამემამულე, მარტინ შმიტი უკან მოიტოვა. ჰანაგალდმა ხომ მსოფლიოს რეკორდი ერთი მეტრით გააუმჯობესა. „ეს ჩემი კარიერის უდიდესი გამარჯვებაა“ — თქვა შემდეგ ჰანავალდმა — „მისი შედარება მხოლოდ მსოფლიოს პირველობის იმ ოქროსთან შემიძლია, აქვე ახლოს, ვიკერუნდში რომ დავიმსახურე“. მომდევნო საპრიზო ადგილებს ფინელები დაეპატრონნენ.



იარი კირვესნიემი

*სათხილამურო სპორტი.* მეორე ადგილზე გამოტანის ღირსად ფინელი იარი კირვესნიემის შემართების ამბავი მივიჩნიეთ, რომელმაც ზემოთ ნახსენებ ჰოლმენკოლენშივე ახალგაზრდობა დაჯაბნა. კირვესნიემიმ თავისი პირველი მსოფლიოს თასი 1982 წელს დაიმსახურა და იქიდან მოყოლებული ამგვარად არც ერთ გამარჯვებას გაუხარებია. 50-კილომეტრიანი გზის სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობდა ეს 41 წლის დროული კაცი და უახლოეს მდევარს 17,7 წამით გაუსწრო. თავი ძველებურად ახალგაზრდად ვიგრძენიო, მოკლედ უთხრა კირვესნიემიმ ჟურნალისტებს, თუმცა ისიც ცხადია, რომ ბებერი ფინელის ერთი გაელვება საერთო ჩათვლაში ბევრს ვერას შეცვლის. იქ სხვები ბატონობენ, უფრო ახალგაზრდები, რომლებსაც არამარტო ერთ ეტაპზე გაუთვლიათ თავიანთი მუხლების ძალა. პირველი მათში ექსგერმანელი და აწ ესპანელი იოჰან მულეგია, რომელიც ნორვეგიაში მხოლოდ მეხუთე შედეგით მივიდა ფინიშთან.

20 კილომეტრზე ისრიალეს ქალებმა. აქ რუსებმა იმძლავრეს. პირველი ოლგა დანილოვა იყო, შემდეგი — ლარისა ლაზუტინა. არც საერთო ჩათვლის მოწინავეები, ესტონელი კრისტინა შმიგუნი და ნორვეგიელი ბენტე მარტინ სენი ჩამორჩენილან მაინცდამაინც, შესაბამისად მე-5 და მე-4 ადგილები დაიკავეს.

*ბიატლონი.* გეოგრაფიული თვალსაზრისით ჩვენი დაიჯესტის ცენტრალურ პუნქტად ნორვეგიული ჰოლმენკოლენი უნდა დავასახელოთ. აქამდე ორჯერ ვახსენეთ და ახლა იმასაც გეტყვით, რომ ჰოლმენკოლენში გაიმართა და ვერ დასრულდა ბიატლონისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ორი კვირის წინანდელი ამბავია, მამაკაცთა 4X7,5 კილომეტრიანი ესტაფეტა ახალი დაწყებული იყო, როცა საშინელი ქარბუქი ამოვარდა და ჩემპიონატის ორგანიზატორები აიძულა, რბოლა შეეწყვიტათ. ამაზე გერმანელები აიფხორნენ, რადგან იმ მომენტისთვის პირველები იყვნენ, მაგრამ ბოლოს მათაც აღიარეს, რომ უაზრობა იქნებოდა შეჯიბრის გაგრძელება, მსროლელები სამიზნეებს თუ ვერ დაინახავდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონატი [illegible] ბა ფინურ ლახტში [illegible] იმავდროულად ქალთა მსოფლიოს თასის ბოლო [illegible] რთვაც იყო დაგეგმილი. ეს ყველაფერი გასულ უქმეებზე შედგა. ნორვეგიული ქარბუქი ყველაზე კარგად რუსებს დაჰბედებიათ, რომლებიც იქ რბოლის შეწყვეტისას მხოლოდ მეექვსენი იყვნენ, ლახტიში კი პირველებმა უწიეს ფინიშს. თანაც მეორეადგილოსნ ნორვეგიელებს 40 წამი მოუგეს.

*ორჭიდი.* ორგზის ოლიმპიური ჩემპიონმა, ნორვეგიელმა ბიარტე ენგენ ვიკმა გუშინ ოსლოში მსოფლიოს თასის კიდევ ორი ეტაპი მოიგო და ამით თავის სათასო გამარჯვებათა საერთო ოდენობა 24-ს გაუტოლა. პირველი გამარჯვება მეორეზე ოდნავ უფერულად გამოიყურებოდა, რადგან ვიკი ტრამპლინიდან ხტომაში მეორე იყო და 15 კილომეტრზე სრიალში პირველი, მეორე დღეს კი ერთიც მოიგო და მეორეც, ოღონდ სასრიალო დისტანცია ამჯერად ორჯერ მოკლე გახლდათ. ყოველივე ამის მიუხედავად, ვიკმა საერთო ჩათვლის ლიდერობა ფინელ სამპა ლაუნენს ვერაფრით წაჰგლიჯა, რადგან ფინელიც არ გამოსულა ურიგოდ: პირველ დღეს მეორე იყო და შემდეგ — მეოთხე. ახლა ლაუნენსა და ვიკს 130 ქულა აშორებთ, თასის ერთი ეტაპიღა დარჩა გასამართი და მაქსიმუმი, რისი მოპოვებაც ეტაპის გამარჯვებულს შეუძლია, 140 ქულაა. როგორც ხედავთ, საკმაოდ დამაინტრიგებელი სიტუაცია შეიქმნა. ვიკი ამას როგორ იფიქრებს, მაგრამ ლაუნენმა როგორმე ფეხი რომ წაიტეხოს, იქნებ სულაც არ ეწყინოს.

**დავით გულუა**



# დალასი: ამოდის, ნათდება

13 მარტი

**ატლანტა — ედმონტონი 0:3**

0:0 0:0 0:3

0:1 რ. სმიტი 48'22 (23); 0:2 რ. სმიტი 50'15 (24); 0:3 რ. სმიტი 58'07 (25)

**რეინჯერსი — დალასი 3:4**

2:1 1:2 0:1

0:1 ლანგენბრუნერი 11'47 (13); 1:1 დვორჟაკი 12'01 (18); 2:1 შნაიდერი 16'32 (8); 3:1 ნედვედი 22'49 (23); 3:2 ტორნტონი 27'03 (5); 3:3 სიმი 36'10 (5); 3:4 ლანგენბრუნერი 51'43 (14)

**პიტსბურგი — ნიუ ჯერსი 2:3**

1:2 1:1 0:0

0:1 პანდოლფო 2'16 (7); 0:2 ნემჩინოვი 6'05 (10); 1:2 მოროზოვი 18'39 (11); 1:3 ჰოლიკი 35'26 (21); 2:3 რაიტი 37'36 (9)

**ფინიქსი — ფილადელფია 1:4**

0:1 1:1 0:2

0:1 ლეკლერი 12'30 (35); 1:1 ოდელეინი 25'15 (2); 1:2 ზელეპუკინი 33'39 (10); 1:3 პრიმო 44'20 (2); 1:4 პრიმო 59'38 (3)

**ლოს ანჯელესი — ვანკუვერი 3:2**

1:1 1:0 0:1 1:0

0:1 კლეტი 14'43 (7); 1:1 რ. ბლეიკი 19'24 (17); 2:1 პალფი 38'14 (27); 2:2 მოგილნი 51'54 (21); 3:2 შტუმპელი 63'53 (15)

**სან ხოსე — კალგარი 5:3**

2:2 3:0 0:1

0:1 იგინლა 4'34 (25); 0:2 იგინლა 6'37 (26); 1:2 სუნდსტრიომი 11'25 (9); 2:2 შტურმი 19'14 (10); 3:2 დამფუსი 23'35 (6); 4:2 ნოლანი 36'49 (41); 5:2 მარლო 39'04 (15); 5:3 კორბე 57'23 (4)

როცა 1999 წლის ივნისში დალასი თავის ისტორიაში პირველად დაეუფლა თასს, ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელთაც ეს შემთხვევით მოვლენად ჩათვალეს. ამბობდნენ, „ვარსკვლავებს“ გზა მთავარი კონკურენტის, დეტროიტის კოლორადოსთან სერიაში გაუგებარმა მარცხმა გაუხსნაო. ისიც ითქვა, გუნდს, რომლის ტაქტიკაც მეტოქის ხელის შეშლაზეა აგებული და არა საკუთარი ხელწერის უპირატესობის დამტკიცებაზე, ხანგრძლივი წარმატება არასდროს ექნებაო. ჩემპიონმა წლევანდელი სეზონი არცთუ დამაჯერებლად დაიწყო, მიუხედავად ამისა გუნდი მაინც გაიმართა წელში, კრიზისს თავი დააღწია და ახლა ძველ თავდაჯერებასაც ნელ-ნელა იბრუნებს. მეტიც, გუნდში წლეულს მისულმა ახალბედებმა და გამოცდილმა მოთამაშეებმა მცირეოდენი ცვლილებებიც შეიტანეს თამაშში, რამაც ლიგის ერთ-ერთ ყველაზე მოსაბეზრებელ კლუბად ცნობილ „დალასს“ ახალი შინაარსი და ელფერი შესძინა. ამის დასტური გუნდის ბოლო ორი მოგებაა. ეს განსაკუთრებით სენტ ლუისთან საკვირაო მატჩზე ითქმის. სენტ ლუისი რომ სეზონის აღმოჩენაა, ეს ფაქტია. დალასელთა მწვრთნელ კენ ჰიჩკოკისთვის ეს მე-200 გამარჯვება გამოდგა. ცხადია, ჰიჩკოკი ძალიან გახარებული იყო, უფრო მეტად კი ის ალაფრთოვანებდა, რომ მისმა შეგირდებმა თავად წაიყვანეს თამაში, ხოლო ახალბედა ბრენტონ მოროუს (1+1), ჯემი ლანგენბრუნერის და გუნდის ლიდერ მაიკ მოდანოს სახით დალასმა ისეთი წამყვანი ტრიო შეიძინა, რომელსაც თანამედროვე, სწრაფი, თვალსასეირო თამაში შეუძლია.

ცხადია, სენტ ლუისთან მძიმე ბრძოლას ჩემპიონმა დიდი ძალა შეალია, მაგრამ მეორე დღეს, ნიუ იორკში, მოთამაშეებმა დიდი ნებისყოფა გამოიჩინეს და შეძლეს მატჩში გარდატეხის შეტანა და ეს ყველაფერი დალასმა თავისი საუკეთესო თვისებების გამოვლენის შედეგად გააკეთა და არა მეტოქის შეცდომების გამოყენების ხარჯზე. რეინჯერსმა თავიდან ისარგებლა იმით, რომ მოწინააღმდეგე დაღლილი იყო, კვლავ ნაყოფიერად ამოქმედდა „ჩეხური ხაზი“ და დაწინაურდნენ კიდეც — 3:1, მაგრამ დალასმა შეძლო გათანაბრება. შეხვედრამ კულმინაციას მეორე პერიოდის ბოლოს მიაღწია, როცა მასპინძელთა შორის საუკეთესომ, რადეკ დვორჟაკმა ბულიტის შესრულების უფლება მოიპოვა და „ვარსკვლავთა“ მეკარემ, მენი ფერნანდესმა იგი მოიგერია. ამის შემდეგ ფსიქოლოგიური და სათამაშო უპირატესობა მთლიანად დალასელთა ხელში გადავიდა. თავიანთი წამყვანი ტრიოს მეშვეობით სტუმრებმა იძალეს და ლანგენბრუნერმა მოდანოს ჩინებული პასის შემდეგ თავისიანები გაახარა.

ერიკ ლინდროსის არყოფნაში ფილადელფიას პირდაპირ სულზე მოუსწრო კეიტ პრიმომ. სეზონის ერთ-ერთი მთავარი მეამბოხე გამოჯანმრთელდა და ლიდერის ადგილი დაიკავა პირველ სამეულში. თავად ორჯერ გაიტანა, ერთხელაც ჯონ ლეკლერს გაატანინა.

პიტსბურგისა და ნიუ ჯერსის შეხვედრაში ახალგამომცხვარი „ეშმაკი“ ვლადიმერ მალახოვი თავის თანამემამულე ალექსეი მოროზოვს ეუხეშა, მუხლი დაუზიანა, რისთვისაც 5 წუთით გააძევეს. ამით პიტსბურგს მატჩის გადარჩენის კარგი შანსი მიეცა, მაგრამ ალექსეი კოვალიოვმა დაალალატა, წესები დაარღვია და გუნდს რიცხვმრავლობაში თამაშის საშუალება დააკარგვინა. პიტსბურგი კვლავ უიაგროდ იყო, ხოლო ნიუ ჯერსი ცოტაოდენი დალმასვლის შემდეგ კვლავ შედის ფორმაში. პარასკევს „ეშმაკებმა“ სეზონში სარეკორდო სხვაობით — 9:0 დაამარცხეს აუტსაიდერი ატლანტა, თანაც ახალბედა ჯონ მელენმა უკვე მეხუთედ (!) გაიტანა უმცირესობაში.

ოდნავ გაირკვა ვითარება დასავლეთში. საპლეიოფო ოქტეტში შემავალმა ერთბაშად სამმა გუნდმა — ედმონტონმა, ლოს ანჯელესმა და სან ხოსემ მოიგეს, თანაც ორმა უშუალო მდევრებს აჯობა. „მეფეებმა“ გამარჯვება იოზეფ შტუმპელის ერთობ საეჭვო გოლის შემდეგ მოიპოვეს — შაიბა ჯერ მას მოხვდა ფეხზე, მერე კი კარში აღმოჩნდა, თუმც ფაქტი ფაქტია: ბოლო 5 მატჩში ეს სლოვაკის მესამე გამარჯვების გოლია.

სან ხოსემ, მიუხედავად ორი სწრაფად გაშვებული გოლისა, შეძლო კალგარის ძლევა. მისი ლიდერი ოუენ ნოლანი (1+2) 81 ქულით უკვე კლუბის ერთპიროვნული რეკორდსმენია.

ედმონტონი ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ დივიზიონში პირველობას გამოეთხოვა. ამჯერადაც აუტსაიდერ ატლანტას რის ვაი-ვაგლახით სძლია ლიდერების — დუგ უეიტასა (2 პასი) და რაიან სმიტის (კარიერაში მეორე ჰეთ თრიქი) ძალისხმევით.

**სამველ ლარიბიანი**

## სატურნირო ვითარება

 აღმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 70 | 40 | 8 | 5 | 22 | 216:168 | 93 |
| ტორონტო | 69 | 39 | 7 | 3 | 23 | 213:180 | 88 |
| ვაშინგტონი | 69 | 36 | 11 | 1 | 22 | 185:163 | 84 |
| ფილადელფია | 69 | 37 | 11 | 2 | 21 | 201:156 | 87 |
| ფლორიდა | 69 | 36 | 5 | 5 | 28 | 204:174 | 82 |
| ოტავა | 68 | 34 | 11 | 2 | 23 | 202:172 | 81 |
| მონრეალი | 69 | 30 | 7 | 3 | 32 | 164:162 | 70 |
| პიტსბურგი | 69 | 28 | 8 | 6 | 33 | 197:203 | 70 |
| კაროლინა | 69 | 30 | 9 | 0 | 30 | 185:190 | 69 |
| ბუფალო | 70 | 28 | 10 | 2 | 32 | 174:179 | 68 |
| ბოსტონი | 69 | 21 | 17 | 5 | 31 | 175:204 | 64 |
| აილენდერსი | 69 | 20 | 8 | 1 | 41 | 161:228 | 49 |
| ტამპა | 67 | 15 | 7 | 7 | 45 | 167:253 | 44 |
| ატლანტა | 68 | 12 | 6 | 4 | 50 | 141:259 | 34 |

დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 69 | 43 | 9 | 0 | 17 | 210:140 | 95 |
| დალასი | 70 | 38 | 7 | 4 | 25 | 177:156 | 87 |
| კოლორადო | 70 | 33 | 10 | 1 | 27 | 198:177 | 77 |
| დეტროიტი | 69 | 41 | 8 | 1 | 20 | 229:176 | 91 |
| ლოს ანჯელესი | 69 | 34 | 8 | 3 | 27 | 217:198 | 79 |
| ფინიქსი | 69 | 35 | 7 | 1 | 27 | 203:188 | 78 |
| ედმონტონი | 70 | 26 | 15 | 8 | 29 | 193:183 | 75 |
| სან ხოსე | 70 | 29 | 9 | 7 | 32 | 192:182 | 74 |
| ანაჰაიმი | 69 | 28 | 11 | 2 | 30 | 181:190 | 69 |
| კალგარი | 70 | 28 | 8 | 5 | 34 | 185:219 | 69 |
| ვანკუვერი | 70 | 23 | 14 | 8 | 33 | 181:206 | 68 |
| ჩიკაგო | 69 | 26 | 7 | 2 | 36 | 204:217 | 61 |
| ნეშვილი | 69 | 24 | 6 | 6 | 39 | 175:204 | 60 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში ნაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*



ლიგაში ასეა, მაისურაწამოხდილი ნაცემი რჩება: ედმონტონელმა ჟორჟ ლარაქმა ლოსანჯელესელი მეტ ჯონსონი გალახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა განსხვავებაა გაზეთ „სარბიელსა და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

○ გაზეთი „სარბიელი“ თითქმის ათი წელიწადია რაც გამოდის, ჟურნალი „სარბიელი“ კი

### ორშაბათიდან იყიდება

○ გაზეთი „სარბიელი“ კვირაში ხუთჯერ მიდის მკითხველთან, ჟურნალი „სარბიელი“ თვეში ერთხელ მივა.

○ გაზეთი „სარბიელი“ შავ-თეთრია, ჟურნალი „სარბიელი“ — ფერადი.

○ და რა არის საერთო გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

**ორივე სარბიელია**






## ნასიმის ტახტი

ამასწინათ, პრინც ნასიმ ჰამედმა რომ სამხრეთაფრიკელი ვუიანი ბუნგუ დასცა ლონდონის „ოლიმპიას“ დარბაზში, მხიარულობა დიდი გამოვიდა. ერთი რომ ჰამედი დიდი ტრაბახა ვინმეა, მეორეც, რინგზე ჩვეულებრივ კი არ შედის, მალაყით აფრინდება ბაგირებს. ახლა საერთოდაც უცხო რამ მოუგონია, ლეოპარდის ტყავგადაკრული ტახტრევნით უნდა მიმიყვანოთ რინგამდეო. პრინცი ვარ და მერგებაო.

## რას აყურებინებთ?

სორე სკანი იდეურ-პოლიტიკური დონე, ამხანაგო ჰოკეისტებო? ლიგა თუ ხართ და პროფესიონალები, ნორჩებს რას აყურებინებთ? დიახ, შუა ამერიკის დედაქალაქის ყინულზე დარევიან ერთმანეთს იქაური „კეპიტალზები“ და ნიუ ჯერსელი „დევილები“ და აგე პატარა ბიჭის თვალწინ რეებსა სჩადიან. ისეთი გნიასია, ნორჩ ვაშინგტონელს ყურებზე თავისი პატარა ხელები აუფარებია.





## ბარლეიფის ტალღებზე

ავსტრალიის ბარლეიფ ბიჩზე, ქვინზლენდში დიდი სერფაობა მიმდინარეობს. ქალთა შორის ტალღოსნობაში სამხრეთამერიკელმა ჰეთერ კლარკმა იმარჯვა და 30 ათასი დოლარიც მიიღო. სხვა რა? ლამაზი ტალღა, კოხტა სერფი და მშვენიერი და ჯანსაღი გოგო.

## გამოცდა

რამ იგნისს ავსტრალიაში ოლიმპიური ჩირაღდნით სვლა დაიწყება, სიდნეის ოლიმპიადისთვის მზადება გამალებით მიმდინარეობს. სიდნეისავე ქუჩებში მოხალისე მეჩირაღდნენი და ესკორტმორბენალი გოგოები ნამდვილ მეჩირაღდნეთათვის შეკერილ სამოსს სცდიან, აბა, როგორ არის მორგებული ტანზე და სირბილში თუა მოხერხებულიო.





## კლიჩკოს აყლაყუდა

უკრაინელი მძიმეწონოსანი მოკრივე ვიტალი კლიჩკო კარგა ხანია, გერმანიაში ცხოვრობს და იქ გვარიანი სახელიც დაიგდო. ასე განსაჯეთ, წელს ტაისონსაც კი უნდა შეერკინოს. მანამდე კი ვიტალი კლიჩკოს სხვა კალიბრის მოწინააღმდეგე შეურჩიეს — ტონგელი პაეა ვოლფგრამი, ლამის ორი მეტრის სიმაღლისა. კლიჩკოს არ ეშინია, მივწვდებიო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აბულეძიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli